# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან პარასკევი 11 დეკემბერი 1998 №227 (762) ფასი 50 თეთრი

# ეს უკვე კატასტროფაა!

## ქართული კალათბურთისგან სახელიღა დარჩა

ქართული კალათბურთი ასეთ ჭირის დღეში აქამდე არ ყოფილა. ყველას გვახსოვს წარუმატებლობები, ჩავარდნები, ფიასკოები, მაგრამ ამ ყველაფერს იმედიც სდევდა. იმედი იმიტომ, რომ ყოველ წელიწადს ის რაღაც ხავსი ჩნდებოდა ხოლმე, რომელსაც წყალწალებული ეჭიდება და სასოწარკვეთას ესლა გვარიდებდა. იყო ასეთები: ხან ეროვნულ ჩემპიონატში გაიმართებოდა დაძაბული მატჩები, სადაც კალათბურთელები მეტ-ნაკლებ ოსტატობას ავლენდნენ და ხავსიც ამოიზრდებოდა — ვინძლო, ასეთივე შემართებით უცხოტომელებსაც ვეთამაშოთო; ხან ევროთასებზე ერთხელ მაინც გაიმარჯვებდა ქართული კლუბი და ხელსაც უმალ ხავსისკენ წავიღებდით — თამაში შეგვძლებია და რა დროს ყურების ჩამოყრააო; ხან ნაკრები წააქცევდა ვინმეს (ასეთებიც გვახსოვს) და ხავსს განსაკუთრებით მაგრად ჩავბღუჯავდით — ამათ თუ მოვუგეთ, სხვასთან რა ღმერთი გაგვიწყრება, გვცოდნია კალათბურთი და გამარჯვებებსაც ვამრავლებთო. მერე იმაზე მივიდგა საქმე, რომ „ოლიმია“ — „სლოვაკოფარმა“ — „სპარტაკის“ მოგებები გვიხაროდა (ხალხის გარკვეულ ნაწილს, რა თქმა უნდა): ამ გუნდებში ჩვენი ბიჭები თამაშობენ, იქნებ გამარჯვებულის ფსიქოლოგია ჩამოუყალიბდეთ, კიდევ უფრო დაოსტატდნენ, ეს ყველაფერი საბოლოოდ ხომ ქართულ კალათბურთს წაადგებაო.

თურმე ყველაფერი ფუჭი და თავის მოტყუება ყოფილა. გაქრა ყოველივე, ჩვენი კალათბურთისთვის ხავსიც ალარსად ჩანს. ცოტაც და, ხელში შემოგვადნება ლეგენდა ერთ დროს ძლიერი ქართული კალათბურთის შესახებ — აღარ იქნება ეს უკანასკნელი და მერე ვიღას გაახსენდება ქორქიები, ჯორჯიკია, მინაშვილი, .საკანდელიძე, დერიუგინი (უკაცრავად, თუკი ვინმე გამომრჩა, არადა, მართლა რამდენი მჭუხარე სახელი ჩამოგვეთვლება!).

ქართული კალათბურთის სახეზე — ეროვნულ ნაკრებზე ვთქვათ. გუნდს 1997 წლის მაისის, ანუ ევროპის 1999 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე მოსახვედრად გამართული წინასწარი ტურნირის შემდეგ აღარ გაუმარჯვია. მოატანა შესარჩევმა თამაშებმა და რას ვხედავთ? ზედიზედ რვა წაგებას. წაგებას ვინლა ჩივის, ჩვენი და მეტოქის მიერ ჩაგდებული ბურთების სხვაობა მატჩიდან მატჩამდე გეომეტრიული პროგრესიით იზრდება. ცხადია, ჩვენს სასარგებლოდ არა. ტრაგედიაა? არა. ეს უკვე კატასტროფაა...

ძველად ამ საქმეს ასე მოუვლიდნენ: შეიქმნებოდა საგანგებო ჯგუფი, კოლეგია, კომიტეტი ან სხვა რამ „უჯრედი“ სხვა სახელით, შეიკრიბებოდნენ გაბრაზებული ბიძა-კაცები, ბევრს იყვირებდნენ, მაგიდაზე მუშტებს დაახრახუნებდნენ, ვიღაცას დასჯიდნენ, ვიღაცას საყვედურს შეუტანდნენ პირად საქმეში, ვიღაცას მოხსნიდნენ, ვიღაცას დანიშნავდნენ და... იქნებ საქმე კოსმეტიკური შელამაზების იქით არც წასულიყო, მაგრამ იტყოდნენ — მივიღეთ ზომები ამა და ამ საკითხთან დაკავშირებით და, თუ საჭირო შეიქნა, კვლავაც მივიღებთო.

მაგრამ ახლა ძველი დრო არ არის. და არც სიტუაციაა ძველი. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, კონკრეტულ პასუხს, ვინმე კონკრეტულ პირს (ან პირებს) ვერ მოსთხოვ. ეს არის სიტუაცია, როცა საქმე ცოტა-ცოტაობით ყველას გამო ზარალდება, ხოლო კონკრეტულად — არავისგან. ეს ცოტ-ცოტა კი საბოლოოდ ბევრი, გადამწყვეტი მნიშვნელობისა გამოდის და ავტომატური, ოღონდ უკვე ძალიან გაცვეთილი პასუხიც მზადაა — ყველაფერი სისტემის ბრალია.

მახსოვს, ერთ-ერთ მიტინგზე მავანმა გამომსვლელმა ქვეყნის ყველა უბედურება სისტემას დააბრალა. იქვე ერთი შეზარხოშებული ძია ტრიალებდა, რომელიც იმუქრებოდა — ერთი ეგ სისტემა მაჩვენეთ რომელია, სულ ცხვირპირი უნდა ამოვუნაყოო. ნეტავ მართლა რეალური პიროვნება იყოს ეს სისტემა! მაგრამ მისი ვერაგობაც (ნორმალურ სიტუაციაში — სიკეთე) ის არის, რამდენიმე ერთმანეთს მჭიდროდ გადაჯაჭვული რგოლისგან რომ შედგება. თუკი ერთ-ერთი გაწყდა, მტრისას, ჰოდა, ყველა რომ გაწყდება, მაშინ წარმოიდგინეთ, რა მოხდება.

მოდით, ქართული კალათბურთიც ამ რგოლების მიხედვით განვიხილოთ. იქნებ ისევ წავაწყდეთ იმ ხავსს, წერილის დასაწყისში რომ ვახსენე და მცირე წარმატების შემთხვევაში რომ ამოიზრდება ხოლმე.

### მოთამაშეები

„ჩვენ არც პროფესიონალები ვართ და არც მოჩხუბართა ბანდა“ — ამ სიტყვების მთქმელი ვახტანგ ნაცვლიშვილი, დიახაც, განათლებული ახალგაზრდაა, მაგრამ თუკი ასე ზუსტად დაახასიათებდა თავის დღევაენდელ ქართველ კოლეგებს, ნაღდად არ მეგონა. პროფესიონალიზმი, აი, რა აკლიათ ამ თაობის კალათბურთელებს.

პროფესიონალობისთვის სულაც არაა საჭირო ნბა-ში თამაში. ეს ცნება, უპირველეს ყოვლისა, საკუთარი თავის აღზრდას, პატრონობას, საკუთარი ნიჭისა და შესაძლებლობების გარეშე ფაქტორებთან შეჯერებას გულისხმობს.

დღევანედლ თაობაში უმეტესობა, იგივე ნაცვლიშვილი და მისი ტოლები, მართლაც ნიჭიერნი არიან. ვერც სიზარმაცეს დააბრალებ კაცი. მაგრამ თუ ამათ სამი წლის წინანდელ და ახლანდელ თამაშს შეადარებ, უკეთეს შემთხვევაში, ადგილს ტკეპნიანო, იტყვი, თუ უკუსვლას არა. არსებობენ გამონაკლისებიც, მაგრამ მათზე ცოტა მოგვიანებით.

იხილეთ მეათე გვერდი

**კალათბურთი. ევროლიგა.**

**A ჯგუფი**

| | | |
|---|---|---|
| ავტოდორი | 83:88 | ფენერბაჰჩე |
| ჟალგირისი | 80:76 | ტაუგრესი |
| პო ორტეზი | 87:67 | ვარეზე |

**B ჯგუფი**

| | | |
|---|---|---|
| ტდკ | 58:63 | პანათინაიკოსი |
| მაკაბი | 78:59 | ცრვენა ზვეზდა |

**C ჯგუფი**

| | | |
|---|---|---|
| ალბა | 87:63 | ულქერი |
| ზადარი | 55:67 | ოლიმპიაკოსი |

**D ჯგუფი**

| | | |
|---|---|---|
| ოლიმპია | 84:55 | სამარა |

# ალო, ლენოქს, გიორგი ვარ

## ლუისმა კანდელაკი ჰავაიდან გაამხნევა

მსოფლიოს ჩემპიონი ლენოქს ლუისი, რომელიც ჩვენი გიორგი კანდელაკის მენეჯერი და მისი დიდი ქომაგია, ყოველდღე ეხმიანება თავის შეგირდს ჰავაის კუნძულებიდან, სადაც ახლა კინოგადაღებებით ყოფილა დაკავებული. კანდელაკი ხვალ პროფესიულ რინგზე მეოთხედ იჩხუბებს და ლუისის ყურადღებაც გასაგებია. უცხოელს ქართველის ბედ-იღბალი ასე აინტერესებდეს, ჩვენ კი ჩვენებურის ამბავი არ მოგვეკითხა, არ იქნებოდა. ჰოდა, გუშინ გიორგის ლონდონში შევეხმიანეთ...

— მეტოქე ფრანგია, ოღონდ ვინ არის, რას წარმოადგენს, ხვალ გავიგებ. აქაურ ქალაქ ჩესტერში ბრძოლისთვის ბულგარელმა მწვრთნელმა ტაკოვმა ჩინებულად მომამზადა, საუკეთესო ფორმაში ვარ და იმ უცნობ ფრანგთან გამარჯვება არ უნდა გამიჭირდეს. გუშინ ჰავაიდან ლენოქს ლუისმა დამირეკა, გამამხნევა და ბევრი რამ მირჩია. წაგებას ისედაც არ ვაპირებდი და ახლა, ლუისისგან შეგულიანებულს, ჩესტერის რინგზე სანაქებო კრივის გაჩაღება მსურს — გვითხრა კანდელაკმა.

# აღარ იტყვით, ვისია ბრინჯაო?!



1998 წლის 5 დეკემბერი. ვაკის სტადიონი. მატჩი მესამე ადგილისთვის, რომელიც დღემდე გრძელდება

მართალია, მორაგბეთა ეროვნული ჩემპიონატი დასრულდა, მაგრამ ისე მოხდა, რომ მიზეზთა გამო ბრინჯაოსმედალოსნის ვინაობა ჯერაც უცნობია. გახსოვთ, ალბათ: მესამე ადგილისთვის მატჩის შემდეგ, რომელშიც „ექსპრესმა“ ასკ 18:17 დაამარცხა, მეტოქე გუნდში განაცხადში შეუყვანელი მობურთალების თამაშის გამო არმიელებმა შეხვედრის შედეგი გააპროტესტეს. საკითხი ორი დღის წინ რაგბის კავშირის სადისციპლინო-ტექნიკურ კომისიას უნდა განეხილა, მაგრამ კომისიის სხდომა ანუ მესამე ადგილის მფლობელის ვინაობის გარკვევა გარკვეული ვადით, უფრო ზუსტად, ერთი კვირით გადაიდო. გადადების მიზეზი, რაოდენ გასაკვირი და უცნაურიც უნდა იყოს, ის ყოფილა, რომ ხან განაცხადი ვერ მოინახა, ხანაც კომისიის წევრები ვერ შეკრიბნენ.

იმავე შეხვედრის შემდგომ გამარჯვებულმა „ექსპრესმა“ „სარბიელის“ სინისთვის საპაექროდ მისი ამჟამინდელი მფლობელი „ყოჩები“ გამოიწვია, მაგრამ უარი მიიღო. ყოჩთა მწვრთნელის მალხაზ ჭეიშვილის თქმით, რთული და მომქანცველი სეზონის შემდეგ მორაგბეები გადაღლილები არიან და დასვენება სჭირდებათ, მით უმეტეს, რომ სულ მალე ნაკრები შეიკრიბება და ტონგასთან შესახვედრად მზადებას დაიწყებსო. ნაკრებში კი, მოგეხსენებათ, ცხრა ყოჩია. მზადების პირველ ეტაპს ეროვნული ნაკრები საქართველოში გაივლის. მერე კი, თუ ფული გამოიძებნა, ქვეყნის პირველი გუნდი ახალ ზელანდიაში გაგრძელებს შეკრებას. გარდა იმისა, რომ ზელანდია უძლიერესი სარაგბო ქვეყანაა და იქაურ კლუბებთან გაპაექრება ბორჯღალოსნებს დიდად წაადგებათ, რაგბის კავშირის ხელმძღვანელობამ ეს ვარიანტი ამ ქვეყნის ტონგასთან მეზობლობის გამო ამჯობინა სხვებს.

**ბაატა თოთაძე**

# შეფამ ლიგა გაზმრა

ბევრი იფიქრეს თუ ცოტა გუშინ უეფაში ასე გადაწყვიტეს: მომდევნო სეზონიდან ჩემპიონთა ლიგის ფორმატიც შეიცვალოს და უეფას თასიც ახლებურად გათამაშდეს.

— ჩემპიონთა ლიგა გაფართოვდება, მონაწილე გუნდების რაოდენობა 32 გახდება.

— უეფას თასზე იასპარეზებს 121 გუნდი, რომელთაგან 96 გათამაშებაში საკვალიფიკაციო ეტაპიდან ჩაებმება.

— თასების მფლობელთა თასის მიმდინარე გათამაშებაში გამარჯვებული ანუ ამ თასის ბოლო მფლობელი გაისად უეფას თასზე ითამაშებს.

გაფართოების მიუხედავად, ჩემპიონთა ლიგას დასჭირდება საკვალიფიკაციო ეტაპი, რომლის პირველი წრის პირველი მატჩები 1999 წლის 14 ივლისს გაიმართება.

ჩემპიონთა ლიგაში შეიქმნება 8 ოთხგუნდიანი ჯგუფი, რომლებშიც პირველ-მეორე ადგილებზე გასულნი ჩემპიონთა თასისთვის გააგრძელებენ ბრძოლას. ჯგუფებში მესამენი კი უეფას თასზე გადავლენ.

ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპი დასრულდება 1999 წლის 4 ნოემბერს, ხოლოდ უეფას თასის მესამე წრის პირველი მატჩები გაიმართება იმავე წლის 23 ნოემბერს.

ყოველივე ზემოთქმულს უეფა დღეს ოფიციალურადაც დაამტკიცებს და გამოაქვეყნებს კიდეც.

საქართველოს ჩემპიონატი

# პირველი ჯგუფი. პირველი [illegible]

# გახსოვდეთ გაკვეთილები

საიუბილეო ეროვნულ ჩემპიონატს „კოლხეთი“ ცუდ გუნებაზე, დიდად შერცხვენილი შეხვდა. აბა, რა იქნებოდა?! ფოთელებმა უეფა-ს საკვალიფიკაციო ეტაპის ორივე მატჩი პირწმინდად წააგეს, 0:4 შინ, 0:7 ბელგრადში. არა, ქართულ გუნდებს ამავე და, თუ გნებავთ, უფრო მაღალ ან დაბალ ევროპულ დონეზე სირცხვილი როგორ არ უჭამიათ, მაგრამ ასეთი?! ასეთს ნამდვილად ვერ გავიხსენებთ. დიდი ტრადიციების „ცრვენა ზვეზდამ“ მერე სხვა გუნდებთანაც დაამტკიცა თავის სიძლიერე, გათამაშებიდან რუსული „როტორი“ და ფრანგული „მეცი“ გამოთიშა, მაგრამ ჩვენთვის ეს რა შეღავათია, თერთმეტი უპასუხო ბურთი მაინც მეტისმეტი იყო.

მაშინ ბევრისგან გავიგონე, „კოლხეთმა“ ვერ ითამაშაო. ვერ ითამაშა კი არა, არ ათამაშეს. სიმართლე ესაა. „ცრვენამ“ აქაც და იქაც თავის დაკრულზე „აცეკვა“ მეტოქე. ჩვენი ჩემპიონატის პრიზიორმა სწრაფ, ჭკვიან, საათის მექანიზმივით აწყობილ იუგოსლავურ ვერაფერი დაუპირისპირა.

ძალიან, ძალიან ჩამოვრჩენილვართ იუგებს და, ღმერთა უწყის, როდის დავეწევით. ან, დავეწევით კი? ისე, საინტერესოცაა, ჩვენისა არ იყოს, ბალკანელთა ქვეყანაშიც არეულადაა საქმე, აქაც და იქაც პოლიტიკური თუ ეკონომიკური კრიზისია. ჩვენ თუ გვიჭირს, წესით და რიგით, იმათაც უნდა უჭირდეთ. მაგრამ რა ხდება? ისინი თამაშობენ, ჩვენ კი ვერა.

რა თქმა უნდა, ეკონომიკურ პირობებზე ბევრი რამაა დამოკიდებული, ოღონდ ისიცაა, საქმის კეთება თუ გინდა, აქცენტის მარტო ამაზე გადატანა და მომაბეზრებელი წუწუნი არას გარგებს. ალბათ ასეა, ჩვენ საქმის კეთებას გადავეჩვიეთ და, ვწუწუნებთ და ვწუწუნებთ. იქ კი, როგორც ჩანს, წუწუნს თაკილობენ და საკეთებელს მაინც აკეთებენ...

ორჯერ დანოკაუტებულ „კოლხეთს“ შოკური მდგომარეობა ეროვნულ ჩემპიონატში რომ გადაყვა, სულაც არ არის გასაკვირი. ფოთელებმაც უხეიროდ დაიწყეს.

თუმცა, ვიდრე პირველ წრეში მათ თამაშს მოკლე ანალიზს გავუკეთებთ, გუნდში მომხდარ ცვლილებებზე უნდა ვთქვათ.

ჩემპიონატის სტარტამდე „კოლხეთი“ ერთბაშად ექვსმა ფეხბურთელმა დატოვა, ზოგმა საკუთარი ნებით, ზოგიც დაითხოვეს. კოლხთა ყველაზე დიდი დანაკარგი მაინც ნუგზარ მიქაბერიძე გახლდათ. 35 წლის „ტურამ“ მარტო „კოლხეთიდან“ არა, საერთოდ ფეხბურთიდან წასვლა გადაწყვიტა. კოლხთა აწ უკვე ყოფილ გოლეადორს გოლკიპერმაც მიჰბაძა. მამუკა გვასალიამ, ცხრა ჩემპიონატის განმავლობაში საიმედოდ რომ იცავდა კოლხთა კარს, თამაშს თავი დაანება.

გუნდს წინა გათამაშების მეორე წრეში შემატებული ინალიშვილიც დააკლდა. გელამ უცხოეთში თამაში ამჯობინა. კოლხთა სამი ვეტერანი გია გიორგაძე, დათო მახარაძე და ბაადურ კაკაჩია კლუბის ხელმძღვანელობამ გაუშვა. მოტივი? დაბერდით და აღარ გვჭირდებითო. ამ ექვსს ხუთი შემცვლელი მოეძებნა. ორი ჯონი — სტუდენტი შალამბერიძე და ოდიშელი კალანდაძე, რომლებმაც „ცრვენასთან“ ითამაშეს. ასევე ოდიშელი ბადრი ახვლედიანი და 18 წლის მარგველი ლევან შავგულიძე. შუა წრეში კოლხებმა პოლონეთში ნათამაშევი გელა გაბისონიაც დაიმატეს.

ჰო, იმას ვამბობდი. „კოლხეთმა“ ცუდად დაიწყო. პირველ ტურში შინ, თუმცა გაძლიერებულ „ლოკომოტივთან“, ფრეს დაყაბულდა და ისე ჩავიდა ქუთაისში. აქაც განწბილება, სასტიკი მარცხი. კოლხებმა „ტორპედოსთან“ არ იბრძოლესო, ცილისწამებაში ჩაგვეთვლება. იბრძოლეს, ოღონდ არაფერი გაუვიდათ. გუნდი აშკარად შეუთამაშებელი კი ჩანდა, მაგრამ ასე დიდი ანგარიშით (1:5) მარცხს მაინც არ იმსახურებდა. სტუმრები დაცვაში დაშვებულ უხეშ შეცდომებს შეეწირნენ.

ერთი კვირის თავზე ფოთელებმა პირველი გამარჯვებით გაიხარეს, გურულებს სძლიეს. მაგრამ ერთი კვირაც გადის და „კოლხეთი“ ისევ მარცხდება სტუმრად, გორში, „დილასთან“.

აგვისტოში ჩამოყალიბების პროცესში ვიყავითო, ამბობს კოლხთა დამრიგებელი სოსო ფილია და მართალიცაა. თავად განსაჯეთ. სექტემბერ-ოქტომბერში „კოლხეთმა“ წაუგებლად ითამაშა, 7 მატჩიდან 6 მოიგო და ლიდერებშიც ამოჰყო თავი. ერთი კია, ამ ექვსიდან ხუთჯერ შინ იმარჯვა, მაგრამ ამასაც ხომ შეძლება უნდოდა. ნოემბერში „კოლხეთი“ ერთ საშინაო მოგებასაც მიითვლის („ვიტ ჯორჯიასთან“). ახლა შეადარეთ. წინა ჩემპიონატის პირველ წრეში გუნდი სამჯერ დამარცხდა საკუთარ მოედანზე. თუმცა, ესეც იყო, მაშინ დანაკარგს სტუმრად ინაზღაურებდა — 5 გასვლითი თამაში მოიგო, ახლა კი მხოლოდ ერთი (თსუ-სთან).

ნოემბერში, ისევე როგორც აგვისტოში, „კოლხეთმა“ მხოლოდ 4 ქულა შემატა საკუთარ აქტივს. როგორც ვთქვით, შინ „ვიტ ჯორჯიას“ მოუგო, სტუმრად „იბერიასთან“ 2:2 ითამაშა, ხოლო „ბათუმთან“ და „დინამოსთან“ დამარცხდა. ისევ სოსო ფილიას უნდა მივენდოთ. კოლხები უფულობამ შეაწუხა, ვარჯიშს უკლეს და აქედან შედეგიცო.

ერთ რამეში ვერ დავეთანხმები მწვრთნელს. „დინამოსთან“, კი ბატონო, გუნდი საკუთარ თავს არ ჰგავდა, მაგრამ ბათუმში „კოლხეთმა“, მარცხის მიუხედავად, ერთ-ერთი საუკეთესო თამაში გვიჩვენა, უბრალოდ იმ მატჩში ფორტუნამ მასპინძლებს გაუღიმა.

ახლა ის ვთქვათ, შეეძლოთ თუ არა ფოთელებს პირველ წრეში მეტის მიღწევა. იმ ფაქტორის გათვალისწინებითაც, რომ სრული, საბრძოლო შემადგენლობით „კოლხეთს“, ფაქტობრივად, არცერთი მატჩი არ უთამაშია, ტრავმების გამო ხან ვინ აკლდა და ხან ვინ. მწვრთნელს მიაჩნია, რომ ასეთ პირობებშიც კი გუნდმა თავისი პოტენციალის მხოლოდ ნახევარი გამოავლინა, ცალკეულ ფეხბურთელთა არასტაბილური თამაში რომ არა, გუნდი 27 ქულას არ დასჯერდებოდა.

ყველაზე სუსტი „კოლხეთში“ დაცვის ხაზი იყო, ფრთებს (ახვლედიანი, გიორგობიანი) შედარებით არაუშავდა, გუნდს პრობლემები მეტწილად ცენტრში ექმნებოდა. გამოცდილი უკანა მცველი ტორჩინავა თავიდან სუსტად გამოიყურებოდა, მაგრამ თანდათან ჩადგა ფორმაში. ქუტიძე, შალამბერიძე, გოროზია, ქუნთელია ცენტრს მორიგეობით ამაგრებდნენ, და თუ ყოველთვის სათანადოდ ვერ ირჯებოდნენ, ალბათ, ისევ ბოლომდე მოუშუშებელი ტრავმების გამო.

რამდენიმე თამაში „ჩააგდო“ ქაჩახიამ. ამ ბიჭს სტაბილურობა აკლია, თორემ კარში დგომა რომ ემარჯვება, ყველამ იცის. ნაკრების კანდიდატ ქობულაძეს ხშირად უცვლიდნენ ამპლუას და, იქნებ, ამიტომაც ბოლომდე ვერ გამოავლინა თავი.

ნახევარმცველებთან საპრეტენზიო ბევრი არაფერია, კოლხთა 34 გოლიდან ნახევარი სწორედ შუახაზელებმა მიითვალეს. შედეგიანად ითამაშა გვასალიამ, წელი აწუხებდა, მაგრამ 8 ბურთი კი შეაგდო. ნოზაძემ, სუხიაშვილმა ტრავმების გამო ბევრი გამოტოვეს. ამ ბოლომ „სამგურალთან“ შესრულებული ჰეტ-თრიქით უფრო დაგვამახსოვრა თავი. ლალანიძეს კი არ წაუვიდა დარტყმები. მხოლოდ ერთხელ, ისიც კაცნაკლულ „ოდიშს“ გაუტანა. როგორც ყოველთვის აქტიურად ეხმარებოდა თავდასხმას კალანდაძე. მართალია, თავად მხოლოდ ორი გაიტანა, მაგრამ მისი პასით ბევრჯერ უსარგებლია წიწივაძეს.



ლიბერო ვალერი ტორჩინავას დაცვის დალაგება თავიდან გაუჭირდა

ჰამლეტი კი, მოგეხსენებათ, ჩემპიონატის საუკეთესო სნაიპერის სახელის მოსაპოვებლად იბრძვის, 11-ჯერ აიღო მეტოქეთა კარი. ამბობენ, წიწივაძე „კოლხეთიდან“ წასვლას აპირებსო. ამ შემთხვევაში გუნდს მართლა დიდი ძალა დააკლდება და გაბისონიაც ცოდო იქნება, „დაობლდება“. გელა მოგვიანებით შეუერთდა გუნდს, მაგრამ ოთხი გოლით მაინც შეეწია. წიწივაძისა და გაბისონიას მეტი თავდამსხმელი კოლხებს არც ჰყავთ. დანარჩენებისა რა მოგახსენოთ. ისინი მხოლოდ ეპიზოდურად ჩნდებოდნენ ძირითადში.

„კოლხეთს“ წესად ექცა, მეორე წრეში უკეთესად თამაშობს. ასეა და, ალბათ, ფოთელები საიუბილეო გათამაშებაშიც არ დაარღვევენ ტრადიციას, კვლავაც ჩემპიონატის მედლებისთვის, ერთ-ერთ ევროტურნირში სამონაწილეოდ იბრძოლებენ. მაშ, აქედანვე გავაფრთხილოთ კოლხები: გახსოვდეთ, ბიჭებო, „ცრვენას“ გაკვეთილები!

**იუზა ქაციტაძე**

## კოლხეთის შედეგები

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | ლოკომოტივი | 0:0 | შინ |
| 2 | ტორპედო | 1:5 | სტუმრად |
| 3 | გურია | 3:0 | შინ |
| 4 | დილა | 1:2 | სტუმრად |
| 5 | სამგურალი | 4:2 | შინ |
| 6 | მერანი | 3:0 | შინ |
| 7 | გორდა | 0:0 | სტუმრად |
| 8 | სიონი | 4:0 | შინ |
| 9 | თსუ | 4:2 | სტუმრად |
| 10 | არსენალი | 3:2 | შინ |
| 11 | ოდიში | 5:1 | შინ |
| 12 | ბათუმი | 1:2 | სტუმრად |
| 13 | ვიტ ჯორჯია | 2:1 | შინ |
| 14 | იბერია | 2:2 | სტუმრად |
| 15 | დინამო | 1:6 | სტუმრად |

| | თ | გ | ყ | წ |
|---|---|---|---|---|
| ელდარ გვასალია | 15 | 8 | 2 | 0 |
| ვანო კალანდაძე | 15 | 2 | 0 | 0 |
| ზურაბ ქაჩახია | 15 | -23 | 0 | 0 |
| ვალერი ტორჩინავა | 14 | 0 | 0 | 0 |
| მიხეილ ქობულაძე | 14 | 2 | 0 | 0 |
| ზაველი ლალანიძე | 14 | 1 | 2 | 0 |
| ჰამლეტ წიწივაძე | 14 | 11 | 3 | 0 |
| ბადრი ახვლედიანი | 12 | 0 | 1 | 0 |
| ირაკლი გიორგობიანი | 12 | 0 | 0 | 0 |
| გიორგი სუხიაშვილი | 11 | 3 | 0 | 0 |
| კახა გოროზია | 8 | 0 | 1 | 0 |
| ვანო შალამბერიძე | 8 | 1 | 1 | 0 |
| გელა გაბისონია | 7 | 4 | 1 | 0 |
| დავით ნოზაძე | 7 | 1 | 0 | 0 |
| ლევან შავგულიძე | 7 | 0 | 0 | 0 |
| მიხეილ კრასოვსკი | 6 | 1 | 0 | 0 |
| ელგუჯა პაპავა | 6 | 0 | 2 | 0 |
| ილო ქუტიძე | 6 | 0 | 0 | 0 |
| გოგიტა ქუნთელია | 5 | 0 | 0 | 0 |
| სპარტაკ ბაჩილავა | 3 | 0 | 0 | 0 |
| ბიძინა ჩემია | 2 | -2 | 0 | 0 |

შ-შინ; ს-სტუმრად; თ-თამაში; გ-გოლი; ყ-ყვითელი, წ-წითელი ბარათი




## საქართველოს ჩემპიონატი — 15 ტური

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 15 | 12 | 3 | 0 | 50:8 | 39 |
| ტორპედო | 15 | 11 | 2 | 2 | 42:14 | 35 |
| კოლხეთი | 15 | 8 | 3 | 4 | 34:25 | 27 |
| ლოკომოტივი | 15 | 6 | 9 | 0 | 18:6 | 27 |
| ბათუმი | 15 | 6 | 6 | 3 | 23:14 | 24 |
| დილა | 15 | 6 | 4 | 5 | 21:21 | 22 |
| იბერია | 15 | 5 | 3 | 7 | 26:31 | 18 |
| არსენალი | 15 | 4 | 6 | 5 | 19:25 | 18 |
| მერანი | 15 | 3 | 8 | 4 | 13:16 | 17 |
| ოდიში | 15 | 5 | 1 | 9 | 12:25 | 16 |
| გორდა | 15 | 3 | 7 | 5 | 12:18 | 16 |
| სიონი | 15 | 4 | 3 | 8 | 15:32 | 15 |
| ვიტ ჯორჯია | 15 | 5 | 2 | 8 | 15:17 | 14 |
| სამგურალი | 15 | 4 | 2 | 9 | 13:31 | 14 |
| თსუ | 15 | 3 | 4 | 8 | 14:22 | 13 |
| გურია | 15 | 3 | 1 | 11 | 17:39 | 10 |

„ვიტ ჯორჯიას“ დაკლებული აქვს 3 ქულა

## ქაიფია ამაღ ნაოძი

*ოდიში:* მოგესალმებით, სუფრის წევრებო. დღეს ჩვენი ფოთელი ძმის დაბადების დღეა. 85 წლის გახდა მაგი.

*გურია:* მერე მე რატომ არ ვიცოდი მაი ამბავი? არ გრცხვენია, ძამა, ასე ხელცარიელი რომ მომიყვანე?

*კოლხეთი:* გაჩუმდი, თუ კაცი ხარ, გახვრეტილი შაურიანი არ გიჭყავის ჯიბეში.

*ოდიში:* თავიკაცი ვარ და ნება მიბოძეთ, სუფრის თამადად ჩვენი მარადი ჩემპიონი დავნიშნო.

*ტორპედო:* დანიშნო კაია, ეგეც პრემიერ-მინისტრია?

*კოლხეთი:* არჩევნები ჩავატაროთ.

*ოდიში:* კენჭი ვყაროთ?

*არსენალი:* თუ გინდათ, ტყვია ვისროლოთ...

*იბერია:* იარაღი არ დამანახოთ! მე ხელის აწევა მირჩევნია.

*ოდიში:* როგორც ხედავთ, ხმათა უმრავლესობით...

*ტორპედო:* აბა, რა იქნება, ექვსი თბილისელია სუფრაზე და...

*თსუ:* ე შავი კაცები ვინ არიან, თავზე რომ დაგვდგომიან?

*ოდიში:* ესენი ანტონიჩის გამოგზავნილი მოსამსახურე პერსონალია.

*კოლხეთი:* ჰო, მართლა, დამკვირვებლებიც უკაცრავად, დამკვრელებიც მოვიწვიეთ იამანიძის ქუჩიდან.

*ლოკომოტივი:* შეკვეთები ლარებში თუ დოლარებში?

*კოლხეთი:* შვეიცარიულ ფრანკებში...

*დინამო:* ჩემს მოადგილედ ქუთაისელს ვნიშნავ!

*ტორპედო:* უკაცრავად, მანდამაინც ამ გორელის გვერდით მომიწია დაჯდომამ და ადგილს მოვინაცვლებ.

*კოლხეთი:* ძალიან გთხოვთ, დღეს მაინც მეცით პატივი და პირადული დაივიწყეთ.

*დინამო:* იასონ კვირკველიას სახით ყველა კოლხს გაუმარჯოს!

*ტორპედო:* მერე ჭიქით სვამ?

*დინამო:* განსხვავებულები მომიტანეთ, სწრაფად!

*ოდიში:* ოფიციანტებმა თქვეს, ორივე თასი აჭარელს აქვსო.

*ბათუმი:* შინ რომ დამრჩა?

*ლოკომოტივი:* დაგრჩა კი არა...

*დინამო:* ახია ჩემზე.. ჭიქით დავლიოთ.

*ტორპედო:* მეზობელო, კარგად დააკვირდი თამადას როგორ დალევს.

*სამგურალი:* თვალს არ მოვაცილებ.

*კოლხეთი:* რა, ესენი „თავო ჩემოს“ უკრავენ, გაგიჟდნენ?

*ოდიში:* გურულს შეუკვეთია...

*დინამო:* ამ სიმღერაზე გამახსენდა, ვინაც ჩვენს გვერდით ყოფნა უხაროდა და აღარ არიან...

*კოლხეთი:* ეეჰ, ის შევარდენივით ბიჭი, 1906-წლიანი იყო. თელაველი და ყვარლელი ბიჭებიც ხომ გახსოვთ...

*ტორპედო:* სამტრედიელი? მოდით, ფეხზე ავდგეთ.

*არსენალი:* შეიძლება სამგლოვიარო „ზალპი“ დავაქუხო?

*კოლხეთი:* ე, ბიჭო, ნუღარ ასმევთ მაგ ახალბედას...

*ტორპედო:* რას აქცევ ღვინოს პურზე, დალევა თუ არ შეგიძლია, თქვი!

*დილა:* ქართლელებმა ასე ვიცით და შარზე ხარ?

*კოლხეთი:* ძალიან გთხოვთ, დაწყნარდით.

*ლოკომოტივი:* 3 საათია, იმ რუსთაველს ვაკვირდები და ყბა არ გაუჩერებია.

*ვიტ ჯორჯია:* შეეშვი, ეგ ხუთი თვეა, ხეირიანად არ დანაყრებულა.

*თსუ:* მარილი არაა სუფრაზე. მარილი მოიტანოს ვინმემ!

*ოდიში:* არ შეაგინო, გაგაძევებენ...

*სიონი:* შეიძლება თბილისამდე შენი მატარებლით ვიმგზავრო?

*ლოკომოტივი:* ბარგი გაქვს?

*სიონი:* არც ბარგი მაქვს და არც ფული

*ლოკომოტივი:* მაშინ გაზაფხულზე ქულებით გამისტუმრებ...

*დინამო:* ჩვენს ჩემპიონთა ლიგას გაუმარჯოს!

*ტორპედო:* დათვრა და დაიწყო ბოდვა

*სამგურალი:* თუ ასე გაგრძელდა, ხონჩას იმერეთში...

*ოდიში:* არიქა, დაიშალეთ. „ლიმონკა“ გახსნა იმ...

*კოლხეთი:* ხომ გაგაფრთხილეთ, ნუ ასმევთ მაგ სალაგას-მეთქი!

# ფოთის «კოლხეთი». III ადგილი

*ვინმეს რომ ათივე ეროვნულ ჩემპიონატში ერთი და იმავე გუნდისთვის ეწინამძღოლოს? არის ასეთი პრეცედენტი. პირველ გათამაშებაში სოსო ფილიამ თორმეტი ტურის შემდეგ ჩაიბარა „კოლხეთი“ ჯონი ჯანელიძისგან. მეხუთე ჩემპიონატი ფოთელებმა გივლა იმნაძის თავკაცობით კი დაიწყეს, მაგრამ ფინიშთან გუნდი ფილიამ მიიყვანა, თანაც როგორ, ვერცხლის მედლები მოაპოვებინა. ეს იყო და, კოლხები ფილიას ხელში საპრიზო სამეულს აღარ გასცილებიან. ათი ჩემპიონატი. 90-ანი წლების ქართული ფეხბურთის ფილიასეული შეფასება:*

## მერ აფრინდების შრემი



სოსო ფილია

**— ბატონო სოსო, გვითხარით, წინ მივდივართ თუ უკან?**

— ძალიან ვრცელი თემაა, დაუსრულებლად შეიძლება ლაპარაკი, თუმც მოკლედაც ითქმის. სამწუხარო ფაქტის წინაშე ვდგავართ. ეროვნული ჩემპიონატის დონე წლიდან წლამდე კლებულობს. რა თქმა უნდა, ამის მიზეზთა მიზეზი ქვეყანაში არსებული საერთო ეკონომიკური სიდუხჭირეა. ცხოვრების ნებისმიერი სფერო ავიღოთ. ასეთ პირობებში რაიმე წარმატებაზე ფიქრი ზედმეტია. ჰოდა, არც სპორტი და, კერძოდ, ფეხბურთია გამონაკლისი. ყველაფერი დღევანდელი ყოფიდან გამომდინარეობს. როგორ უნდა შევაჩეროთ საქართველოდან კარგი ფეხბურთელების მიგრაცია, როცა მათ ელემენტარულ პირობებს ვერ ვუქმნით. რა გასაკვირია, რომ გარბიან. ვერცერთი ჩვენი კლუბი, მათ შორის „დინამო“, ვერ ინარჩუნებს მოთამაშეებს. ყოველი ახალი სეზონის წინ, ფაქტობრივად, ახალი გუნდების ჩამოყალიბება ხდება საჭირო. ორ თუ სამ თვეში კი, მწვრთნელი, რა მონდომებული და ნიჭიერი არ უნდა იყოს, ვერაფერს გახდება, ახალ გუნდს სათანადოდ ვერ მოამზადებს. ახლა ჩვენს მოედნებს, საწვრთნელ ბაზებს გადახედეთ. ამ ბოლო ცხრა წელიწადში გაკეთდა რამე მათ კეთილმოსაწყობად? პირიქით, რაც კარგი გვქონდა, ისიც ნადგურდება. გრიგოლეთში „გურიის“ ერთ დროს მშვენიერი ბაზა, ფაქტობრივად, გაპარტახებულია. „დინამოს“, „ტორპედოს“ ბაზები ავიღოთ. რამდენადაც ვიცი, ბევრად უკეთესად არც იქ არის საქმე. ახლა ჩვენი ინვენტარი, ტექნიკური აღჭურვილობა? საშუალო ევროპული დონის კლუბებთან შედარებით ქვის ხანაში ვართ. მავანნი საერთაშორისო ტურნირებში ჩვენი გუნდების უხეირო თამაშს მწვრთნელების დაბალ კვალიფიკაციას უკავშირებენ. არც უამისობაა, მაგრამ გეკითხებით, ზრუნავს კი ვინმე იმისთვის, რომ მწვრთნელებმა (ნაკრების ხელმძღვანელების გარდა) ცოდნა გაიღრმავონ? შემდეგ, ჩვენ გავიძახით, პროფესიული კლუბები გვყავსო. ტყუილია. საქართველოში პროფესიული კლუბი არ არსებობს. ყველანი მაინც სახელმწიფო სტრუქტურებზე ვართ მიბმულნი. „კოლხეთის“ მაგალითზე ვთქვათ. კლუბი გვქვია, თორემ პორტის ბიუჯეტზე ვართ დამოკიდებული. პორტი კი, მოგეხსენებათ, სახელმწიფოსია. კიდევ იცით რა არის ცუდი? არ ეწყინოს ჩვენი კლუბების პრეზიდენტებს, მაგრამ მათი 80-90 პროცენტი ფეხბურთში იმისთვის არ მოსულა, რომ საქმეში ფული ჩაედო და ერთდროულად ფეხბურთის განვითარებაზე და საკუთარ მოგებაზე ეზრუნა. უმრავლესობას მხოლოდ საკუთარი, ვიწრო ინტერესები ამოძრავებს. ამის გამო ბევრი გუნდი დაიქცა. „კოლხეთში“ მუშაობისას ბედნიერი ორწლიანი პერიოდი მქონდა, მაშინ, როდესაც კლუბს დავით კუპრეიშვილი პრეზიდენტობდა. ეს კაცი მართლაც რომ ალალად ემსახურა ფეხბურთს, მაგრამ ვერ გაუძლო, როცა ნამეტანი გაუჭირდა, ჩამოგვშორდა. ბავშვთა ფეხბურთს უნდა მიეხედოს აუცილებლად. სავალალო მდგომარეობაშია. საქართველო მაინც საფეხბურთო ქვეყანაა, ნიჭიერი ბიჭები არ გვაკლია, ოღონდ მათ პატრონობა სჭირდებათ.

**— თუ დასამალი არ არის, რამდენი უჯდება პორტს კლუბის შენახვა?**

— ყოველწლიურად დაახლოებით 350-400 ათასი ლარი. საარსებოდ ვკმარობთ. ამაზეც მადლობელი ვართ, პორტის გარდა საერთოდ არავინ გვეხმარება.

**— ვიდრე ჩემპიონატის პირველ წრეში „კოლხეთის“ გამოსვლაზე ვისაუბრებდეთ, მოსამზადებელ ეტაპზე ვთქვათ. თანაც სეზონი თქვენთვის უეფა-თი დაიწყო. იუგოსლავიურ „ცრვენა ზვეზდასთან“ სამარცხვინოდ დამარცხდით.**

— გეთანხმებით, ახალი საშინაო სეზონისათვის მზადება უეფა-ზე შეხვედრებს დაემთხვა და ფოთში და ბელგრადში სამარცხვინოდ დავმარცხდით. თავის მართლებას არ ვაპირებ, მაგრამ კლუბის ხელმძღვანელობასთან ერთად თავშივე დიდი შეცდომა დავუშვით. მე თურქეთში შეკრებაზე გამგზავრების კატეგორიული წინააღმდეგი ვიყავი, რადგანაც იქ სავარჯიშო პირობების და სპარინგ-პარტნიორების გარანტია არ გვქონდა. დიდი დავის შემდეგ მაინც მოხდა და წავედით. რასაც ველოდი, ის დაგვხვდა. ოთხმა დღემ ფუჭად ჩაიარა. მოედანზე არსად შეგვიშვეს, ტრასაზე დავრბოდით. მერე ისევ ჩვენი პრეზიდენტის ჯემალ ინაიშვილის პირადმა ნაცნობობამ ითამაშა როლი და, როგორც იქნა, ერთ-ერთ მინდორზე ერთჯერადი ვარჯიშის ნება დაგვრთეს. შეპირებული საკონტროლო თამაშებიც ბლეფი გამოდგა, ორჯერ სოფლის მოყვარული გუნდი გამოგვიყვანეს. ამიტომაც იძულებული გავხდით სახლში ორი დღით ადრე გამოვბრუნებულიყავით. თურქული შეკრება არაფერში წაგვადგა. პირიქით, უკუეფექტი მოგვცა — საპასუხისმგებლო მატჩების წინ ვერც სათამაშო ტაქტიკა დავადგინეთ და ვერც რგოლები შევათამაშეთ. ერთი სიტყვით, ისეთ ძლიერ მეტოქეს, როგორც „ცრვენა“ იყო, ვერაფერი დავუპირისპირეთ. ჩვენი ბიჭები ფიზიკურად მზად კი იყვნენ, რაშიც ტესტირებამ დაგვარწმუნა, მაგრამ მარტო „ფიზიკა“ საქმეს არ შველის.

**— თქვენ ჩემპიონატიც უხეიროდ დაიწყეთ. ფოთიდან „ლოკომოტივს“ ქულა გაატანეთ, მერე 1:5 ქუთაისში...**

— მოგეხსენებათ, ბელგრადული მატჩის შემდეგ ჩემპიონატამდე სულ ერთი კვირა იყო დარჩენილი. ამ ერთ კვირაში გუნდში ბევრი ცვლილება მოხდა. მიქაბერიძემ და მამუკა გვასალიამ თამაშისთვის თავის დანებება გადაწყვიტეს. ინალიშვილმა დარჩენა არ ისურვა, ვეტერანები გიორგაძე, მახარაძე და კაკაჩია ჩვენ თავად დავითხოვეთ. ხელმძღვანელობამ გუნდის გაახალგაზრდავება გადაწყვიტა. ახალი ფეხბურთელები კი გვყავდა, მაგრამ ძირითადის დადგენას, სათამაშო სქემის შემუშავებას დრო სჭირდებოდა. ეს დრო აღარ გვქონდა. სასტარტო „ჩავარდნა“ სწორედ ამან განაპირობა. მთელი თვე, ფაქტობრივად, მოსამზადებელი პერიოდის რეჟიმში მოგვიწია მუშაობა. იგივე შალამბერიძე, კალანდაძე, ახვლედიანი და მოგვიანებით გაბისონია უვარჯიშებლები მოვიდნენ ჩვენთან. აგვისტოში მხოლოდ ოთხი ქულა ავიღეთ, მაგრამ თანდათან დავლაგდით. სექტემბერ-ოქტომბერში თამაში არ წაგვიგია.

**— ნოემბერში რაღა დაგემართად. აგვისტოს შედეგი გამეორდა. ოთხ თამაშში 4 ქულა და თასისთვის ბრძოლასაც ჩამოსცილდით?**

— ვეცდები მოკლედ ავხსნა. წინა თვეებში პორტმა პირნათლად შეგვისრულა დანაპირები. ფინანსების მხრივ საპრეტენზიო არავის არაფერი ჰქონდა. მაგრამ 1 ნოემბერიც დადგა. ამ დღისთვის სპონსორს ფეხბურთელებზე საკონტრაქტო თანხის ნაწილი უნდა გაეცა. არ მოხერხდა. რუსეთში დაწყებულმა ინფლაციამ მარტო ფოთის კი არა, ბევრი სხვა ქვეყნის პორტების მუშაობა შეაფერხა. ძალიან ნაწყენი ვარ ფეხბურთელებზე, გაგებით რომ არ მოეკიდნენ ამ ამბავს და გაჯიუტდნენ. ნაწილმა წვრთნას უკლო, ნაწილმა საერთოდ აღარ ივარჯიშა. „დინამოსთან“ ბოლო თამაშზე გუნდი დიდი ხვეწნა-მუდარის შემდეგ დავითანხმეთ.

**— და მაინც, „ბათუმთან“, თუნდაც თასზე „ტორპედოსთან“ წაგებულ მატჩებშიც კი ცუდად არ გითამაშიათ...**

— იქნებ, ასეც იყო, მაგრამ ხომ შეიძლებოდა უკეთესი შედეგისთვის მიგვეღწია. ბოლოს და ბოლოს მარტო ფულით ხომ არ განისაზღვრება ყველაფერი, მითუმეტეს კლუბის ხელმძღვანელობა უმოკლეს დროში აპირებს ვალის გასტუმრებას, ჯერ სახელმწიფო ბიუჯეტთან გავასწორებინეთ ანგარიშიო.

**— საერთო ჯამში რა თანხაზეა ლაპარაკი?**

— ფეხბურთელებს 30 ათას ლარამდე ეკუთვნით.

**— პირველ წრეში მესამე ადგილზე დარჩით. არ უნდა იყოს ცუდი...**

— მაგაშიც გეთანხმებით. არ დაგიმალავთ, თავიდან საშუალედო ფინიშთან მეხუთე ადგილსაც ყაბულს ვიყავით, მოვძლიერდებით და მეორე წრეში ავანზლაურებთ-თქო. თავად თამაშს პლიუს-მინუსები, მგონი, თანაბრად ახლდა. სუსტად იდგნენ მეკარე და დაცვა, შედარებით უკეთესად გამოვიყურებოდით თავდასხმაში. 34 გოლი ცოტა არ არის.

**— შემადგენლობის არასტაბილურობაზე რას იტყვით?**

— არ მახსოვს, ამდენი ტრავმირებული მოთამაშე სხვა დროს რომ გვყოლოდეს. შალამბერიძე, ქუნთელია, ქუტიძე, სუხიაშვილი, ნოზაძე, გიორგობიანი, გოროზია, პაპავა. ამათ თამაშები სწორედ ტრავმების გამო გამოტოვეს. გვასალიაც ხშირად იტკიებდა წელს, იძულებით უთამაშია. დიდ იმედებს ვამყარებდით ახალგაზრდა ჩხენკელზე, მაგრამ ისიც ტრავმის გამო გამოგვეთიშა. მან მუხლის ოპერაცია გაიკეთა და, ალბათ, მეორე წრიდან შემოგვიერთდება.

**— ჩხენკელი, პაპავა ახსენეთ. რამდენიმეს კიდევ დაგისახელებთ: ბაჩილავა, კრასოვსკი, ჯღამაძე, ჩემია. ესენი ადგილობრივი ბიჭები არიან და საკმაო ხანია პერსპექტიულებად ითვლებიან, მაგრამ ძირითადში ვერა და ვერ ხვდებიან?**

— სწორად შენიშნეთ. უკვე დროა, მათ თავიანთი სიტყვა თქვან, ძირითადში დამკვიდრდნენ. მაგრამ, სამწუხაროდ, მათ დაოსტატებას რაღაც უშლის ხელს. რა არის ეს რაღაც? ამას დიდი დაკვირვება უნდა.

**— მეტოქეებზე რა აზრის ხართ?**

— დაწინაურებულ გუნდებს თუ გულისხმობთ, რამდენადაც ვიცი, მათაც ის პრობლემები აწუხებთ, რაც ჩვენ. გამონაკლისი, მგონი „ლოკომოტივია“. იგივე „დინამოს“, „ბათუმს“, „ტორპედოს“ ფინანსური სიძნელეები ჰქონდათ, თორემ უკეთესად შეეძლოთ თამაში. მათგან „ტორპედოზე“ შევჩერდები. ძალიან მომწონს. მე ვთვლი, რომ ამ ეტაპზე საუკეთესოა. მსუბუქი, მოძრავი გუნდია, კარგი ფეხბურთელები ჰყავს და დიდი პოტენციალი გააჩნია.

**— ეროვნულ ჩემპიონატში მოთამაშე ფეხბურთელებიდან თუ გამოარჩევდით ვინმეს?**

— ტორპედოელი ჯანაშიას თამაში ადრეც მომწონდა, მაგრამ წლევანდელთან რა შედარებაა. როგორც ჩანს, ამ ბიჭში სისწრაფემ, ოსტატობამ, გამოცდილებამ ერთად მოიყარეს თავი. „იბერიაში“ მოთამაშე ძმებს გოგიაძეებს ეტყობათ აშკარა პროგრესი. თუ ესენი საკუთარ თავზე მომავალშიც იმუშავებენ, დიდ ფეხბურთს ითამაშებენ. „ბათუმიდან“ ტულუშს გამოვარჩევდი.

**— ბუნებრივია, თქვენ უკვე მეორე წრეზე ფიქრობთ. „კოლხეთში“ ცვლილებები ხომ არ არის მოსალოდნელი?**

— კონკრეტულად ახლა ვერაფერს გეტყვით. ცვლილებები, რა თქმა უნდა, იქნება. სამ ფეხბურთელს ტრანსფერზე წარვადგენთ. მეკარის, გამთამაშებლის და, საერთოდ, რამდენიმე ფეხბურთელის დამატება აუცილებლად დაგვჭირდება.

**— წივწივაძეს „ლოკომოტივი“ და სხვა გუნდებიც რად დაეძებენ?**

— ჰამლეტმა პირველი წრე უკონტრაქტოდ ითამაშა. მისი გადასაწყვეტია, „კოლხეთში“ დარჩება თუ არა. მასთან ასე ვიყავით მოლაპარაკებულნი: თუ უცხოეთში არ წავა, ჩვენთან გააგრძელებს თამაშს.

**— ბატონო სოსო, ფედერაციაში ახალი ხელმძღვანელობა მოვიდა, დაწყებულია ლაპარაკი ჩემპიონატის ფორმულის შეცვლაზე, მონაწილეთა შემცირებაზე...**

— დარწმუნებული ვარ, მერაბ ჟორდანია ფედერაციაში საქმის გასაკეთებლად მოვიდა. საქმე კი უამრავია. ფედერაციას დახმარება სჭირდება და პირველ რიგში სახელმწიფოსგან. თუ ასე არ მოხდა, ფეხბურთს მყარი მატერიალური ბაზა არ შევუქმენით, რამდენიც უნდა ვცვალოთ ფორმულა, ვამციროთ თუ ვზარდოთ მონაწილეთა რაოდენობა, არაფერი გამოვა. გაფრინდება ურემი? შეიძლება მომავალში მართლა დაგვადგეს საშველი, მაგრამ კარგად დაიმახსოვრეთ ჩემი სიტყვები, სამეორეწრეოდ ძნელად თუ შეიცვლება რამე. ზოგი გუნდი 5 იანვარს შეუდგება მზადებას, ზოგი 20 იანვარს, ზოგი კი მეორე წრის სტარტამდე ერთი კვირით ადრე. და დაიწყება ძველებური...

**— „კოლხეთის“ ამოცანაც ძველებური იქნება?**

— ბოლო ხუთი ჩემპიონატია საუკეთესოთა სამეულში ვართ და, უკანდახევას, აბა, ვინ გვაპატიებს.

იუზა ძაციტაძე

# ჰამლეტ წივწივაძე: ვიფიქრებ და მერე გადავწყვეტ

*ჰამლეტ წივწივაძემ პირველი წრის 14 მატჩში 11 გოლი გაიტანა. ამიტომაც იყო, რომ ჰამლეტი „კოლხეთის“ საუკეთესო მოთამაშედ ვაღიარეთ. წივწივაძე თამაშის ძალისმიერი მანერით გამოირჩევა. იგი ხასიათითაც შეუპოვარია, თავითაც კარგად თამაშობს და რომ არა ჩვენი უსახური ჩემპიონატი ვინ იცის, იქნებ დღემდე მეტისთვისაც მიეღწია.*



ჰამლეტ წივწივაძე (№10) ორ მცველსაც ხშირად დასხლტომია

**— წასვლა საბოლოოდ გადაწყვიტე თუ ქართულ ვარიანტზეც ფიქრობ?**

— გადაწყვეტით არაფერი გადამიწყვეტია, მაქვს წინადადებები. როგორ მოვიქცევი, ამას ცოტა მოგვიანებით შეიტყობთ. იმას კი გეტყვით, რომ თუ საქართველოში დავრჩები, აუცილებლად ამბიციურ გუნდში გავაგრძელებ თამაშს. არ გამოვრიცხავ „კოლხეთში“ დარჩენასაც, თუკი გუნდში ფინანსური სიტუაცია მოგვარდა. ისე, „კოლხეთის“ ხელმძღვანელობა ჩემით კმაყოფილია და დაინტერესებულიცაა, რათა მეორე წრეც ფოთში ვითამაშო.

**— შენი კმაყოფილები კი არიან, მაგრამ გუნდის თამაში პირველ წრეში როგორ შეაფასე?**

— დამაკმაყოფილებლად. გეცოდინებათ, რომ „კოლხეთი“ ყოველწლიურად რომელიმე ევროტურნირზე გასვლას გეგმავს და წლეულსაც ამას ეცდება. საერთოდ, ვინც ამ გუნდს დააკვირდება, შეამჩნევს, რომ კოლხები სეზონს როგორღაც დუნედ იწყებენ, მაგრამ მერე და მერე მდგომარეობას გამოასწორებენ ხოლმე და სეზონს, როგორც წესი, პრიზიორად ამთავრებენ. ვფიქრობ, წლეულსაც ასე იქნება, პირველი წრის სტარტზე დაკარგულს „კოლხეთი“ მეორე წრეში აინაზღაურებს.

**— როგორც ჩვენთვის ცნობილია, „კოლხეთის“ თამაშს ფინანსურმა სიძნელეებმაც დაასვა დაღი...**

— ნაწილობრივ ასეცაა, მაგრამ ფინანსურმა გაჭირვებამ სეზონის ბოლოს უფრო იჩინა თავი. მანამდე სავარჯიშო პროცესი ნორმალურად მიმდინარეობდა, შეიძლება ითქვას, გუნდის ვარჯიშს უფულობა არც კი დასტყობია, მაგრამ წრის ბოლოს ფილიას თხოვნა რომ არა, შეიძლება „დინამოს“ წინააღმდეგ არც კი გვეთამაშა.

**— თავიდან ბომბარდირთა სიაში ლიდერობდი, მერე კი სხვებმა გაგასწრეს. როგორ ფიქრობ, შეგეძლო მეტის გატანა?**

— ალბათ, მომენტები საკმაოდ მქონდა, მაგრამ... ზოგჯერ მეტოქის მეკარე თამაშობდა კარგად. ზოგჯერ პასი არ იყო ხოლმე მოხერხებული. თუმცა თერთმეტი გოლიც არ არის ურიგო შედეგი.

**— ჰამლეტ, ქართველ თავდამსხმელთა შორის თავით კარგად თამაშით ბევრი ვერ დაიკვეხნის. ამ მხრივ, ბევრს სჯობიხარ.**

— თავით თამაში ბავშვობიდან მემარჯვებოდა. ვვარჯიშობდი კიდეც, ამას უფრო ბუნებრივ მონაცემებს ვუმადლი.

**— ახლა თითქმის ყველას უცხოეთისკენ უჭირავს თვალი. შენც რატომ გსურს საქართველოდან წასვლა?**

— ჩვენში, ელემენტალურად, ფეხბურთელი ვერ გაიზრდება. ეროვნული ჩემპიონატის დაბალი დონე და ცუდი პირობებია უმთავრესი მიზეზი. ამიტომ მინდა წასვლა. ახლა ბევრს ლაპარაკობენ გუნდების რაოდენობის შემცირებაზე პირველ ჯგუფში, მაგრამ ისიც ხომ სათქმელია, რომ თუკი ფეხბურთელს სავარჯიშო და სათამაშო პირობები არ ექნა, მარტო გუნდების შემცირება არ გვიშველის.

**— წასვლას აქამდეც აპირებდი, ისრაელშიც ყოფილხარ. რუსული ვარიანტებიც გქონდა, ერთი ხანობა თითქოს „კაიზერსლაუტერნიც“ გეპატიჟებოდა. ახლა ხომ არ დაგიკონკრეტდება, კერძოდ, სად აპირებ წასვლას?**

— სჯობს, ამის შესახებ ჯერ არაფერი ვთქვა. მეორე წრის დაწყებამდე კარგა შორია, დრო საკმაოდ მაქვს. ვიფიქრებ და მერე გადავწყვეტ. არ მინდა, ნაჩქარევი გადაწყვეტილება მივიღო.

კონსტანტინე გოგიშვილი

# ალტერნატივა № 1

*მოვიდა თუ არა სფფ-ს სათავეში, ახალმა პრეზიდენტმა კეთილი ნება გამოიჩინა და ქართული ფეხბურთის ბედითა და მომავლით ყველა დაინტერესებულს თანამშრომლობა შესთავაზა. სფფ-ს მესვეურებმა სპეციალისტებიც მიიწვიეს თავისთან და სთხოვეს, პათ, ერთად მიეხედათ ჩვენი ფეხბურთისთვის.*

*ვერაფერს იტყვი, კეთილშობილი ჟესტია. ყველაზე სასიხარულო კი ისაა, რომ სფფ-ს ახალი მესვეურები სწორად უდგებიან საქმეს. ფეხბურთის ფედერაცია აღარ არის „ქაჯეთის ციხე" და მისი მესვეურები თანამშრომლობენ ყველასთან, ვინც კი კონსტრუქციულ და საქმიან მოსაზრებას შესთავაზებს მათ.*

*სწორედ ამით დავიწყეთ საუბარი სპორტის აკადემიის ფეხბურთის კათედრის უფროს მასწავლებელ თამაზ ჯაშთან, რომელსაც თავისი აზრი აქვს საერთოდ ქართული საფეხბურთო სტრუქტურის შესახებ და როგორც თვითონ გვითხრა, უკვე შეხვდა კიდეც სფფ-ს პრეზიდენტს.*

— იმით დავიწყებ, რომ სფფ-ს ახალი ხელმძღვანელობა სწორ გზას დაადგა. მათი საქმიანობიდან უკვე გამოჩნდა, რომ სხვის აზრს პატივს სცემენ. რაც შეეხება თვითონ ჩემს პოზიციას, მას არავის ვახვევ თავს. ეს წმინდად ჩემეული პროექტია და თუკი ქართული ფეხბურთის მომავალს რაიმეში წაადგება, სასიხარულო იქნება.

მე ჩემი შეხედულება მაქვს ეროვნულ ჩემპიონატზე, მის გუნდურ მოწყობაზე, ბავშვთა საფეხბურთო სკოლებზე, მსაჯობაზე, მწვრთნელებზე და ეროვნულ ნაკრებზე, რომელიც, ალბათ, დამეთანხმებით, სამართლიანად მიმაჩნია ქართული საფეხბურთო პირამიდის მწვერვალად.

დავიწყებ უმთავრესით — ბავშვთა საფეხბურთო სკოლებით, რომლებიც ნებისმიერ საფეხბურთო ქვეყანაში ფეხბურთის საფუძველს წარმოადგენს. ჩვენს ბავშვთა ფეხბურთში, ისევე, როგორც ქართულ ფეხბურთში მთლიანად, სავალალო მდგომარეობაა. სიტუაციის გამოსწორება კვალიფიცირებული ბავშვთა მწვრთნელებიდან უნდა დავიწყოთ. თვითონ მიმუშავია მწვრთნელად და კარგად ვიცი, რა და როგორ ხდება საფეხბურთო სკოლებში. ბავშვებთან ბევრი არაპროფესიონალი მუშაობს. მათ ელემენტარულ ანატომიაზეც არა აქვთ წარმოდგენა და როდესაც ბავშვი ვარჯიშის ან თამაშის დროს ტრავმას იღებს, ბევრი მათგანი პირველად დახმარებასაც ვერ უწევს. ჩემი აზრით, სპორტის აკადემიის ფეხბურთის კათედრის ბაზაზე უნდა გაიხსნას ბავშვთა მწვრთნელების მოსამზადებელი ერთწლიანი კურსები, სადაც პროფესიონალ მწვრთნელებს სპეციალური სასწავლო მეთოდიკით და ლიტერატურით მოამზადებენ. ამან როგორმე სისტემის სახე უნდა მიიღოს და მოწესრიგდეს, თორემ, თვითონ განსაჯეთ, ნებისმიერ მოხალისეს, ვინც კი ოც შეგირდს მოუყრის თავს და ბურთს გააგორებინებს, მწვრთნელი ჰქვია.

გადასახედია მსაჯთა კვალიფიკაციის საკითხიც. ჩემი მოსაზრების თანახმად, უნდა მოხდეს მსაჯთა კატეგორიების დიფერენცირება, დაწესდეს გარკვეული ფულადი ნიხრი და კონკრეტულ მსაჯს კვალიფიკაციის მიხედვით მიეცეს გასამრჯელო.

ვფიქრობ, მსაჯს მატჩის შემდგომი შეფასება სფფ-ს დელეგატთან ერთად მონაწილე გუნდების მწვრთნელებმაც უნდა მისცენ. მართალია, ასეთ შემთხვევაში სრულიად შესაძლებელია, წაგებული გუნდის მწვრთნელს ემოციამ სძლიოს, მაგრამ მე მაინც მჯერა, რომ ობიექტურობა თავისას გაიტანს. არბიტრის კვალიფიკაციის დონეც ამ შეფასებებიდან გამომდინარე უნდა გაიზომოს. იმ მსაჯს, რომელსაც სეზონის განმავლობაში მაღალი შეფასებები ექნება, შედარებით მაღალი ანაზღაურება უნდა მიეცეს, სხვებს — უფრო ნაკლები. ისინი კი, რომლებიც ვერ დააკმაყოფილებენ გარკვეულ მოთხოვნებს და დაბალ შეფასებასაც მიიღებენ, უფრო დაბალ ჯგუფში უნდა დააქვეითონ. ამ სისტემის თანახმად მსაჯები თავიანთ მოქმედებას მინდორზე მეტ კონტროლს გაუწევენ, დაინტერესებაც მეტი ექნებათ (თუნდაც მატერიალური თვალსაზრისით) და თქმა არ უნდა, მათი კვალიფიკაციის დონეც ამაღლდება.

ეროვნული ჩემპიონატის გუნდურ მოწყობაზეც მაქვს ჩემი აზრი. გუნდების რაოდენობის შემცირებაზე დიდი ხანია, კამათობენ. იმასაც ამბობენ, რომ პირველი ჯგუფი რეგიონალური პრინციპით უნდა დაკომპლექტდეს. ეს მოსაზრება ძირეულად მცდარია. ჯგუფი უნდა შეიქმნას მხოლოდ და მხოლოდ სპორტული პრინციპით და გუნდი უნდა ჰყავდეს იმ რეგიონს, რომელსაც მისი შენახვის თავი და სურვილი ექნება. გავიხსენოთ წარსული.

მე თვითონ „გურიაში" ვთამაშობდი და კარგად ვიცი, აწ განსვენებულ ევგრაფი შევარდნაძეს რამხელა წვლილი მიუძღოდა საერთოდ „გურიის" არსებობაში. სხვა მეცენატური სულისკვეთების ადამიანებიც გვყავდნენ. თუნდაც ტყიბულისა და ჭიათურის მაგალითები მოვიყვანოთ, სადაც სწორედ რაიონის თავკაცების მეოხებით არსებობდნენ გუნდები.

ვერაფრით გამიგია, რატომ ვერ უნდა შეძლოს კახეთმა თუნდაც ერთი გუნდის შენახვა. ვისაც პირველ ჯგუფში გუნდის ყოლა სურს, კეთილი უნდა ინებოს და ხელიც გამოიღოს. თუკი ჯგუფები რეგიონალური პრინციპებით ვაკომპლექტეთ, ბევრს ვერაფერს მოვიმკით.

ახლა გუნდების რაოდენობაზეც. პირველ ჯგუფში აუცილებლად უნდა შემცირდეს გუნდების რაოდენობა (თორმეტი თუ ათი, ამას არა აქვს არსებითი მნიშვნელობა). მართალია, მსოფლიოს ფეხბურთის პრინციპებიდან გამომდინარე მასობრიობა დგას დღის წესრიგში, მაგრამ ჩვენი დონის გათვალისწინებით მეორე ჯგუფში არა უმეტეს ოცი კლუბისა უნდა თამაშობდეს. ყველა სხვა გუნდი კი მესამე ჯგუფის ზონებში უნდა გადანაწილდეს.

ჩემეულ პროექტში დიდი ყურადღება ეთმობა ეროვნულ ნაკრებსაც, რომელიც, როგორც უკვე აღვნიშნე, ჩვენი საფეხბურთო პირამიდის მწვერვალად მიმაჩნია. ეროვნულ ნაკრებში კონკურენცია რომ გაიზარდოს, ლეგიონერებს შემცვლელები გამოუჩნდნენ და მსოფლიო ან ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი თამაშების დროს არ გვიხდებოდეს ექსპერიმენტების ჩატარება, ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილე ფეხბურთელებისგან ოთხი ნაკრები უნდა შეიქმნას — დასავლეთის, აღმოსავლეთის, მეორე ჯგუფისა და ახალგაზრდული ნაკრები. ამ ნაკრების კანდიდატები უნდა შეირჩეს სეზონის შედეგების მიხედვით. იცით, რითაა კარგი ეს იდეა? ჯერ ერთი, პირველი ნაკრების მწვრთნელებს სელექციის მეტი საშუალება მიეცემათ, მეორეც, ფეხბურთელებსაც თავის გამოჩენის მეტი შანსი ექნებათ. არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ ამ ოთხ ნაკრებს თავიანთ ხელმძღვანელთა შემადგენლობა ეყოლება, ესე იგი, მათი სახითაც ფიქრიანი ხალხი შეემატება ქართველ მწვრთნელთა რიგებს. სეზონის განმავლობაში ამ ოთხმა ნაკრებმა უნდა გაითამაშოს სფფ-ს თასი, რომელსაც რაც შეიძლება სოლიდური სახე უნდა მიეცეს. სხვანაირად ამ შეჯიბრების ჩატარებას აზრი არ ექნება. რა თქმა უნდა, სოლიდურობა თავის მხრივ დაკავშირებულია სერიოზულ ფინანსებთან, მაგრამ თუ ქართული ფეხბურთის წინსვლა გვსურს, ფულის დახარჯვაც უნდა გვინდოდეს. ახლა ვისაუბროთ იმაზე, თუ რატომ იქნება ეს იდეა მიზანშეწონილი. როგორც ყველასთვის ცნობილია, ეროვნულ ნაკრებში უკეთეს შემთხვევაში თხუთმეტი-ოცი ფეხბურთელია დაკავებული, სხვებს კი, უბრალოდ, არა აქვთ თავის გამოჩენის საშუალება. არადა, ქართულმა ფეხბურთმა ისეთი მაგალითებიც იცის, როცა სპორტსმენი ოცდახუთი-ოცდაშვიდი წლის მერე „იხსნება". სწორედ ამგვარი ტიპის ფეხბურთელებს მიეცემათ სფფ-ს თასზე მონაწილეობისას შანსი, ოღონდ, კიდევ ვიმეორებ, ამას სოლიდური სახე უნდა ჰქონდეს.

ეროვნული ნაკრების საკეთილდღეოდ კარგი იქნება, თუ შეიქმნება ერთი ალტერნატიული ნაკრებიც, სადაც თავს მოიყრიან სფფ-ს თასზე თავგამოჩენილი ფეხბურთელები. ალტერნატიული ნაკრების კანდიდატს უნდა შეეძლოს ეროვნული გუნდის ნებისმიერი წევრის შეცვლა გარკვეულ ეტაპზე. ამით, ერთხელაც გავიმეორებ, თავს ავარიდებთ შესარჩევი მატჩების წინ ექსპერიმენტებს.

აი, ძირითადად ის თეზისები, რომლებიც უკვე შევთავაზე სფფ-ს ახალ პრეზიდენტს. მან ყურადღებით მომისმინა და გარკვეულწილად ვითანამშრომლებთ კიდეც. არ ვიცი, რამდენად ყურადსაღებია ჩემი პროექტი, მაგრამ ეს არის მხოლოდ და მხოლოდ მოსაზრება, რომელსაც არავის ვახვევ თავზე. ძალიან გამახარებს, თუ რაიმეთი შევუწყობ ქართულ ფეხბურთს.

ერთი საგაზეთო წერილი, რა თქმა უნდა, მთლიანად ვერ ასახავს ბატონი თამაზ ჯაშის მოსაზრებას, მაგრამ „სარბიელის" ფურცლებიდან მისი პროექტის ძირითადი საკითხები კი მოგაწოდეთ. იმედია, სხვა სპეციალისტებიც გამოეხმაურებიან სფფ-ს ახალი მესვეურების მოწოდებას თანამშრომლობის შესახებ. ეგებ ნაყოფიც გამოიღოს ყოველივემ.

**კონსტანტინე გოგიშვილი**



თამაზ ჯაში

გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

# სპარტაკი ბორჯომს ზღვას ამჯობინებს

ბოლნისის „სიონში" მომხდარ ამბებზე ამას წინათ გამცნეთ. ისიც გაუწყეთ, რომ გუნდის დატოვებას მცველი გიორგი ძნელაძე ეშურებოდა. როგორც შევიტყვეთ, ბოლნისური კლუბის ხელმძღვანელობას ძნელაძისთვის განთავისუფლების ფურცელი უკვე მიუცია. „კაჟრუკა" ჯერჯერობით აქაა, კარიერის გაგრძელება კი ისევ რუსეთში მოუწადინებია (ძნელაძე ადრეც რუსეთში ბურთაობდა — გვ.) „სიონი" დატოვა ვეტერანმა გივი ქობულაშვილმაც, იგი ჯერჯერობით უგუნდოდაა. საქმე ისაა, რომ მას ვერ გადაუწყვეტია, ბუცები ლურსმანზე ჩამოკიდოს თუ კვლავ გააგრძელოს ფეხბურთის თამაში. დანარჩენები კი კვლავ გუნდში არიან.

ცნობილი გახდა ბოლნისელთა სამეორე წრეოდ მოსამზადებელი გეგმაც. „სიონის" თავკაცი სპარტაკ არჩვაძეს შეგირდები ახლა შვებულებაში ჰყავს გაშვებული, შეკრებით კი გუნდი შობის მეორე დილას, 8 იანვარს შეიკრიბება. ბოლნისელებს, მათი პრეზიდენტის შუქრი დევნოზაშვილისა და მერაბ ჯაფარიძის ხელშეწყობითა და თანადგომით მეორე წრისთვის ნაყოფიერი მომზადება განუზრახავთ, ისინი თავიდან თბილისში გაივლიან მზადებას.

— „თბილისური შეკრების ნაყოფიერად გამოსაყენებლად ამინდზეც ბევრი რამ იქნება დამოკიდებული — გვითხრა არჩვაძემ — თუ კარგი ამინდები იყო, მაშინ გარეთ, თუ არა და იძულებულნი ვიქნებით დიღუბეში, მძლეოსნობის მანეჟში მოვემზადოთ ბიჭები ჯერ ერთი კვირა ფიზიკურად მოემზადებიან, შემდეგ კი მინდორზე გადაინაცვლებენ და ბურთთან ივარჯიშებენ. მოსამზადებელი პერიოდის მეორე ეტაპის გავლას კი ქობულეთში ვაპირებთ, იქ ამ დროისთვის გუნდებიც იქნებიან და რამდენიმე საკონტროლო თამაშსაც გავმართავთ. ქობულეთში, სავარაუდოდ, 20 დღეს დავყოფთ. არის ბორჯომის ვარიანტიც, მაგრამ, ალბათ, უფრო ქობულეთს გავეშურებით. არჩვაძემ ისიც დაამატა, ყველანი ჯანზე არიან, მეკარე თემურ ვოლკოვმაც მოირჩინა ხელი, ის კი არა, რამდენიმე მოთამაშის დამატებაც მსურს, თუკი დავიყოლიე, ხომ კარგიო. ესენი ალბათ „ვიტ ჯორჯიადან" ახლახანს დათხოვნილი — აბაზაძე, დვალიშვილი, ენუქიძე და კვიციანი იქნებიან.

**გიორგი ბაშაკიძე**

# ვიტელებმა ჯანზე ვართო

მეათე ეროვნულის პირველი წრე „ვიტ ჯორჯიამ" წარმატებულად დაიწყო და მე-3 ტურში გათამაშების ლიდერადაც მოგვევლინა, მაგრამ შემდეგ რატომღაც კრიზისული პერიოდი დაუდგა. გუნდმა ზედიზედ ოთხი შეხვედრა წააგო და მთავარი მწვრთნელი სპარტაკ არჩვაძეც მოისაკლისა. თუმცა მისმა შემცვლელმა ჯემალ მახარაშვილმაც ვერ შეძლო ფეხბურთელების ჩვეულად ათამაშება, არადა, კლუბში ფინანსური თვალსაზრისით ყველაფერი რიგზე იყო. ყოველივეს მცველ ჭანკოტაძის მიერ მსაჯის ფიზიკური შეურაცხყოფის გამო დაკლებული 3 ქულაც დაერთო და ვიტელებმაც პირველი წრე მე-13 საფეხურზე ჩაამთავრეს.

საქმის გამოსწორების მიზნით გუნდში სერიოზული ცვლილებებია. გუშინ დავუკავშირდით „ვიტ ჯორჯიას" პრეზიდენტს გურამ რუხაძეს, რომელმაც გვამცნო, რომ კლუბიდან დაითხოვეს აბაზაძე, დვალიშვილი, კვიციანი და ენუქიძე. მიზეზი წმინდა სპორტული ფაქტორია. ფეხბურთელები ვერ აკმაყოფილებდნენ მწვრთნელის მოთხოვნებს.

რიგის „სკონტოში" გასინჯვაზე იმყოფება ვიტელთა მარჯვენა მცველი ზურაბ მენთეშაშვილი. ოღონდ იმ პირობით, რომ თუ მას ბალტიისპირელები არ დაიტოვებენ, მაშინ ზურა ვალდებულია, კვლავ „ვიტ ჯორჯიას" დაუბრუნდეს.

რაც შეეხება შევსებას, პრეზიდენტმა გვითხრა, დღეისათვის გუნდი შვიდ ფეხბურთელთან აწარმოებს მოლაპარაკებას, ისინი სხვადასხვა ქართული კლუბების წევრები არიან და მათგან ხუთს უცილოდ დავიმატებთო.

გურამ რუხაძემ ახლების ვინაობის გამხელისგან თავი შეიკავა, თუმცა თითოეულის ამპლუა გაგვანდო — ორი მცველი, სამი ნახევარმცველი და ორი თავდამსხმელი.

„ვიტ ჯორჯია" 29 დეკემბერს შეიკრიბება. ფეხბურთელებს დეკემბრის ხელფასები და პრემიალურები დაურიგდებათ და საახალწლოდ შინ გაუშვებენ.

5 იანვრიდან გუნდი თბილისში შეუდგება მზადებას. შემდეგ წვრთნას დასავლეთ საქართველოში გააგრძელებს. თებერვალში კი უცხოეთს სტუმრობასაც აპირებს.

ფინანსური პრობლემები არ გვაწუხებს, გუნდში მშვენიერი სიტუაციააო — გვითხრა საუბრის დასასრულს კლუბის პრეზიდენტმა.

**ხვიჩა სანიკიძე**



სპარტაკ არჩვაძე

ბადრი კოთოლაძის ფოტო

# საქართველო ვაკეში

20 დეკემბერს, ვაკეში, სტუდქალაქის ტერიტორიაზე მოწყობილ ბავშვთა ხელოვნურ საფარიან მოედანზე ნოდარ ახალკაცის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი დაიწყება 1989-90 წლებში დაბადებულ ნორჩებს შორის.

ამჟამად, ფედერაციაში არსებულ ბავშვთა ფეხბურთის კომიტეტში მიმდინარეობს განაცხადების წარდგენა. ტურნირში მონაწილეობა ამ ასაკობრივი ჯგუფის ნებისმიერ გუნდს შეუძლია.

# სკონტოს ორი ქართველი ეცოტავა

რიგის „სკონტო" ნიჭიერი ქართველი ფეხბურთელებით ზედმეტად რომაა დაინტერესებული, ახალი ამბავი არ არის. ამ გუნდში ბოლო წლებია, რამდენიმე ჩვენებური ბურთაობდა, მაგრამ მოხდა ისე, რომ დღეისათვის „სკონტოსთვის" მხოლოდ ორი ქართველი — ეროვნული ნაკრების წევრი ლევან სილაგაძე და ალეკო რეხვიაშვილი ირჯება.

ჰოდა, ლატვიელებმაც — ბიჭებმა არ მოიწყინონო და კიდევ სამ ქართველს უხმეს გასასინჯად. როგორც „ვიტ ჯორჯიას" პრეზიდენტმა გურამ რუხაძემ გვამცნო, ვიტელ მცველ ზურაბ მენთეშაშვილთან ერთად რიგაში იმყოფებიან „არსენალის" გამთამაშებელი ლევან კორღალიძე და „ოდიშის" მარცხენა მცველი ლუხუმ ჯაბუა.


Ayety TV

მრავალარხიანი საკაბელო ტელევიზია

პირველი სთავაზობს თბილისის მოსახლეობას საახალწლო საჩუქარს

პირველ 250 მსურველს ვთავაზობთ მონტაჟისა და 2 თვის სააბონენტო გადასახადის წინასაახალწლო ტარიფებს

| | | | |
|---|---|---|---|
| უნივერსალური პაკეტი | - 40 ლარი - | 76-ის ნაცვლად | (12 არხი) |
| სტანდარტული პაკეტი | - 60 ლარი - | 90-ის ნაცვლად | (14 არხი) |
| პრემიალური პაკეტი | - 80 ლარი - | 106-ის ნაცვლად | (20 არხი) |
| ელიტარული პაკეტი | - 100 ლარი - | 120-ის ნაცვლად | (22 არხი) |

გაუკეთეთ თქვენს ოჯახს საახალწლო საჩუქარი ამ ფასად

93 47 33 ☎ 92 12 66

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

## ინგლისი

### ჩელსი 2:1 ასტონ ვილა

1:0 ძოლა (30), 1:1 ჰენდრი (32), 2:1 ფლო (90)
ჩელსი: დე გუი, პეტრესკუ, ბაბაიარო (პოიეტი 79), ლებეფი, დესაი, ვიალი, დიუბერი, ლე სო, დი მატეო, ფერერი, ძოლა (ფლო 66)
ასტონ ვილა: ოუქსი, რაიტი, საუთგეიტი, ეპიოგუ, უოტსონი, ტეილორი, ტომპსონი, ჯოაკიმი (კოლიმორი 82), დაბლინი, ბერი, ჰენდრი
გაფრთხილება: დი მატეო, ვიალი, ტომპსონი, ბერი, ჰენდრი, კოლიმორი, დაბლინი
მსაჯი: უილკი



სელესტინ ბაბაიარო

„სტემფორდ ბრიჯზე“ შეკრებილი 35 ათასამდე გულშემატკივარი უკვე შეგუებული იყო, რომ მათი საყვარელი „ჩელსი“ ლიდერ „ასტონ ვილას“ ველარ მოუგებდა. მსაჯის მიერ დამატებული დროის მე-4 წუთზე ბირმინგემელთა კართან კუთხური დაინიშნა და მის ჩამოსაწოდებლად ბურთთან რობერტო დი მატეო მივიდა. იტალიელი ნახევარმცველის ზუსტ გადაცემას ჯერ ასევე იტალიელი ჯანლუკა ვიალი გამოეხმაურა, შემდეგ კი მათი თანამემამულის ჯანფრანკო ძოლას შემცვლელი ნორვეგიელი ახმახი ტორე ანდრე ფლო და კარიერაში, ალბათ, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გოლი გაიტანა.

— დიდი მადლობა ფლოს. მან გოლის გატანის შესაშური ალღო გამოავლინა და „ჩელსის“ ჰაერივით საჭირო ქულები მოუპოვა. დღესდღეობით მშვენიერ ფორმაში ვიმყოფებით და ვგრძნობ, რომ მეტიც შეგვიძლია. უკვე ჩემპიონობის რეალურ კანდიდატებად აღგვიქვამენ, რაც მეტად მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს ჩვენს ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე. ეს, უბრალოდ, სასიამოვნოცაა. წინ დიდი და მძიმე გზა გვაქვს და მინდა, ყველამ იცოდეს — ჩვენ მას ღირსეულად გავივლით — ლონდონელთა მოთამაშე-მწვრთნელის ჯანლუკა ვიალის სიამაყეს საზღვარი არ ჰქონდა და არცთუ უსაფუძვლოდ.

„ჩელსის“ უფროსობამ სეზონის დასაწყისში ახალი ვარსკვლავების შესაძენად უზარმაზარი თანხა გაიღო, მაგრამ დაიწყო პრემიერლიგის გათამაშება და „არისტოკრატებმა“ მშობლიურ ფანობას ვერაფერი შესთავაზეს დასამახსოვრებელი და იმედისმომცემი. კი, გუნდში მრავლად იყვნენ უმაღლესი კლასის ფეხბურთელები, თუმცა, როგორც ხშირად ხდება ხოლმე ასეთ შემთხვევებში, მინდორზე მათ ურთიერთგაგება აკლდათ.

მიუხედავად ამისა, თანდათანობით ყველაფერი გამოსწორდა და ლონდონელებმაც დაიწყეს გაცემული ავანსების გამართლება. გუნდი შეთამაშდა, ერთ მუშტად შეიკრა და შედეგიც სახეზეა — „ჩელსი“ მესამე ადგილზეა, ლიდერს მხოლოდ ორი ქულით ჩამორჩება და თამაშით ნაკლები აქვს ჩატარებული. ამას კი ლონდონური კლუბი პირველ რიგში ვიალის უნდა უმადლოდეს.

თასთა თასის მფლობელმა გუშინწინ აშკარად დაჯაბნა ამბიციური „ასტონ ვილა“, ყველა რგოლში აჯობა და ის, რომ გამარჯვების გოლი მხოლოდ 94-ე წუთზე გაიტანა, უიღბლობის ბრალია. ვიალის შეგირდებმა რამდენიმე ძალიან სახიფათო მომენტი შექმნეს. მიზანთან ახლოს იყვნენ თავად თავხოტორა იტალიელი, ჩია სარდინიელი ძოლა, ესპანელი მცველი ალერტ ფერერიც კი, ხოლო სულ ბოლოს, 90-ე წუთზე, გრემ ლე სომ ითამაშა არაზუსტად.

რაც შეეხებათ საკუთარ კართან მიჯაჭვულ ბირმინგემელებს, მათ ერთადერთი ხიფათი (ყმაწვილი ლი ჰენდრის გოლს თუ არ ჩავთვლით), მატჩის დებიუტში შექმნეს ედ დე გუის კართან, მაგრამ ტანმორჩილი ჯულიან ჯოაკიმის დარტყმული ბურთი მიზანს მცირე მანძილით ასცდა.

პრემიერლიგაში ინტრიგამ იმატა.

**დავით ძოვზირიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ასტონ ვილა | 16 | 8 | 6 | 2 | 24:15 | 30 |
| მანჩესტერი | 15 | 8 | 5 | 2 | 31:17 | 29 |
| ჩელსი | 15 | 7 | 7 | 1 | 24:14 | 28 |
| ლიდსი | 16 | 6 | 8 | 2 | 26:14 | 26 |
| არსენალი | 16 | 6 | 8 | 2 | 15:7 | 26 |
| ვესტ ჰემი | 16 | 7 | 5 | 4 | 20:20 | 26 |
| მიდლსბრო | 16 | 5 | 9 | 2 | 26:19 | 24 |
| უიმბლდონი | 16 | 6 | 5 | 5 | 21:26 | 23 |
| ლივერპული | 16 | 6 | 4 | 6 | 27:21 | 22 |
| დერბი | 16 | 5 | 7 | 4 | 15:14 | 22 |
| ტოტენჰემი | 16 | 6 | 4 | 6 | 21:24 | 22 |
| ლესტერი | 16 | 5 | 6 | 5 | 18:18 | 21 |
| ნიუკასლი | 16 | 5 | 5 | 6 | 21:21 | 20 |
| შეფილდი | 16 | 5 | 4 | 7 | 17:17 | 19 |
| ევერტონი | 16 | 4 | 7 | 5 | 10:15 | 19 |
| ჩარლტონი | 16 | 3 | 7 | 6 | 22:24 | 16 |
| ქოვენთრი | 16 | 4 | 3 | 9 | 14:23 | 15 |
| ბლექბერნი | 16 | 3 | 3 | 10 | 15:24 | 12 |
| ნოტინგემი | 16 | 2 | 5 | 9 | 14:27 | 11 |
| საუთჰემპტონი | 16 | 2 | 4 | 10 | 12:33 | 10 |

| ბომბარდირები | |
|---|---|
| დაბლინი (ასტონ ვილა) | 10 |
| რიკარდი (მიდლსბრო) | 9 |
| ოუენი (ლივერპული) | 9 |
| ჰასელბაინკი (ლიდსი) | 8 |

## შოტლანდია

### XVII ტური

### სენტ ჯონსტონი 1:1 ჰარტსი

1:0 კერნაგანი (8), 1:1 ჰამილტონი (31)

თასის გათამაშების ფინალისტისა და ამ ტიტულის ბოლოსწინა მფლობელის დაპირისპირება დაძაბული, უინტერესო გამოდგა და მას მხოლოდ 4808 ქომაგი დაესწრო.

„სენტ ჯონსტონის“ მშობლიურ „მაკდაარმიდ პარკზე“ გამართული მატჩი უინტერესო, ალბათ, იმიტომ იყო, რომ გუშინწინდელი მეტოქეები საერთოდ ვერ დგანან მოწოდების სიმაღლეზე, დაძაბული კი იმიტომ, რომ „წმინდანები“ მოგების შემთხვევაში ჩემპიონ „სელტიკს“ გაუსწრებდნენ და საპატიო მესამე ადგილზეც აინაცვლებდნენ.

პირველი ნაბიჯი გამარჯვებისკენ მასპინძლებმა ძალიან ადრე, მე-8 წუთზე გადადგეს — თავი ადრე „მანჩესტერ სიტიში“ მოთამაშე მცველმა, ირლანდიელმა ალან კერნაგანმა გამოიჩინა, მაგრამ ეს იყო და ეს. მეტიც, ჯიმ ჰამილტონის ძლიერი დარტყმის შემდეგ ტაბლოზე მეორე ერთიანიც აკაშკაშდა და მსაჯის საფინალო სასტვენმაც ფრე 1:1 აღნიშნა.

ასე რომ, ჯიმ ჯეფერისის ბიჭებმა ქულები და უძლიერესთა მარაქაში გარევის შანსი წყალში გადაყარეს, ხოლო „ჰართსმა“ მნიშვნელოვანი ქულა მოიპოვა — მეხუთე ადგილიც შეინარჩუნა და „სენტ ჯონსტონსაც“ კვლავ კუდში მიჰყვება.

**ნოდარ ძასრაძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეინჯერსი | 16 | 9 | 4 | 3 | 30:14 | 31 |
| კილმარნოკი | 17 | 8 | 7 | 2 | 25:10 | 31 |
| სელტიკი | 17 | 7 | 5 | 5 | 33:19 | 26 |
| სტ. ჯონსტონი | 17 | 6 | 7 | 4 | 20:23 | 25 |
| ჰართსი | 17 | 6 | 5 | 6 | 19:21 | 23 |
| დანდი | 15 | 5 | 4 | 6 | 14:20 | 19 |
| დანდი იუნ. | 17 | 4 | 6 | 7 | 17:19 | 18 |
| მოზერველი | 16 | 4 | 6 | 6 | 13:22 | 18 |
| დანფერმლაინი | 17 | 2 | 9 | 6 | 14:24 | 15 |
| აბერდინი | 17 | 3 | 5 | 9 | 15:28 | 14 |

## ჰოლანდია

### გამოტოვებული მატჩი

### ბრედა 0:2 ვიტესი

0:1, 0:2 ზონგო (10, 71)

### თასი გთამაშება

### ემენი 3:2 ჰერენვენი

# ძვირი

„მანჩესტერ იუნაიტედის“ მოთამაშემ, მსოფლიოს ფეხბურთის უძვირესმა მცველმა, ჰოლანდიელმა იაპ სტამმა სეზონი ურიგოდ დაიწყო, მაგრამ მას მერე, რაც გვერდში ენდი კოული და დუაიტ იორკი ამოუდგნენ...

ასე იყო: იორკი და კოული შინაურ თუ საერთაშორისო სარბიელზე მეტოქეთა მცველებს შიშის ზარს რომ სცემდნენ ყველამ იცოდა, მაგრამ ვარჯიშებზე სტამსაც მათ დღეში რომ აგდებდნენ, ბევრისთვის, ცხადია, არ იყო ცნობილი.

„მათ წინააღმდეგ ყოველდღე მიწევს თამაში. ისინი საუცხოო ფეხბურთელები არიან, გაიძულებენ ყურადღება მოიკრიბო და კარგ ფორმაში შეხვიდე. მეც სხვა გზა არ მქონდა“ — აღიარებს 25 წლის, „იუნაიტედში“ „ეინდჰოვენიდან“ 18 მილიონ დოლარად გადასული კაცი.

„ისინი ძალიან განსხვავდებიან, ერთნაირად ვერ მიუდგები“ — ამბობს ის.

მართლაცდა საოცარი რამ ხდება, მანჩესტერელი ფანები ისმენენ, როგორ საუბრობს თამაშის გამოსწორებაზე ფეხბურთელი, რომელშიც მათმა გუნდმა 10 მილიონ გირვანქაზე მეტი გადაიხადა და იმედად დაისახა.

სტამი ბავშვობიდან „მანჩესტერ იუნაიტედის“ გულშემატკივარი ყოფილა. ყველაფერი წაუკითხავს და სცოდნია საყვარელ კლუბზე, თუმცა აღიარებს, რომ საყოველთაო ყურადღების ცენტრში მოსახვედრად მზად არ იყო.

„როდესაც „ეინდჰოვენში“ ვთამაშობდი, ვიცოდი, რომ „იუნაიტედი“ უდიდესი კლუბია, მაგრამ რაც აქ ჩამოვედი, ვხედავ, რომ კარგად არც კი მქონია წარმოდგენილი რამდენ ხალხს აინტერესებს მისი ბედ-იღბალი. ასეთ გუნდში თამაში მართლაც საამაყოა, მაგრამ თითქოს გთრგუნავს კიდეც. ზოგადად, ინგლისში ძნელია ფეხბურთელი იყო და ყურადღებია არ მიიპყრო. მიზეზი კი მარტივია, ამ ქვეყანაში ყველა ფეხბურთით ცხოვრობს, უამრავ ადამიანს სურს რაღაც გითხრას“ — ამბობს მცველთა შორის ყველაზე ფასიანი.

როგორც გითხარით, სტამისთვის დიდ კლუბში კარიერის გაგრძელება მხოლოდ სიამოვნებასთან არ იყო დაკავშირებული. ჯერ კიდევ აგვისტოში, „ჩერითი შილდის“ ანუ ინგლისის სუპერთასის შეხვედრაში არსენალელმა ნიკოლა ანელკამ მას შავი დღე აყარა. ლონდონელებმა 3:0 მოუგეს მანჩესტერელებს, თუმცა „უემბლიზე“ გამართულ კოშმარულ შეხვედრას ჰოლანდიელი მშვიდად იხსენებს, კარგი გაკვეთილი იყოო, ამბობს:




იაპ სტამი (მარჯვნივ) პოლ ინსის დარ ფეხბურთელებთან ბრძოლაში იწრთობა

„რაც შეეხება ანელკას, ტრიუკებში მისი ბადალი არავინ შემხვედრია. ანელკას ტექნიკის ამბავი საყოველთაოდ არის ცნობილი, მაგრამ მარტო ფინტებიც არაა საქმე. იგი ყოველმხრივ კარგი ფეხბურთელია. მეც სწორედ ასეთებთან შეჯიბრება მაძლევს ხელს, ვინაიდან ინგლისში საკუთარი ნიჭისა და ოსტატობის დასამტკიცებლად ჩამოვედი და მსურს საუკეთესოთა შორის საუკეთესოებს დავუპირისპირდე. ასეთები კი ძირითადად პრემიერლიგაში არიან თავმოყრილი.“

თანდათანობით სტამმა ალღო აუღო პრემიერლიგას და რამდენიმე ისეთი შეხვედრა ჩაატარა, კრიტიკოსთა პასუხადაც კი შეიძლება ჩაითვალოს.

და განა ალღო მარტო მოედანს უნდა აუღოს კაცმა? ირგვლივ, გარშემო, ინგლისური ცხოვრება დახვდა სტამს შესაგუებლად. თუმცა ეს სირთულეც მოგვარდა. იაპი, მისი მეღლე და პატარა ლიზა სასტუმროდან ახალ, მანჩესტერულ სახლში გადაბარგდნენ. მოეწყვნენ, დალაგდნენ.

ხოლო მოედანზე გარი ნევილი ამოუდგა მხარში.

სტამი ამბობს, რომ ინგლისში თამაში უფრო ძნელია, ვიდრე წარმოდგენილი ჰქონდა. ესეც შესაგუებლად მიაჩნია:

„ჰოლანდიასთან შედარებით პრემიერლიგაში გაცილებით სწრაფ ფეხბურთს თამაშობენ და შეხლა-შეჯახებაც მეტია. ჩემს სამშობლოში ისეთი მატჩები ტარდება, სადაც ადამიანი ცოტას ისვენებ. სწორედ ამას ვიყავი მიჩვეული და ამიტომაც გამიჭირდა თავიდან, თუმცა, ვგონებ უკვე შევეჩვიე ინგლისურ სისწრაფეს.“

სტამმა თამაში გამოაკეთა. „იუნაიტედმაც“ მეტად გაშალა ფრთები, რადგან ზურგის ეიმედება. ალექს ფერგიუსონის გუნდს სურს ადრე თუ გვიან გაიმეოროს ოცდაათი წლის წინანდელი მიღწევა — ჩემპიონთა თასი მოიპოვოს.

„ვგონებ, შეგვწევს გამარჯვების ძალა. ძალიან ძლიერი გუნდი გვყავს, უნიჭიერესი ფეხბურთელებით დაკომპლექტებული. ნამდვილად შეგვიძლია ფინალში გავიდეთ, იქ კი იღბალია საჭირო.“

**ჯერემი ბატლერი,**
**როიტერი**

# ავსტრალიელი ტარიელი

ავსტრალიელი მარკო ვიდუკა უკვე 23 წლის ვაჟკაცია, მაგრამ ერთი კვირის წინ ისე მოიქცა, სკოლაში პირველად მისული პატარა ბავშვები ახალ, უცხო გარემოს რომ ვერ ეგუებიან და საკლასო ოთახის კარებთან ატუზულ დედიკოსთან გარბიან, აქ არ მინდა, შინ წამიყვანე, ბებიასთანო. არადა, ეს თავდამსხმელი სკოლაში კი არა, შოტლანდიის მშვენიერ დედაქალაქ გლაზგოში ჩავიდა და მას საშინაო დავალება კი არა, 3 მილიონი გირვანქა ანუ 4,97 მილიონი დოლარი მისცეს.

ყველაფერი მას შემდეგ დაიწყო, რაც ავსტრალიის ნაკრების ფორვარდის თაობაზე ორი ქვეყნის, ხორვატიისა და შოტლანდიის ჩემპიონებმა დაიწყეს მოლაპარაკება. „სელტიკს“ ძალიან უნდოდა, რომ „კროაციას“ ნაცვლად ვიდუკას კარიერა გლაზგოში გაეგრძელებინა. ასეც მოხდა — მხარეები შეთანხმდნენ, ხელშეკრულებას ხელი მოეწერა და მარკოც გლაზგოურ კლუბში ჩაირიცხა.

პირველი მატჩი „სელტიკის“ შემადგენლობაში ვიდუკას 5 დეკემბერს „ჰართსის“ წინააღმდეგ უნდა ჩაეტარებინა, მაგრამ გაგიგონია, ამხელა კაცმა ფეხები გაფშიკა — თავი დამანებეთ, ფორმაში არა ვარ და ფეხბურთს ვერ ვითამაშებო. და საერთოდ, შინ მინდა, მელბურნშიო.

ატყდა ერთი ამბავი. ზოგი ამბობდა, ჯანმრთელობა ვერა აქვს წესრიგშიო, ზოგმაც — თავად არ არის ნორმალურიო. ნაწილი ამტკიცებდა, მაგას ძალიან ლამაზი მეგობარი გოგო ჰყავს, იმან უღალატა და დეპრესიაშიაო.

ეს რასაც ამბობდნენ. ისე კი მასთან დაკავშირებული ხალხი (ძველი და ახალი კლუბების უფროსობა, აგენტები) სერიოზულად შეშფოთდნენ, ვინაიდან ოფიციალური კონტრაქტი უკვე გაფორმებული იყო და, როგორც უკვე გითხარით, მასში მეტად დიდი თანხა ეწერა.

— ვიდუკა „სელტიკის“ ფეხბურთელია და ვალდებულია, ამ კლუბის სახელით ითამაშოს. პირადი პრობლემები გასამართლებელ საბუთად ნაღდად ვერ გამოდგება. თუ ასე გაგრძელდა, მისი საქმე შეიძლება ფიფას შესაბამისმა კომიტეტმა განიხილოს და დასაჯოს კიდეც — ეს სიტყვები ზაგრებულ გაზეთ „ვეჩერნი ლისტში“ დაიწერა.

ამ დროს 23 წლის ვაჟკაცი თავის ლამაზმან ფავორიტ ივანასთან ერთად ხორვატიის დედაქალაქში ჩაფრინდა, აეროპორტში მომლოდინე ცნობისმოყვარე ჟურნალისტებს ოსტატურად დაუსხლტა და ზაგრებულ ღამეში გაუჩინარდა.

სკანდალი მთელი ძალით მძვინვარებდა. ვიდუკა კი სატრფოს ეკურკურებოდა და გამაღიზიანებლად დუმდა. „სელტიკის“ მრავლისმნახველი მფლობელი ფერგუს მაკკენი აღშფოთებას ვერ მალავდა — ასეთი რამ არც მინახავს და არც გამიგონია, ისიც კი ვერ მოვახერხე, რომ ამ ბიჭს (23 წლის ვაჟკაცს) „ამბოხების“ შემდეგ პირადად შევხვდე და გავესაუბროო.

ბოლოს დაჭერობანას თამაში დასრულდა — მაკკენმა და მისმა ამალამ ურჩი მარკო ზაგრების ერთ-ერთ ფეშენებელურ სასტუმროში იპოვა. შემთხვევის ადგილზე საიდანღაც „კროაციის“ დელეგაციაც გაჩნდა და სამმხრივი მოლაპარაკების შემდეგ გადაწყდა — მიეცეს 23 წლის ვაჟკაც მარკო ვიდუკას ერთი თვით დასვენების და ოჯახის მონახულების საშუალება, რის შემდეგაც იგი გლაზგოში დაბრუნდება და კარიერას „სელტიკში“ გააგრძელებს. ამ დროს კი სატრანსფერო თანხა „კროაციის“ ანგარიშზე გადაირიცხება და თითიდან გამოწოვილ პრობლემასაც ბოლო მოეღება.

ჯერ არნახული ისტორიის ფინალით ბედნიერი ვაჟკაცი ჟურნალისტებს შეხვდა და ამაყად განუცხადა — მე და ივანა ჯერ ავსტრალიაში ჩავალთ, ჩემს დედიკოს და მამიკოს მოვინახულებთ, მერე კი კუალა ლამპურში ერთი კარგად მოვილხენთო.

მარკო ვიდუკა შეყვარებული ყოფილა.

**დავით ძოვზირიძე**



მარკო ვიდუკა მაინც „სელტიკში“ ითამაშებს

# A ჯგუფი

## პორტუ 3:0 აიაქსი

1:0, 2:0 ზაჰოვიჩი (55, 73), 3:0 დრულოვიჩი (82)

პორტუ: რუი კორეა, სანტოსი, ჟორჟე კოშტა, მანუელ პინტუ, ალვეში, დორივა, კარლოსი, პანდურუ (ჩიპო 53), ზაჰოვიჩი (რუი ბარუში 85), დრულოვიჩი (მიელჩარსკი 89), ჟარდელი

აიაქსი: ვან დერ სარი, მენსა, ბლინდი, ოლისე, ფ. დე ბური, რუდი (მაკართი 73), პუქსტრა, გორი (დანი 46), ვამბერტო, რ. დე ბური, გრონკიაერი (ბაბანგიდა 80)

## კროაცია 1:1 ოლიმპიაკოსი

1:0 იელიჩიჩი (35), 1:1 იანაკოპულოსი (64)

კროაცია: ლადიჩი, ტოკიჩი, ბისკანი (ი. სიმიჩი 69), სარიჩი, დ. სიმიჩი, იურიჩი, რუკავინა, იელიჩიჩი (იურჩიჩი 87), მუიჩინი, მარიჩი, მიკიჩი (აბრამოვიჩი 82)

ოლიმპიაკოსი: ელეფტეროპულოსი, კარატაიდისი, ანატოლაკისი, გეორგატოსი, ამანატიდისი, პურსანიდისი, ჯორჯევიჩი, იანაკოპულოსი (ალექსანდრისი 81), მავროგენიდისი, გოგიჩი (ოფორი 84), ნინიადისი

„ოლიმპიაკოსი" პირველად გავიდა ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში. ხორვატთა მწვრთნელმა ველიმირ ზაეცმა სტუმართა წარმატება ლოგიკურად მიიჩნია:

— როცა მოედანი მოყინულია, თამაში ჭირს. ზამთარმა ისევე გაურთულა საქმე „კროაციას", როგორც „ოლიმპიაკოსს", მაგრამ ჩვენ მაინც წამგებიან პოზიციაში ვიყავით. გოლი გვჭირდებოდა. ასეთ მოედანზე კი თავდასხმა ძალიან სახიფათოა. მეტოქე საკუთარ კართან გამაგრებულიყო, დაცვითი თამაში მოყინულ მოედანზე კი გაცილებით იოლია, ვიდრე შეტევა.

ზაგრებში მართლაც ძალიან ციოდა. ერთი ხანობა უეფას წარმომადგენელმა მატჩის გადატანაც იფიქრა, მაგრამ ცოტა ხანში შედარებით დათბა. საღამოხანს, თამაშის დაწყების წინ, კვლავ აცივდა, შუა შეხვედრისას კი თერმომეტრი მინუს ათ გრადუსს უჩვენებდა.

მასპინძლებს სამი ბურთით უნდა მოეგოთ, პირველ ადგილზე და შესაბამისად მეოთხედფინალში რომ გასულიყვნენ. ვერ მოახერხეს, მაგრამ 35-ე წუთზე იმედი მაინც გაჩნდა — იოსკო იელიჩიჩმა დიმიტრიოს ელეფტეროპულოსს აჯობა და ანგარიში გახსნა. კიდევ ორი გოლი უნდა გაეტანათ, მაგრამ ხორვატებმა მეტი ველარ შეძლეს. შანსები ჰქონდათ, მაგრამ, ეტყობა, „კროაციას" მეოთხედფინალში გასვლა არ ეწერა.

— ძნელია მარცხთან შეგუება, მაგრამ გუნდის თამაშით მაინც კმაყოფილი ვარ. რაც მე „კროაციას" ვთავკაცობ, ბიჭები გამარჯვებისთვის არაფერს იშურებენ. თუმც, როგორც ჩანს, ამ ეტაპზე საკმარისად მზად არ აღმოვჩნდით. დარწმუნებული ვარ, მომავალში „კროაცია" მეტს მიაღწევს — რაც ხორვატულ გუნდს ველიმირ ზაეცი დაუნიშნეს მწვრთნელად, გუნდი არათუ შინაურ სარბიელზე, ჩემპიონთა ლიგაშიც არ დამარცხებულა.

გარდა ბერძენთა სამი ბურთის სხვაობით დამარცხებისა „კროაციას" კიდევ ჰქონდა მეოთხედფინალში გასვლის შანსი. თუმც ჯერ თავად მეტოქე უნდა დაემარცხებინა, პორტუში „აიაქსს" კი — მასპინძლები. ჰოლანდიელებმა საკუთარი თავის შველაც ვერ შეძლეს და ხორვატებს როგორ დაეხმარებოდნენ — ამაყი ამსტერდამული კლუბი „პორტუმ" გაანადგურა.

„აიაქსი" გუნდი არ იყო, თუმც ეს ჰოლანდიელებს უკვე კარგა ხანია ემჩნევათ. წაგებაცაა და წაგებაც, მაგრამ როდესაც მეტოქე ათი თავით გჯობნის, უბრალოდ, სამარცხვინოა. „პორტუმ" მთელი შეხვედრა ერთი ამოსუნთქვით ჩაატარა და დამსახურებულადაც იმარჯვა. ყველა სხვა შედეგი უსამართლობა იქნებოდა.

ფერნანდო სანტუში, „პორტუს" მწვრთნელი: „სტუმრად გამართულ მატჩებში არ გვიმართლებდა, ვმარცხდებოდით. ამიტომაც გაგვკიცხეს, თუმც ჩვენ ვიცოდით, რომ არც ისე მაჩანჩალა გუნდი ვართ, როგორც მეოთხე ხელისუფლება მიიჩნევდა. გვინდოდა, ხალხისთვის სრულად დაგვენახებინა „პორტუს" შესაძლებლობა და ვგონებ, შევძელით კიდეც, გვიან მაგრამ მაინც".

მართლაც, მასპინძლებს ეტყობოდათ, რომ მონდომებულნი იყვნენ. ეცადნენ და მიაღწიეს კიდეც საწადელს — ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში საქართველოს ნაკრების მომავალი მეტოქის, სლოვენიის ნაკრების ნახევარმცველმა ზლატკო ზაჰოვიჩმა ბრაზილიელ თანაკლუბელ მარიო ჟარდელს ორჯერ დაუფასა შრომა და ორი გოლი გაუტანა ვან დერ სარს. მოგვიანებით ერთიც იუგოსლაველმა ლუბინკო დრულოვიჩმა დაამატა და მოგებას შთამბეჭდავი სახე მისცა.

REUTERS ტურინიდან



იუვენტუსი — რუსენბორგი. ზინედინ ზიდანმა ნიკოლა ამორუზოს გოლი შექმნა

| | | 1 | 2 | 3 | 4 | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ოლიმპიაკოსი | | 2:0 | 1:0 | 2:1 | 8:6 | 11 |
| 2 | კროაცია | 1:1 | | 3:1 | 0:0 | 5:7 | 8 |
| 4 | პორტუ | 2:2 | 3:0 | | 3:0 | 11:9 | 7 |
| 3 | აიაქსი | 2:0 | 0:1 | 2:1 | | 4:6 | 7 |

# B ჯგუფი

## ბილბაო 1:0 გალათასარაი

1:0 გერერო (44)

ბილბაო: ი. ეჩებერია, ფელიპე, კარლოს გარსია, ლარაინსარი, ლარასაბალი, ფერეირა, ხავი გონსალესი (ხ. ეჩებერია 73), ნაგორე (სეზარ ფერნანდესი 84), პერესი (ლასა 72), გერერო, ესკურერო

გალათასარაი: ტაფარელი, პოპესკუ, არიფი, ფილიპესკუ, ფათიჰი, ოქანი, თოლუნაი (ბურაქი 63), სუათი (ქორქმაზი 63), უმითი, ჰასან სასი (ემრე 80), ჰაჯი

## იუვენტუსი 2:0 რუსენბორგი

1:0 ინძაგი (16), 2:0 ამორუზო (35)

იუვენტუსი: პერუცი, ტუდორი, ბირინდელი, მონტერო, პესოტო (დავიდსი 64), კონტე (დი ლივიო 88), დეშამპი, ტაკინარდი, ზიდანი, ინძაგი, ამორუზო (იულიანო 68)

რუსენბორგი: იამტფალი, ბერგდოლმო, ბრაგსტადი, ჰოფტუნი, პედერსენი (ჰერნესი 66), სტრანდი, იონსენი (ვინსნესი 57), ბერგი, სორენსენი (დალუმი 46), რუშფელდტი, იაკობსენი

...ტურინში, „სტადიო დელე ალპიზე" რამდენიმე წუთია, რაც „იუვენტუსი" — „რუსენბორგის" მატჩი დამთავრდა. შეხვედრა იტალიელებმა მოიგეს 2:0. სტადიონს არავინ ტოვებს, არც მაყურებელი, არც ფეხბურთელები. ყველანი ტაბლოს შესცქერიან. ბილბაოდან ცნობა უნდა მოვიდეს.

1:0 — ბასკებმა „გალათასარაი" დაამარცხეს. მალე ეს ცნობა სტადიონის დიქტორმაც დაადასტურა და „იუვენტუსის" ქომაგებსაც სიხარულის ყიჟინა აღმოხდათ. იტალიის ჩემპიონი ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში ზედიზედ მეოთხედ გავიდა, საგზური ბოლო ტურში კი ზედიზედ მეორედ მოიპოვა.

1997 წლის დეკემბერში იგივე სიტუაცია იყო — „იუვენტუსის" მეოთხედფინალში გასვლის ბედი ტურინის გარდა სხვაგან წყდებოდა. მაშინ „იუვენტუსმა" ფილიპო ინძაგის ბოლო წუთებზე გატანილი გოლით „მანჩესტერ იუნაიტედი" დაამარცხა, ნორვეგიულმა „რუსენბორგმა" კი საბერძნეთში არ წააგო. დაძაბულობა მაშინაც, ისევე როგორც ახლა, განუზომელი გახლდათ.

— ახლაც შოკში ვარ, რომ „იუვენტუსი" მეოთხედფინალში ხუთი ფრედ დასრულებული შეხვედრის შემდეგ გავიდა. ეს წარმოუდგენელი რეალობაა — „სან მამესზე" ბილბაოელთა კოხტა სტადიონზე, დამარცხებული „გალათასარაის" მწვრთნელ ფათიხ თერიმს მოეწყინა. მანვე განაცხადა, ბილბაოში რომ უნდა მოგვეგო, კარგად გვქონდა გათვითცნობიერებული, მაგრამ შეხვედრის მიწურულს ყაიმზეც თანახმანი ვიყავითო.

— გვჯეროდა, რომ ბილბაოელები მეტოქეს დაამარცხებდნენ, მაგრამ უპირველეს ყოვლისა ჩვენ გამარჯვებაზე უნდა გვეფიქრა. ტურინში პირველ ტაიმშივე მოვფინეთ სიტუაციას ნათელი, შემდგომ კი ერთთავად ბილბაოდან ცნობებს ველოდით. გაგვიმართლა, ძალიან გაგვიმართლა — აღფრთოვანებული იყო მარჩელო ლიპი, „იუვენტუსის" მწვრთნელი.

ფილიპო ინძაგიმ, მოგვიანებით კი ნიკოლა ამორუზომ ორი გოლი გაუტანეს „რუსენბორგს" და ნორვეგიელთა სამეოთხედფინალო შანსები ერთობ შეამცირეს. ტურინელები რამდენჯერმე ანჯელო პერუციმ იხსნა, თუმცა საქმე არც „რუსენბორგის" მეკარეს იამტფალს აკლდებოდა.

ყველაფერს მაინც „ბილბაო" წყვეტდა. ლუის ფერნანდესის გუნდმა დაამარცხა „გალათასარაი", ჩემპიონთა ლიგაში პირველი მატჩიც მოიგო და გათამაშება თავაწეულმა დატოვა.

— მოვიგეთ მატჩი და ვამაყობთ. „გალათასარაი" ქომაგთათვის დავამარცხეთ — ფერნანდესი ჟურნალისტთა კითხვებს სიამოვნებით პასუხობდა.

მსოფლიოს ჩემპიონის კლაუდიო ტაფარელის კარში ერთადერთი გოლი გავიდა — პირველი ტაიმის მიწურულს მასპინძელ ქომაგთა კერპმა იულენ გერერომ თურქ მცველს აჯობა, ბურთი აართვა და ანგარიში გახსნა — 1:0.

...ტურინში „იუვენტუსი" იმ დროისთვის 2:0 იგებდა. წინ მეორე ნახევარი იყო.

— ძალიან იღბლიანები ვყოფილვართ. ზედიზედ ორჯერ გააღწიო ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში და ისიც სხვების დახმარებით, ეს სასწაულია. მიხარია, რომ სასწაული ჩვენს სასარგებლოდ მოხდა — „იუვენტუსის" თავდამსხმელი ფილიპო ინძაგი აცრემლებული იყო.

1 ნოემბრის შემდეგ „იუვენტუსმა" პირველად მოიგო. ამ ხნის განმავლობაში ვერ იმარჯვა იტალიის ჩემპიონატში, ქვეყნის თასზე, ჩემპიონთა ლიგაში და ბოლოს ნავსი გატეხა. ამ პერიოდში გოლებიც იშვიათად გაჰქონდა. ერთი სიტყვით, კრიზისში იყო. ტურინული კლუბი ახლაც კრიზისშია, თუმცა ბრწყინვალე ოთხი წლის შემდეგ ეს მოსალოდნელიცაა.

— ბოლო ორი თვის მანძილზე ძალიან გაგვიჭირდა. ვგრძნობდი, რომ მარცხს თავიდან ვერ ავიცილებდით, მაგრამ ახლა ვფიქრობ, უსიამოვნებები გადავლახეთ. ედგარ დავიდსიც გამოჯანმრთელდა, ასე რომ, ვეცდებით, წინ გაჭრილ ლიდერებს წამოვეწიოთ — განაცხადა მარჩელო ლიპიმ. რაც იგი „იუვენტუსის" წვრთნის ასეთი ცუდი პერიოდი კლუბს პირველად ჰქონდა.

და მაინც, ფათიხ თერიმისა არ იყოს, ხუთი ფრედ დასრულებული მატჩის შემდეგ „იუვენტუსის" მეოთხედფინალისტობა წარმოუდგენელი რეალობაა.

| | | 1 | 2 | 3 | 4 | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | იუვენტუსი | | 2:2 | 2:0 | 1:1 | 7:5 | 8 |
| 2 | გალათასარაი | 1:1 | | 3:0 | 2:1 | 8:8 | 8 |
| 3 | რუსენბორგი | 1:1 | 3:0 | | 2:1 | 7:8 | 8 |
| 4 | ატლეტიკი | 0:0 | 1:0 | 1:1 | | 5:6 | 6 |

# C ჯგუფი

## შტურმი 0:2 ინტერი

0:1 ძანეტი (64), 0:2 ბაჯო (80)

შტურმი: სიდორჩუკი, ნოიკირხნერი (პრილასინგი 77), მილანიჩი (მარტენსი 46), ფოდა, შუპი, რაინმაიერი, ჰაასი, პოში, შოპი, კოციანი (ვალნერი 84), პოპოვიჩი

ინტერი: პალიუკა, ბერგომი, კოლონეზე, ძანეტი, გალანტე, ჯორკაეფი (ბაჯო 70), ვინტერი, რონალდო (სამორანო 61), ზე ელიასი (რეკობა 82), სიმეონე, სილვესტრი

## რეალი 2:1 სპარტაკი

1:0 რაული (33), 2:0 სავიო (65), 2:1 ხლესტოვი (89)

რეალი: ილგნერი, პანუჩი (ხაიმე 59), ივან კამპო, იერო, სანსი, რობერტო კარლოსი, ზეედორფი, რედონდო, მიატოვიჩი, რაული, სავიო

სპარტაკი: ფილიმონოვი, პარფიონოვი, ანანკო, ხლესტოვი, ბარანოვი, ბუშმანოვი, ციმბალარი, ტიხონოვი, შირკო, ტიტოვი, რობსონი (კანიშჩევი 74)



REUTERS გრაციდან

შტურმი — ინტერი. ბრწყინვალე რობერტო ბაჯო

მილანის „ინტერის" მწვრთნელ მირჩა ლუჩესკუს სარისკო საქმე არ ჰყვარებია. ამის თაობაზე რუმინელმა მწვრთნელმა მას შემდეგ განაცხადა, რაც მისმა გუნდმა არნოლდ შვარცნეგერის სახელობის სტადიონზე „შტურმი" დაამარცხა.

— კარგად ვიცოდი, მეორე ადგილიც საკმარისი იყო მეოთხედფინალში გასასვლელად, მაგრამ აუტკივარი თავი რატომ უნდა აგვეტკიებინა? მოსაგები თამაში მოვიგეთ და ჯგუფშიც ვიმარჯვეთ. კლუბმა დიდი თანხაც მიითვალა და, რაც მთავარია, გულშემატკივრები გაახარა.

ლუჩესკუს რომ რისკი არ ჰყვარებია, კიდევ ერთი ფაქტი ადასტურებს — კლუბის ბრაზილიელ თავდამსხმელ რონალდოს აქამდე სამი კვირა არ ეთამაშა. მწვრთნელი მოერიდა ფეხბურთელის მთელი ძალით დატვირთვას და „ოქროს ბურთის" ამჟამინდელი მფლობელი ერთი საათის შემდეგ შეცვალა. ორი გოლი „ინტერმა" სწორედ ბრაზილიელის შეცვლის შემდეგ გაიტანა, თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ რონალდო თანაგუნდელებს ხელს უშლიდა. მესამე წუთზე, მას მერე, რაც სამი ავსტრიელი გააბითურა, კარშიც დაარტყა, მაგრამ „შტურმის" პოლონელმა მეკარე კაზიმიერუ სიდორჩუკმა მოიგერია. მეკარემ „შტურმი" კიდევ ერთხელ იხსნა, შეხვედრის ბოლო წუთებზე, მაგრამ მაშინ უკვე ანგარიში 0:2 იყო...

— „ინტერისგან" განსხვავებით, რომელმაც საგოლე შანსები გამოიყენა, ჩვენ მომენტებს ხელიდან ვუშვებდით — განაცხადა მასპინძელთა ბოსნიელმა თავკაცმა ივიცა ოსიმმა. მისი „შტურმი" ჩემპიონთა ლიგაში მონაწილე 24 კლუბიდან ერთადერთია, რომელმაც ჯგუფურ ტურნირში შეხვედრა ვერ მოიგო და ქულის მეტი ვერ მოიპოვა.

ანგარიში მილანელთა ჩინებულმა არგენტინელმა მცველმა ხავიერ ძანეტიმ გახსნა, მაგრამ ყველაფრის გვირგვინი მაინც რობერტო ბაჯოს გოლი იყო. ბაჯომ ჩემპიონთა ლიგის ბოლო ორ მატჩში სამი გოლი გაიტანა და დაამტკიცა, რომ იგი ბრწყინვალე ფეხბურთელია.

— მიხარია, რომ „ინტერი" მეოთხედფინალში გავიდა. იმედია, გაზაფხულისთვის გაცილებით ძლიერად ვითამაშებთ — განუცხადა რობერტომ ჟურნალისტებს.

სანამ ხავიერ ძანეტი „ინტერს" დააწინაურებდა, მანამ მესამე ჯგუფის ლიდერობა დროებით მადრიდის „რეალმა" იგდო ხელთ. ესპანელებმა მოსკოვის „სპარტაკს" უმასპინძლეს და ზუსტად იმ ანგარიშით დაამარცხეს მეტოქე, რა ანგარიშითაც თავად დამარცხდნენ მასთან.

ალექსანდრ ფილიმონოვმა ორი გოლი გაუშვა, ორივე ერთნაირი და ორივე მასპინძელთა ტანმორჩილი თავდამსხმელებისგან. „სპარტაკი" პირველად რაულმა დასცა, შემდეგ კი სამეფო კლუბის ბრაზილიელმა თავდამსხმელმა სავიომ. ამ უკანასკნელმა მანამდე მოსკოველთა კარის ძელის შეზანზარებაც მოასწრო.

— რთული მატჩი მოვიგეთ. გამარჯვება ძალიან გაგვიჭირდა და ამაში პირველ ყოვლისა „სპარტაკია" დამნაშავე. ძლიერი მეტოქე იყო, მაგრამ მაინც გავიმარჯვეთ. სხვანაირად არც შეიძლებოდა — ჟურნალისტებმა პირველი გოლის ავტორ რაულის დასვენება არ აცალეს.

ერთი სიტყვით, ორ საუკეთესო მეორეადგილოსანიდან ერთ-ერთი ჩემპიონთა თასის მფლობელი „რეალი" გამოდგა. გუს ჰიდინკის კლუბი გავიდა კიდეც მეოთხედფინალშია.

...შეხვედრის დაწყებამდე „სანტიაგო ბერნაბეუ" 15 წამით გაირინდა. ხალხმა და ფეხბურთელებმა წინა დღით, უეფას თასზე „ატლეტიკო" — „სოსიედადის" შეხვედრისას დაღუპული გულშემატკივრის ხსოვნას მიაგეს პატივი. გლოვის ნიშნად „რეალი", ისევე როგორც ჩემპიონთა ლიგაში მონაწილე კიდევ ორი ესპანური კლუბი — „ბილბაო" და „ბარსელონა" შავი სამკლავურით თამაშობდა.

| | | 1 | 2 | 3 | 4 | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ინტერი | | 3:1 | 2:1 | 1:0 | 9:5 | 13 |
| 2 | რეალი | 2:0 | | 2:1 | 6:1 | 17:8 | 12 |
| 3 | სპარტაკი | 1:1 | 2:1 | | 0:0 | 7:6 | 8 |
| 4 | შტურმი | 0:2 | 1:5 | 0:2 | | 2:16 | 1 |

## D ჯგუფი

### მანჩესტერი 1:1 ბაიერნი

1:0 კინი (43), 1:1 სალიჰამიჯიჩი (56)
მანჩესტერი: შმაიხელი, ბრაუნი, გ. ნევილი, სტამი, ირვინი (იონსენი 46), ბექემი, სქოულზი, კინი, გიგზი, იორკი (ბათი 64), კოული
ბაიერნი: კანი, შტრუნცი, ბაბელი, მათეუსი (ლინკე 61), კუფური, ლისარასუ, ციკლერი (ბასლერი 82), ეფენბერგი, იერემისი, ელბერი (იანკერი 82), სალიჰამიჯიჩი

### ბრონდბიუ 0:2 ბარსელონა

0:1 ლუიშ ფიგუ (4), 0:2 რივალდო (34)
ბრონდბიუ: კროგი, სკარბალიუსი, რასმუსენი, ნილსენი, კოლდინგი, ბიური, იენსენი (ტიგესენი 79), დაუგაარდი (კრისტენსენი 69), ბაგერი (ლინდრუპი 74), სანდი, ჰანსენი
ბარსელონა: ჰესპი, სერხი, რაიციგერი, ოკუნოვო, კოკუ (კუადრადო 88), გვარდიოლა, ლუიშ ფიგუ, სელადესი, ანდერსონი (ჯოვანი 69), რივალდო (როხერი 63), ხავი ერნანდესი

იღბლიანი ყოფილა D ჯგუფი. მეოთხედფინალში გასული რვა გუნდიდან ორი მისი წევრი გამოდგა. სამართლიანად განსაჯა ფეხბურთის ღვთაებამ. საცოდაობა იქნებოდა „ბაიერნის“, „მანჩესტერ იუნაიტედის“ და „ბარსელონას“ თავმოყრა და მათგან ორის ჩატოვება. ერთი კი, აუცილებლად უნდა ჩარჩენილიყო და ეს ხვედრი „ბარსელონას“ ერგო.

ბოლო ტურში, მანჩესტერის „ოლდ ტრეფორდზე“ სწორედ ის გუნდები წარსდგნენ ერთმანეთის პირისპირ, რომლებიც ახლა, ოთხშაბათს დანიშნულ კენჭისყრას ელოდებიან.

„O.K. კარგი შედეგია, ორივე გუნდი იმსახურებდა მეოთხედფინალში გასვლას“ — შვებით განაცხადა მიუნხენელთა მწვრთნელმა ოტმარ ჰიცფელდმა, რომელსაც ჩემპიონთა ლიგის ავან-ჩავანი კარგად მოეხსენება, რამეთუ 1997 წელს ევროპის უდიდესი საკლუბო ჯილდო დორტმუნდის „ბორუსიას“ მოაგებინა — „ორივე გუნდს ბევრი დადებითი თვისება აქვს. არაა გამორიცხული, რომ ისინი გაზაფხულზეც შეხვდნენ ერთმანეთს. ჩვენთვის „ოლდ ტრეფორდზე“ ჩამოსვლა შედარებით იოლი იყო, რადგან ვიცოდით, რომ 10 ქულა გვქონდა და მეოთხედფინალში გასასვლელად ფრეც გვყოფნიდა. ეს იმას ნიშნავდა, რომ „მანჩესტერ იუნაიტედი“ ძირითადად შეგვიტევდა“.

სხვათაშორის, ჰიცფელდის „ბორუსიამ“ ტრიუმფალურ 1997 წელს ნახევარფინალში სწორედ „მანჩესტერ იუნაიტედი“ დაამარცხა.

მასპინძელთა თავკაცმა ალექს ფერგიუსონმა აღიარა, რომ შეხვედრის მსვლელობისას დიდმა ნერვიულობამ მოუწია.

„ასეა, თუ წარმატება გინდა, აგონია უნდა განიცადო. ანგარიშის გახსნას კარგა ხანს ველოდეთ, მაგრამ მაინც გავიტანეთ გოლი და ეს დიდებული იყო. ჩვენ აუღელვებლად თამაში და რკინის დისციპლინა ჯერ კიდევ შესათვისებელი გვაქვს. მართალია მეტოქემ მოგვიანებით გაქვითა, მაგრამ მაინც შემიძლია განვაცხადო, რომ ამ საღამოს ჩემმა ფეხბურთელებმა სრულიად დამაკმაყოფილეს — თქვა ფერგიუსონმა.

ანგარიში პირველი ტაიმის მიწურულს მანჩესტერელმა როი კინმა გახსნა. მის მიერ ლაზათიანად დარტყმულმა ბურთმა 20 მეტრიდან მიაღწია მიზანს, მაგრამ შესვენების შემდეგ „ბაიერნის“ ბოსნიელმა თავდამსხმელმა ჰასან სალიჰამიჯიჩმა გერმანიის უტიტულოვანეს კლუბს ქულა და ჯგუფში პირველი ადგილი მოუპოვა.

„ბარსლეონამ“ კი კოპენჰაგენში, „ბრონდბიუსთან“ გამარჯვებით ჯგუფში ჩარჩენის მწუხარება გაილამაზა. დანიელებმა, რომლებიც 34-ე წუთზე უკვე 0:2-ს აგებდნენ, მეორე ტაიმში თერთმეტმეტრიანი ვერ გაიტანეს.

ორივემ კარგად იცოდა, რომ მათ შეხვედრას მნიშვნელობა არ ჰქონდა, უფრო ოქმისთვის იყო, თუმცა...

„დღევანდელი გამარჯვება ძალიან მნიშვნელოვანი გახლდათ. იგი მნიშვნელოვანი იყო ფეხბურთელებისთვის, ქომაგებისთვის და მთელი ქალაქისთვის“ — ასე შეაფასა მატჩის შედეგი კატალონიელთა გუნდის ჰოლანდიელმა მწვრთნელმა ლუის ვან გაალმა, რომელსაც ბოლოხანს წყალი აქვს შეყენებული.

სტუმრები პორტუგალიელმა ლუიშ ფიგუმ შეხვედრის დასაწყისშივე დააწინაურა, ნახევარი საათის მერე კი წლეულს ჩინებულად მოთამაშე ბრაზილიელმა რივალდომ აუღელვებლად გაზარდა ანგარიში.

დანიელთაგან პენალტი შესვენების შემდეგ, მალევე, ოლე ბიურმა ააცილა მიზანს.

„ბრონდბიუს“ საუკეთესო შანსი 71-ე წუთზე ჰქონდა, როდესაც კენეტ რასმუსენმა შორეული დარტყმით „ბარსელონას“ ჰოლანდიელი მეკარე, რუუდ ჰესპი, ყინვიანი საღამოს მინდორზე დიდოსტატურად გადაახტუნა.



REUTERS მანჩესტერიდან

მანჩესტერი — ბაიერნი. დევიდ ბექემი (მარცხნივ) და შტეფან ეფენბერგი ერთი რამისთვის — გამარჯვებისთვის იბრძოდნენ

| ⚽ | | 1 | 2 | 3 | 4 | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ბაიერნი | ⚽ | 2:2 | 1:0 | 2:0 | 9:6 | 11 |
| 2 | მანჩესტერი | 1:1 | ⚽ | 3:3 | 5:0 | 20:11 | 10 |
| 3 | ბარსელონა | 1:2 | 3:3 | ⚽ | 2:0 | 11:9 | 8 |
| 4 | ბრონდბიუ | 2:1 | 2:6 | 0:2 | ⚽ | 4:18 | 3 |

## E ჯგუფი

### ლანსი 1:3 დინამო

0:1 კალაძე (60), 0:2 ვაშჩუკი (76), 1:2 შმიცერი (78), 1:3 შევჩენკო (85)
ლანსი: ვარმუზი, მერიდი (ბრუნელი 2), მანიე, დეუ, ლაშო, დებევი, ნიარკო, დალმატი (მორეირა 88), ელუა (ფოე 64), ნუმა, შმიცერი
დინამო: შოვკოვსკი, ლუჟნი, ვაშჩუკი, გოლოვკო, დმიტრულინი (კოსოვსკი 46), გუსინი, კალაძე (კირიუხინი 67), ხაცკევიჩი, კარდაში (ბელკევიჩი 51), შევჩენკო, რებროვი

### პანათინაიკოსი 1:3 არსენალი

0:1 ასანოვიჩი (65ს.კ.), 1:1 სიპნიევსკი (74), 1:2 ანელკა (80), 1:3 ბოა მორტე (86)
პანათინაიკოსი: ვანძიკი, აპოსტოლაკისი, მილოევიჩი, ლაგონიკაკისი, გუმასი, ბასინასი, კოსტანტინიდისი (სტრანდლი 69), კოლა (სიპნიევსკი 56), ასანოვიჩი, ლიბეროპულოსი, ვარჟიხა
არსენალი: სიმენი, გრონდინი, ბოულდი, ვივასი, აშსონი, გრიმანდი, ბოა მორტე, მენდესი (ბლექი 78), ვერნასა, ანელკა, ვრე



REUTERS ლანსიდან

ლანსი — დინამო. ანდრეი გუსინი მიკაელ დებევის გასცდა

...კუთხურიდან ჩაწოდებულ ბურთს მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი ანდრეი შევჩენკო აუხტა, მაგრამ შორეულ ძელთან ქართველი თანაგუნდელი კახა კალაძე შენიშნა და ბურთი მას გადაუთავურა. კალაძემ პასი შეიშნო...

კალაძის გოლმა „ლანსისა“ და კიევის „დინამოს“ შეხვედრის მე-60 წუთს უწია. მანამდე კი იყო მთელი 54 წუთი, რომლის განმავლობაშიც უკრაინის დედაქალაქის გუნდი უშედეგოდ უტევდა უმცირესობაში დარჩენილი ფრანგების კარს.

უმცირესობაში კი ფრანგები აი, რატომ დარჩნენ: სიღრმიდან მიწოდებულ გრძელ პასს შევჩენკო „ლანსის“ დაცვის ზურგსუკან შეჰყვა, სადაც მას მასპინძელთა გუნდის თავისუფალი მცველი და კაპიტანი ფრედერიკ დეუ წამოეწია. დეუ კიეველ თავდამსხმელს სარმით დაუპირისპირდა, რისთვისაც მსაჯმა წითელი ბარათი ალუმართა.

„ლანსს“ მთავარი თავდამსხმელი ტონი ვერელი ჰყავდა დისკვალიფიცირებული და ისედაც ფრთამოჭრილს ჰგავდა. ამიტომაც არ იყო გასაკვირი, რომ კალაძის გოლს სტუმრებმა თექვსმეტი წუთის შემდეგ მეორეც მიაყოლეს: მცველმა ვლადისლავ ვაშჩუკმა მარცხენა ფრთიდან შეარჩია მოხერხებული პოზიცია და შევჩენკოს დაბალი პასით ბურთს ფრანგთა კარის ბადეში მიუჩინა ადგილი.

მასპინძლებმა წამხომის ორი წრის მერე ერთი გოლით უპასუხეს ყოფილ საბჭოთაკავშირელებს. ჩეხმა ვლადიმირ შმიცერმა ჯარიმიდან ჩაახუჭუჭა ბურთი მომხდურთა კარში, თუმცა ცხადზე უცხადესი გახლდათ, რომ ასე საჭირო, კიდევ ორი გოლის გამტანნი ისინი არ იყვნენ.

სამართლიანობა კი შევჩენკოს გოლს მოითხოვდა: უკრაინელმა ფორვარდმა შეხვედრის დამთავრებამდე ხუთი წუთით ადრე მარჯვენა მხრიდან მესამე გოლი შეუგდო განწირულ ლანსელებს.

„მეტოქემ პირველად რომ გაგვიტანა, ჩვენი ამოცანა გადაუჭრელი შეიქნა“ — გულწრფელად განაცხადა „ლანსის“ კლუბის პრეზიდენტმა ჟერვას მარტელმა.

დეუს წითელი ბარათის შესახებ ჰკითხეს: „არ მგონია, რომ შეხვედრა ჩემი გაძევების გამო წავაგეთ. ჩვენ მოტივაციაც საკმაო გვქონდა და შესაძლებლობაც. სამწუხაროდ კიეველთა ჩინებული გუნდის წინააღმდეგ ვერაფერი გავაწყეთ“. — უპასუხა კაპიტანმა.

დინამოელთაგან მსაჯმა ოლეგ ლუჟნი გააფრთხილა, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი მეოთხედფინალის პირველ შეხვედრას გამოტოვებს

...ხოლო ათენში 16 წლის ბიჭი დაიღუპა და ამ ტრაგედიამ ყველაფერი დაჩრდილა. ადამიანის სიცოცხლესთან ფეხბურთი არარაობაა.

ლონდონის „არსენალს“ ამ შემოდგომაზე ავი სდევს თან. ჯერ იყო და 31 ოქტომბერს, როდესაც გუნდი პრემიერლიგის შეხვედრის ჩასატარებლად ქოვენთრის მიემგზავრებოდა, მისმა ავტობუსმა სტიუარდი გაიტანა, ოთხშაბათს კი საბრალო კოსტას ცაკოსი სტადიონის სხვენზე აძვრა და იქიდან გარეთ, ქუჩისკენ გადავარდა.

თუმცა იყო ფეხბურთიც.

„ვამაყობ ჩემი მოთამაშეებით. მათ ხასიათის სიმტკიცე და ინტელექტი გამოამჟღავნეს. ცხადია ეს ბიჭები დენის ბერხკამპსა და მარკ ოვერმარსს ვერ შემიცვლიან, მაგრამ კონკრეტული შეხვედრისთვის ისინი საუცხოოდ აღმოჩნდნენ მომზადებულნი“. — თქვა „არსენალის“ ფრანგმა მწვრთნელმა არსენ ვენგერმა.

| ⚽ | | 1 | 2 | 3 | 4 | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | დინამო | ⚽ | 1:1 | 3:1 | 2:1 | 11:7 | 11 |
| 2 | ლანსი | 1:3 | ⚽ | 1:1 | 1:0 | 5:6 | 8 |
| 3 | არსენალი | 1:1 | 0:1 | ⚽ | 2:1 | 8:8 | 8 |
| 4 | პანათინაიკოსი | 2:1 | 1:0 | 1:3 | ⚽ | 6:9 | 6 |

## F ჯგუფი

ერთიანი ბიბლიოთეკა

### ეინდჰოვენი 2:2 ბენფიკა

1:0 ხოხლოვი (41), 1:1, 1:2 ნუნო გომეში (47პ, 65), 2:2 ვან ნისტელროოი (88)
ეინდჰოვენი: ვატერეუსი, ლუსიუსი, სკერლა, შავიერი, ვან დერ ვეერდენი, ივანი (რომედალი 72), ვან დერ დულენი (ბრუგინკი 82), ხოხლოვი, კოლკა (გახოკიძე 72), ვან ნისტელროოი, ნილისი
ბენფიკა: ოვჩინიკოვი, ანდრადე, ტომასი (სალადო 67), ელ ხალეჯი, გუიარა, მინტო, პობორსკი (პრინგლი 80), ლეალი, პემბრიჯი (ბასტო 87), ჟოაო პინტუ, ნუნო გომეში

### კაიზერსლაუტერნი 5:2 ჰიკ

0:1 ილოლა (29), 1:1 როსლერი (44), 2:1 მარშალი (49), 3:1 როსლერი (61), 3:2 ლუის ანტონიო (68), 4:2 როსლერი (80), 5:2 რიშე (85)
ლაუტერნი: რაინკე, სფორცა (რიდლი 85), ჰრუტკა, იბრაჰიმი, რამზი, ბალაკი (რიშე 46), რაიხი, ბაკი, კოხი (როსლერი 38), მარშალი, ხრისტოვი
ჰიკ: ვიანდერი, ტიპინენი, ტურპინენი, ნიულანდი, საასტამოინენი, ილოლა, ლეჰკოსუო, კუკი (ლუის ანტონიო 60), რიიპილაჰტი, კოტილა (ფორსელი 83), პირაკაია (კოფტეფი 66)

ძალიან კარგია, როდესაც კაცი „მანჩესტერ სიტიდან“ მიდის. უვე როსლერმა ინგლისის ჩაჩანაკ გუნდში წვალებას სამშობლოში დაბრუნება ამჯობინა და ოთხშაბათს, ჩემპიონთა ლიგის ბოლო ტურის შეხვედრაში ჰეთ-თრიკი შეასრულა. ახლა როსლერი კონტინენტის უპრესტიჟულესი შეჯიბრების მეოთხედფინალშია, „სიტი“ კი...

„კაიზერსლაუტერნს“ თავი ქუდში ჰქონდა, მისი მეტოქე, ჰელსინკის „ჰიკი“ კი კარის გაჯახუნებაზე ფიქრობდა. თავიდან ფინელებმა მოიქნიეს კიდეც ის კარი, 29-ე წუთზე იარი ილოლამ საჯარიმო მოედნის შიგნიდან ზუსტად დაარტყა, მაგრამ 32-ე წუთზე, კოხის ნაცვლად შეცვლაზე შესულმა როსლერმა მარიან ხრისტოვის მიერ კუთხურიდან ჩაწოდებულ ბურთს შესვენებამდე წუთით ადრე თავური დაჰკრა და ანგარიში გაქვითა.

49-ე წუთზე გერმანიის ნაკრების თავდამსხმელმა ოლაფ მარშალმა ჩირიაკო სფორცას პასს მოუხერხა იგივე. მარშალისთვის ეს ჩემპიონთა ლიგაში პირველი გოლი გახლდათ.

შემდეგ ისევ როსლერმა იყოჩაღა. მან კვლავ თავური დაჰკრა, ოღონდ ამჯერად გაწოლით.

ყველა გოლის აღწერას აზრი არ აქვს. როსლერის მესამეზე კი იმას ვიტყვით, რომ იგიც თავურით გავიდა, ლამაზი, ღონიერი თავურით. კუთხურიდან ბურთი ანდრეას ბუკმა ჩააწოდა.

გიორგი გახოკიძის გუნდმა, ჰოლანდიურმა „ეინდჰოვენმა“ კი პორტუგალიურ „ბენფიკასთან“ შინ 2:2 ითამაშა. შესაბამისად „ბენფიკამ“ ჯგუფის საბოლოო ცხრილში მეორე ადგილი დაიკავა, ოღონდ ასეთი მეორე ადგილი მეოთხედფინალში გასვლის საშუალებას არ იძლეოდა.

პირველ ტაიმში მასპინძლებმა გაიმარჯვეს, მეორეში კი ნუნო გომეშის ორმა გოლმა პორტუგალიელები დააწინაურა და...

„ზუსტად ასეთი რამ ჰელსინკიშიც დაგვატყდა თავს. ორი დასანანი გოლის გამო მეოთხედფინალის ადგილი დავკარგეთ, რაც მეტისმეტად სამწუხაროა“. — თქვა მატჩის შემდეგ ლისაბონის გუნდის შოტლანდიელმა მწვრთნელმა გრემ სუნესმა.

შეხვედრის დამთავრებამდე ორი წუთით ადრე 22 წლის რუუდ ვან ნისტელროოიმ ანგარიში გაქვითა. ის კი არა, შეცვლაზე შესულმა არნოლდ ბრუგინკმა ბოლოწამს კინაღამ დაამარცხა კიდეც სუნესის გუნდი.

„ხედავთ რა ბიჭია? რა შეუძლია? მან ერთხელაც დაამტკიცა, რომ მაღალი კლასის ოსტატია“ — ამბობდა „ეინდჰოვენის“ მწვრთნელი, ინგლისელი ბობი რობსონი ვან ნისტელროოიზე.

„ძალიან კი გვინდოდა პრესტიჟული მეორე ადგილის დაკავება“ — დასძინა მან.



REUTERS კაიზერსლაუტერნიდან

ლაუტერნი — ჰიკ. იანოშ ჰრუტკა უვე როსლერს (№20) ჰეთ-თრიქს ულოცავს

| ⚽ | | 1 | 2 | 3 | 4 | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ლაუტერნი | ⚽ | 1:0 | 3:1 | 5:2 | 12:6 | 13 |
| 2 | ბენფიკა | 2:1 | ⚽ | 2:1 | 2:2 | 8:9 | 8 |
| 3 | ეინდჰოვენი | 1:2 | 2:2 | ⚽ | 2:1 | 10:11 | 7 |
| 4 | ჰიკ | 0:0 | 2:0 | 1:3 | ⚽ | 8:12 | 5 |

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

### გერმანია. ბუნდესლიგა. XVII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| **11 დეკემბერი** | | | |
| ჰამბურგი — ჰერტა | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| დორტმუნდი — მიონხენგლადბახი | 1,3 | 4,2 | 7,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,5 | 2,6 |
| **12 დეკემბერი** | | | |
| ვერდერი — შტუტგარტი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| ვოლფსბურგი — დუისბურგი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| შალკე — მიუნხენი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| ფრაიბურგი — ნიურნბერგი | 1,6 | 3,1 | 5,3 |
| კაიზერსლაუტერნი — აინტრახტი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| ჰანზა — ბოხუმი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| **13 დეკემბერი** | | | |
| ბაიერნი — ლევერკუზენი | 1,7 | 3,0 | 4,7 |

### გერმანია. II ბუნდესლიგა. XVIII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| **11 დეკემბერი** | | | |
| კიკერსი — კოტბუსი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| დიუსელდორფი — ფორტუნა | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| **13 დეკემბერი** | | | |
| ფიურტი — მაინცი | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| ვატენშაიდი — ულმი | 4,0 | 3,0 | 1,8 |
| უდინგენი — ობერჰაუზენი | 2,0 | 3,0 | 3,3 |
| კარლსრუე — ჰანოვერი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| კიოლნი — გიუტერსლო | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| **14 დეკემბერი** | | | |
| ბერლინი — ზანქტ პაული | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| **15 დეკემბერი** | | | |
| არმინია — უნტერჰახინგი | 1,8 | 2,9 | 4,2 |

### ინგლისი. პრემიერლიგა. XVII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| **12 დეკემბერი** | | | |
| ბლექბერნი — ნიუკასლი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| დერბი — ჩელსი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| ევერტონი — საუთჰემპტონი | 1,6 | 3,1 | 5,3 |
| ლესტერი — ნოტინგემი | 1,6 | 2,9 | 6,0 |
| მიდლსბრო — ვესტ ჰემი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| შეფილდი — ჩარლტონი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| ტოტენჰემი — მანჩესტერი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| **13 დეკემბერი** | | | |
| ასტონ ვილა — არსენალი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| უიმბლდონი — ლივერპული | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| **14 დეკემბერი** | | | |
| ლიდსი — ქოვენთრი | 1,5 | 3,2 | 6,5 |

### ინგლისი. I დივიზიონი. XXIII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| **11 დეკემბერი** | | | |
| ბერი — შეფილდი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| **12 დეკემბერი** | | | |
| ბრისტოლი — კრისტალ პალასი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| ჰადერსფილდი — ვესტ ბრომვიჩი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| იფსვიჩი — ბარნსლი | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| ოქსფორდი — ბირმინგემი | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| ქუინზ პარკი — ქრიუ | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 0:1 | 1,8 | 3,5 | 2,6 |
| სანდერლენდი — პორტ ვეილი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 0:1 | 1,8 | 3,5 | 2,6 |
| სვინდონი — ბრედფორდი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| ტრანმერი — ბოლტონი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| უოტფორდი — სტოკპორტი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| ვულვერჰემპტონი — ნორვიჩი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| **13 დეკემბერი** | | | |
| პორტსმუთი — გრიმსბი | 2,0 | 2,8 | 3,5 |

### საფრანგეთი. XVIII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| **11 დეკემბერი** | | | |
| სტრასბური — ნანტი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| რენი — მონპელიე | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| **12 დეკემბერი** | | | |
| ბასტია — პსჟ | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| ბორდო — ლე ავრი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,0 | 2,8 |
| ლორიანი — ლანსი | 2,4 | 2,7 | 2,8 |
| ნანსი — ოსერი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| მარსელი — მეცი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| სოშო — მონაკო | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| ტულუზი — ლიონი | 2,8 | 2,9 | 2,3 |

### იტალია. სერია A. XIII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| **13 დეკემბერი** | | | |
| ბარი — ემპოლი | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| ბოლონია — სალერნიტანა | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| ფიორენტინა — იუვენტუსი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| ლაციო — სამპდორია | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| მილანი — ვიჩენცა | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| პარმა — რომა | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| პერუჯა — კალიარი | 1,9 | 2,6 | 4,2 |
| უდინეზე — ინტერი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| ვენეცია — პიაჩენცა | 1,9 | 2,9 | 3,6 |

### იტალია. სერია B. XIV ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| **12 დეკემბერი** | | | |
| კოზენცა — ლეჩე | 3,0 | 2,7 | 2,3 |
| **13 დეკემბერი** | | | |
| ატალანტა — რეჯინა | 1,8 | 2,7 | 4,7 |
| ჩეზენა — ფ. ანდრია | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| კიევო — ლუკეზე | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| ჯენოა — რეჯანა | 1,7 | 2,8 | 5,3 |
| მონცა — კრემონეზე. | 1,6 | 2,8 | 6,0 |
| ნაპოლი — რავენა | 1,8 | 2,7 | 4,7 |
| პესკარა — ტრევიზო | 2,0 | 2,7 | 3,6 |
| ტერნანა — ბრეშა | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| ტორინო — ვერონა | 2,3 | 2,7 | 3,0 |

### ესპანეთი. I დივიზიონი. XIV ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| **12 დეკემბერი** | | | |
| ბეტისი — ატლეტიკო | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| **13 დეკემბერი** | | | |
| ვალიადოლიდი — ალავესი | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| ბარსელონა — ვილიარეალი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| ბილბაო — დეპორტივო | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| სარაგოსა — მალიორკა | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| რასინგი — ტენერიფე | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| ესტრემადურა — ოვიედო | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| რეალი — სოსიედადი | 1,4 | 3,4 | 7,5 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| სელტა — ესპანიოლი | 1,4 | 3,4 | 7,5 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| ვალენსია — სალამანკა | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,2 | 3,5 |

### ესპანეთი. II დივიზიონი. XVI ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| **12 დეკემბერი** | | | |
| ლას პალმასი — მერიდა | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| ბარსელონა B — მალაგა | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| მალიორკა B — რეკრეატივო | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| **13 დეკემბერი** | | | |
| ალბასეტე — ერკულესი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| ტოლედო — ოსასუნა | 1,6 | 2,8 | 6,5 |
| ეიბარი — ბადახოსი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| სპორტინგი — ლეგანესი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| ატლეტიკო B — ორენსე (15.00) | 1,45 | 3,5 | 6,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,4 | 2,2 |
| რაიო ვალეკანო — სევილია (15.00) | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| ლოგრონიესი — კომპოსტელა | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| ლეიდა — ნუმანსია (15.00) | 2,2 | 2,9 | 3,0 |

### პორტუგალია. XV ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| **12 დეკემბერი** | | | |
| სპორტინგი — ბრაგა | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,0 | 2,8 |
| **13 დეკემბერი** | | | |
| შავეში — ბენფიკა | 5,3 | 3,1 | 1,6 |
| ამადორა — სალგეირუში | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| რიუ ავე — ლეირია | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| ბეირა მარი — ბოავიშტა | 4,7 | 3,0 | 1,7 |
| ფარენსე — ალვერკა | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| მარიტიმუ — გიმარაეში | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| კამპომაიორენსე — სეტუბალი | 2,1 | 2,8 | 3,3 |
| **14 დეკემბერი** | | | |
| აკადემიკა — პორტუ | 6,0 | 3,3 | 1,5 |

### ჰოლანდია. XVIII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| **11 დეკემბერი** | | | |
| მაასტრიხტი — სიტარდი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| **12 დეკემბერი** | | | |
| ტილბურგი — ნაიმეგენი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| ეინდჰოვენი — როდა | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| **13 დეკემბერი** | | | |
| აიაქსი — ჰერენვენი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| ალკმაარი — უტრეხტი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| გრააფსხაპი — ბრედა | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| სპარტა — ტვენტე | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| ვიტესი — ფეიენოორდი | 2,4 | 2,9 | 2,6 |

### ბელგია. XVIII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| **11 დეკემბერი** | | | |
| შარლერუა — ანდერლეხტი | 3,2 | 2,9 | 2,1 |
| **12 დეკემბერი** | | | |
| სტანდარდი — ოსტენდე | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| ვესტერლო — ეკერენი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| მუსკრონი — სენტ ტრუიდენი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| ბევერენი — ლომელი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| გენტი — ლიერსი | 1,9 | 3,0 | 3,3 |
| **13 დეკემბერი** | | | |
| გენკი — ლოკერენი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| კორტრაიკი — ჰარელბეკი | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| ბრიუგე — აალსტი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |

### თურქეთი. XVI ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| **11 დეკემბერი** | | | |
| გენჩლერბირლიგი — ქოჯაელი | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| **12 დეკემბერი** | | | |
| საქარია — ბეშიქთაში | 6,5 | 3,6 | 1,4 |
| გალათასარაი — ანთალია | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,4 | 2,4 |
| **13 დეკემბერი** | | | |
| ადანა — ბურსა | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| სამსუნი — ალთაი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| დარდანელი — ერზურუმი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| ქარაბუქი — გაზიანთეფი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| ფენერბაჰჩე — ისთანბული | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| ტრაბზონი — ანკარაგიუჯიუ | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |

### შოტლანდია. XVIII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| **12 დეკემბერი** | | | |
| აბერდინი — ჰართსი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| დანდი იუნაიტედი — სელტიკი | 4,4 | 3,1 | 1,7 |
| დანფერმლაინი — მოზერველი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| რეინჯერსი — კილმარნოკი | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| სენტ ჯონსტონი — დანდი | 1,6 | 2,9 | 6,0 |

### შვეიცარია. XXII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| **12 დეკემბერი** | | | |
| ქსამაქსი — იანგ ბოისი | 1,4 | 4,0 | 5,6 |
| **13 დეკემბერი** | | | |
| ლუცერნი — გრასჰოპერი | 2,7 | 3,2 | 2,2 |
| სენტ გალენი — ლოზანა | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| ბაზელი — ლუგანო | 1,6 | 3,6 | 4,0 |
| სერვეტი— სიონი | 1,45 | 4,0 | 4,7 |
| ციურიხი — არაუ | 1,3 | 4,7 | 6,0 |

### ჰოკეი. NHL

| | | | |
|---|---|---|---|
| **11 დეკემბერი** | | | |
| ბუფალო — რეინჯერსი | 1,6 | 4,4 | 2,7 |
| ტამპა ბეი — კალგარი | 1,9 | 4,4 | 2,1 |
| დეტროიტი — ედმონტონი | 1,4 | 4,4 | 3,4 |
| ჩიკაგო — ტორონტო | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| დალასი — მონრეალი | 1,3 | 4,4 | 4,0 |
| ანაჰაიმი — ვაშინგტონი | 1,9 | 4,4 | 2,1 |
| **12 დეკემბერი** | | | |
| ბოსტონი — ბუფალო | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| ტორონტო — ფილადელფია | 2,1 | 4,4 | 1,9 |
| ოტავა — ფინიქსი | 2,2 | 4,4 | 1,8 |
| ნიუ ჯერსი — კოლორადო | 1,6 | 4,4 | 2,7 |
| აილენდერსი — ტამპა ბეი | 1,6 | 4,4 | 2,7 |
| კაროლინა — დეტროიტი | 2,4 | 4,4 | 1,7 |
| ფლორიდა — კალგარი | 1,7 | 4,4 | 2,4 |
| სენტ ლუისი — პიტსბურგი | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| ნეშვილი — მონრეალი | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| ლოს ანჯელესი — ვანკუვერი | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| სან ხოსე — ვაშინგტონი | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| **13 დეკემბერი** | | | |
| ფილადელფია — ედმონტონი | 1,3 | 4,4 | 4,0 |
| ჩიკაგო — დალასი | 2,4 | 4,4 | 1,7 |
| ანაჰაიმი — ლოს ანჯელესი | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| **14 დეკემბერი** | | | |
| მონრეალი — ფინიქსი | 2,4 | 4,4 | 1,7 |
| რეინჯერსი — კალგარი | 1,5 | 4,4 | 3,0 |
| კოლორადო — სენტ ლუისი | 1,8 | 4,4 | 2,2 |

### ტურში გატანილი გოლები

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| გერმანია (მე-17) | 25 და ნაკლები | 1,9 | 27 და მეტი | 1,9 |
| ინგლისი (მე-17) | 25 და ნაკლები | 1,9 | 27 და მეტი | 1,9 |
| იტალია (მე-13) | 23 და ნაკლები | 1,9 | 25 და მეტი | 1,9 |
| ესპანეთი (მე-14) | 25 და ნაკლები | 1,9 | 27 და მეტი | 1,9 |
| საფრანგეთი (მე-18) | 22 და ნაკლები | 1,9 | 24 და მეტი | 1,9 |
| პორტუგალია (მე-15) | 22 და ნაკლები | 1,9 | 24 და მეტი | 1,9 |
| ბელგია (მე-18) | 26 და ნაკლები | 1,9 | 28 და მეტი | 1,9 |
| თურქეთი (მე-16) | 24 და ნაკლები | 1,9 | 26 და მეტი | 1,9 |

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

# ვინ წამოაყენებს მობურთალს?



ეს სტატია ქართულ სპორტზე გულისტკივილითაა დაწერილი. მის ავტორს გ. გრიგოლაშვილს ამ წერილისთვის ჩვენი ქვეყნის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის წლევანდელ კონკურსზე (დოკუმენტური მოთხრობა, ნარკვევი, ესე, წერილი), რომელიც საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციასთან ერთად ჩატარდა, მესამე პრემია მიენიჭა.

ასე ჰქვია ერთ ფოტოს, რომელიც ავთანდილ გურასაშვილის ნამუშევრების პერსონალურ გამოფენაზე ვნახე.

სურათზე აღბეჭდილია საიდანღაც მოტანილი და მიწაზე დაგდებული მობურთალის ქანდაკება. მის ფონზე მოჩანს სკამზე ჩამომსხდარი ორი ახალგაზრდა, მობურთალისთვის ზურგი რომ შეუქცევიათ და ოცნებით ალბათ სადღაც რომ წასულან.

ეს ფოტოსურათი, რომელიც თბილისში ძმათამკვლელი ომის დამთავრებიდან რამდენიმე დღის მერე მხატვრის სახლის უკან ცხრა აპრილის სახელობის პარკში გადაუღია ავტორს, ვფიქრობთ, სიმბოლურად ასახავს იმდროინდელ და მომდევნო პერიოდის განუკითხაობას, როცა კულტურული და ზნეობრივი ფასეულობანი დავკარგეთ. მაშინ და მერეც „მოსაპარი“ მოვიპარეთ, „წასაქცევი“ წავაქციეთ, „დასამხობი“ დავამხეთ, მათ შორის ფიზიკური აღზრდაც, სპორტიცა და კულტურაც, რაც ოდითგანვე განუყოფელი იყო ცივილიზებული სამყაროსთვის და გამონაკლისნი არც ჩვენ ვიყავით.

მაგრამ ისევ ჩვენ წავაქციეთ ეს „მობურთალი“, უპატრონოდ მივაგდეთ, „პატიოსანი თამაში“ დავივიწყეთ და ზოგი მშიერ-მწყურვალი, ზოგი გაზულუქებული, ზოგიც განარკომანებული საკუთარ ნაჭუჭში ჩავიკეტეთ. მადლობა ღმერთს, იქიდან თანდათან, ჯერ ცალი თვალით გამოვიჭყიტეთ, მერე რიგიანადაც გამოვიხედეთ და გამოსვლაც ვიწყეთ.

და რა დავინახეთ?

ჩვენი ხელით წაქცეულ-დამხობილი „მობურთალი“, თავის დროზე ძეგლი რომ დავუდგით.

მას შემდეგ წლები გასულა, მაგრამ „მობურთალი“, საერთოდ სპორტი და კულტურა ისევ წაქცეულია და სულს ლაფავს. ნაცვლად იმისა, რომ გულზე ხელი დავიდოთ და ეს ყოველივე ვაღიაროთ, თავს ვიტყუებთ, ერთმანეთს თვალებში ნაცარს ვაყრით და ყოველი წლის ბოლოს უკეთესი მერმისის იმედად ვრჩებით, მერე კი დასტა-დასტად ვითვლით სხვადასხვა საერთაშორისო შეჯიბრებებში მოპოვებულ ბრჭყვიალ-ბრჭყვიალა მედლებს.

მართლაც იმარჯვებენ ჩვენი სპორტსმენები საერთაშორისო შეჯიბრებებში, ევროპის ჩემპიონებიც ხდებიან, მსოფლიოს პირველობებიდანაც ჩამოაქვთ ჯილდოები, რომელთა რაოდენობა ასსაც აჭარბებს, მაგრამ ამ მონაგარში ვერ ვხედავთ მსოფლიოს ჩემპიონის ოქროს მედალს. აღარც კი გვახსოვს, საქართველოს სპორტსმენთაგან ოლიმპიურ სახეობაში ბოლოს ვინ და როდის ავიდა მსოფლიოს ჩემპიონატის საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე. კი ბატონო, გორელმა მოკრივემ გიორგი კანდელაკმა შარშან მოიპოვა მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული, რითაც უზომოდ გაგვახარა, მაგრამ ეს იყო გამონაკლისი, სასწაულებრივი გამონაკლისი — წავიდა კარგა ხნის უვარჯიშებელი კაცი მსოფლიოს ჩემპიონატზე და ყველას აჯობა.

დიახ, ეს იყო ყოველგვარ კანონზომიერებას მოკლებული ფაქტი, რომელიც ალბათ აღარ განმეორდება.

აი, იწურება წლევანდელი წელიც, მაგრამ ოლიმპიურ სახეობებში ამაოდ ველით მსოფლიოს ჩემპიონის დაბადებას — ჰორიზონტზე საიმედო არაფერი ჩანს, მაგრამ ამას ვილა ჩივის, მეორე-მესამე პრიზიორიც აღარ გვყავს.

და ახლა ვის ვაღიარებთ ოლიმპიურ სახეობებში წლევანდელი სეზონის საქართველოს საუკეთესო სპორტსმენებად? ასეთი ალბათ ევროპის ჩემპიონატში გამარჯვებული ან სულაც უფრო დაბალი რანგის შეჯიბრებაში დაწინაურებულნი იქნებიან.

არადა, იყო დრო, როცა სპორტული ჟურნალისტები თავს იმტვრევდნენ საუკეთესო ათლეტის ვინაობის დასადგენად — მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონებიდან ძნელი იყო, ძალიან ძნელი რომელიმესთვის უპირატესობის მინიჭება.

ჟურნალისტები წლეულსაც ამ დღეში ჩაცვივდებიან, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ არჩევანი აღარ გვაქვს.

ან როგორ გვექნება, როცა მოცურავე უწყლოდ დარჩენილა, ტყვიის მსროლელი უტყვიოდ, მობურთალი — უბურთოდ, მორბენალი — სარბენი ბილიკის გარეშე, სხვას სპორტული დარბაზი თავზე ენგრევა, ხოლო რომელიც ჯერ კიდევ არ ინგრევა, ზაფხულობით მასში საპარის უდაბნოსავით ბულია, ზამთრობით კი ლამის ისეთივე ყინვა ისადგურებს, როგორიც ჩრდილო ან სამხრეთ პოლუსზე.

ყოველივე ამ „სიკეთეს“ ერთვის სპორტსმენთა და მათ მწვრთნელთა, ისე როგორც მოსახლეობის უმრავლესობის სიდუხჭირე, რის გამოც მწვრთნელებს პროფესია გამოუცვლიათ. ზოგი სოფლად წასულა და ბარი მოუმარჯვებია, ზოგიც ქალაქად დარჩენილა და „ბუტკაში“ ჩამდგარა ისევე, როგორც ლამის მთელი საქართველო, სხვა კი უცხოეთის გზას დადგომია, ხოლო ვისაც ეს ყოველივე ვერ მოუხერხებია, მწვრთნელობას შიმშილობამდე მიუყვანია. ხელმოკლეობას სპორტსმენებიც იგივე დღეში ჩაუგდია.

მახსენდება „სარბიელში“ გამოქვეყნებული, გულსაკლავი ინტერვიუ სათაურით „მეძავთ BMW მოყირჭებიათ, ნაკრების კაპიტანს კი მარშრუტკის ფული არა აქვს“.

„— შეიძლება ეს არ დაწერო, მაგრამ იცი, პირველად რატომ დავანებე რაგბის თავი? ერთხელ ჩემს მეგობართან ვიყავი სტუმრად. მას ორი „პრასტიტუტკა“ ჰყავდა მოყვანილი, ძალიან ცუდ ხასიათზე ვიყავი და ვთხოვე გაეშვა. ასეც მოიქცა და საკუთარი მანქანა შესთავაზა გასაცილებლად, მაგრამ გოგოებმა იუარეს, ჩვენი მანქანით ვართო. დამაინტერესა, რა მანქანა უნდა ჰყავდეთ-მეთქი და ფანჯრიდან გადავიხედე. გავიდნენ სადარბაზოდან. დისტანციურით გაალეს ბეემვე (მობილური ტელეფონებიც ჰქონდათ) და წავიდნენ. წარმოიდგინეთ, მეძავები დადიან ბეემვეთი და მე, საქართველოს ნაკრების კაპიტანს, მარშრუტკის ფული არა მაქვს. სწორედ მაშინ ვთქვი, ამის დედაც ვატირე, არაფერი არ მინდა-მეთქი და რაგბსაც თავი დავანებე“.

სხვა ფრაგმენტები იმავე ინტერვიუდან:

„ — ინგლისში 1995 წელს წაველი. მერე ვთამაშობდი ფრანგულ „შატორონარში“. შარშან დივიზიონის საუკეთესო ლეგიონერად დამასახელეს. ამის შემდეგ კლუბში ახალ პირობებზე დამიწყეს ლაპარაკი, ყველაფერს უკეთესს მპირდებოდნენ, მათ შორის ხელფასსაც, მაგრამ ჩვენი ფედერაციიდან არაერთხელ მთხოვეს დავბრუნებულიყავი და მეც დავთანხმდი“.

დათანხმდა და ახლა...

„ცხოვრებაში ასე არ გამჭირვებია. გული იმაზეც მწყდება, რომ ამას არც ვმალავ. ვამბობ მიჭირს და დამეხმარეთ, ვარჯიშზე სასიარულოდ ტრანსპორტის და საჭმლის ფული მაინც მომეცით-მეთქი“.

„ერთი წყვილი ბუცი ოთხი წელი მეცვა!“ „მე, ნაკრების კაპიტანი, დედაჩემის იმედად ვარ“! „ცოლშვილი ინგლისში მყავს. არც მათი ჩამოსაყვანი ფული მაქვს, არც იქ ჩასასვლელი“...

ყოველივე ამის მერე რაღად გვიკვირს ჩვენი სპორტსმენების და მათი აღმზრდელების, რომლებიც უცხოელთა სამსახურში ჩამდგარან?

მაშ რაღად გვიკვირს ატლანტის ოლიმპიურ თამაშებზე საქართველოს სპორტული დელეგაციის კრახი?

დღეს საქართველოში სპორტის განვითარებისთვის ორი უმთავრესი ორგანიზაცია იღწვის — სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი და ჩვენი ქვეყნის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი. ახლა არ შევუდგებით იმის გარკვევასა თუ გარჩევას, ვინ უკეთ ასრულებს თავის ფუნქციას, მაგრამ ერთ სვანურ ანდაზას კი გავიხსენებთ: ორი ძიძის ხელში ბავშვი დაიხრჩოო.

თუმცა, ახლა ორი ძიძა კი არა, სამია — რამდენიმე თვის წინათ დაფუძნდა ახალი ორგანიზაცია, რომელიც სპორტის არაოლიმპიური სახეობის განვითარებისთვისაა მოწოდებული...

უცხოელებს ლამის ყველაფერში ვბაძავთ, მათ რეკომენდაციებს ურევიზიოდ ვიღებთ, სპორტი კი მგონი ერთადერთი გამონაკლისია, რომელიც ნაცადი, გატკეპნილი გზით არ მიდის.

მახსენდება შარშან გამოქვეყნებული ინტერვიუ გერმანიის ეოკ-ის წარმომადგენელ პეტერ ჰოლცთან, ვინც საქართველოს სპორტის აკადემიაში ჩვენი ქვეყნის ეოკის ინიციატივით ჩაატარა სემინარები და კონსულტაციები სპორტის სტრუქტურისა და სპორტის ორგანიზაციის სფეროში.

„საქართველოს სპორტის განვითარებისთვის მარტივი სტრუქტურა სჭირდება. მას სჭირდება არა ორი სათაო ორგანიზაცია, არამედ ერთი. ჩემი ღრმა რწმენით, ასეთი ერთი სათაო ორგანო სპორტის განვითარებისათვის სავსებით შესაძლებელი იქნებოდა ყოფილიყო თქვენი ქვეყნის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი. ეს არის ჩემი დასკვნა, ყველაფერი კი თავად უნდა გადაწყვიტოთ. კიდევ ერთხელ გავამახვილებ ყურადღებას იმაზე, რომ უნდა შექმნათ ეფექტური და იაფი სტრუქტურა. მთელი ის ფული, რომელიც საერთოდ სპორტის ორგანიზებაში იკარგება, ბავშვთა სპორტის განვითარებას ვერ ხმარდება. დიახ, ის ფული, რომელიც იხარჯება ზოგადად დიდი სპორტისთვის, მასში დასაქმებული ჩინოვნიკების შესანახად, დაკარგულია ბავშვთა სპორტისთვის“...

ვის ვის და, ბატონ პეტერ ჰოლცს ალბათ დაეჯერება. მას ტიუბინგენის ებერჰარდ-კარლის უნივერსიტეტის დიპლომიან კაცს, უსწავლია სოციალური და სპორტული მეცნიერებანი, სხვადასხვა დროს უმუშავია ნაირგვარ ხელმძღვანელ თანამდებობაზე, მათ შორის გერმანიის სპორტის კავშირის ხელმძღვანელად; არის სხვადასხვა პროექტების მრჩეველ-კონსულტანტი: სპორტული ორგანიზაციების კავშირების წევრი ან თავმჯდომარე, მრავალი სამეცნიერო ნაშრომისა და მოხსენების თანაავტორი როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო სიმპოზიუმებზე, უნივერსიტეტებში, აკადემიებში; მონაწილეობს გერმანიის სხვადასხვა სპორტულ ფედერაციებში მწვრთნელთა თეორიულ და პრაქტიკულ მომზადებაში და კვალიფიკაციის ამაღლებაში...

მაგრამ პეტერ ჰოლცის რჩევის და სხვათა გამოცდილების მიუხედავად, მაინც მივდივართ ძველი გზით, რომელსაც, ეტყობა, არსაით მივყავართ.

ალბათ არსაით მივყავართ სპორტის კანონსაც, კერძოდ იმ მუხლს, რომელშიც საუბარია სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტისა და სპორტულ ფედერაციათა ურთიერთობის შესახებ. ამ კანონის ძალით დეპარტამენტს შეუძლია შეაჩეროს ფედერაციის მუშაობა და ჩაატაროს ხელახალი არჩევნები, თუ მისი მუშაობა არ აკმაყოფილებს.

მაგრამ სპორტული ფედერაციები ხომ საზოგადოებრივი ორგანიზაციებია? მის შესახებაც ხომ არსებობს კანონი, რომელიც, როგორც მთელს მსოფლიოში, არ ითვალისწინებს ამგვარ ჩარევას.

მოკლედ, ბევრი სატკივარი და პრობლემაა ქართულ სპორტში, ძალიან ბევრი — ზოგი ობიექტური, ზოგიც სუბიექტური.

თავს ნუ დავიმშვიდებთ იმით, რომ წლეულს მსოფლიოს ახალგაზრდულ თამაშებზე 140-მდე ქვეყანას შორის საქართველოს წარგზავნილებმა საერთო გუნდურ ჩათვლაში VI ადგილი დაიკავეს, პირადში 17, მათ შორის 2 ოქროს მედალი მოიპოვეს, რაც უდაოდ კარგი შედეგია.

მაგრამ საკითხავი ისაა, ამ მედალოსანი გოგო-ბიჭებიდან ვის ვიხილავთ სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე? ალბათ ვერავის. ყოველ შემთხვევაში ასე ფიქრობენ სპეციალისტებიც. მოსკოვში მონაწილეთაგან თითო-ოროლამ შეიძლება 2004 წლის ოლიმპიურ თამაშებზე იასპარეზოს, სიდნეიში კი ისევ ძველი გვარდიის იმედად თუ ვიქნებით.

ბებერი ხარისა რქებიც კი ხნავსო, მაგრამ ჩვენი დღევანდელი უძლიერესი სპორტსმენები, რომელთა მეტ-ნაკლები იმედიც სასიდნეოდ უნდა გვქონდეს, ძირითადად მაინც ვეტერანები არიან, ვეტერანს კი ძალა და ოსტატობა აღმავლობის კი არა, დაღმავლობის გზაზე აქვს.

ნურც ევროპის ჩემპიონატებში მოპოვებულ ოქროს მედლებით დავიმშვიდებთ თავს — ჭეშმარიტად სპორტის ვარსკვლავები კონტინენტურ პირველობებს მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშებისთვის მოსამზადებელ პრიზმაში განიხილავენ, სადაც ისინი ახალ ილეთებსა და ტაქტიკურ ვარიანტებს ცდიან და ამუშავებენ, ჩვენ კი თავს ასეთი ფუფუნების უფლებას ვერ ვაძლევთ და საექსპერიმენტოდ ვერ ვიცლით, რადგან გამარჯვება გვწყურია. და რაკი გამარჯვებას მსოფლიოსა და ოლიმპიურ სარბიელზე ვერ ვაღწევთ, სადღაც ხომ უნდა გავიმარჯვოთ?

და თუ ყოველივე ასე გაგრძელდა, სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე ატლანტაში მოპოვებული ის ორი ბრინჯაოც სანატრელი გაგვიხდება და მომავალშიც უარესს უნდა ველოდოთ.

და ასე გაგრძელდება მანამ, სანამ სპორტი სახელმწიფოებრივი პოლიტიკის საგანი არ გახდება, სანამ ჩვენს ქვეყანაში პრაქტიკულად არ გამოჩნდება სპონსორობის ინსტიტუტიც, რაზეც მთელი მსოფლიოს სპორტი და არა მხოლოდ სპორტი დგას.

ჩვენი მეწარმენი, ბიზნესმენები სპონსორობის არ არსებობას იმით ხსნიან, რომ საქართველოში არ არსებობს კანონი, რომელიც ამ საქმეს წაახალისებს.

— ეკონომიკური რეფორმების კომიტეტს უკვე დამუშავებული აქვს შესწორება კანონმდებლობაში, რომლითაც მოხდება სწორედ ქველმოქმედების წახალისება, — გვამშვიდებს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანია. — მოგების გადასახადიდან საქველმოქმედოდ გაღებული თანხები არ დაიბეგრება. იმედია, ეს სტიმულს მისცემს ჩვენს ბიზნესმენებს, რათა ხელგაშლილად დაეხმარონ საქართველოს სპორტსმენებს და არა მარტო მათ, არამედ კულტურის მოღვაწეებს, მეცნიერებსა და სხვებს.

მანამდე კი...

მანამდე ჩვენი სპორტსმენები შეჯიბრებებზე იშვიათად დადიან და იქაც არასრული გუნდებით, რომლის წევრებსაც ახალი იარაღის, ახალი ილეთის, პროგრამის, ტაქტიკური ვარიანტის გამოცდა პირდაპირ სეზონის უმთავრეს შეჯიბრებაში უხდებათ.

მსოფლიოს ჩემპიონატებზე თუ ოლიმპიურ თამაშებზე ვარსკვლავების წყვეტას რომ თავი გავანებოთ, გვერდზე გადავდოთ ქვეყნის პრესტიჟი, სახელმწიფოს ხომ ჯანსაღი მოქალაქეები სჭირდება? ჩვენს არმიას, თუ მას მართლაც ვაშენებთ, დაჩიავებული ჯარისკაცებით ფონს ხომ ვერ გავიყვანთ?

„ისტორიკოსები ამბობენ, რომ პოლიტიკური დაცემის ხანაში რომაელი ჯარისკაცები ველარ უძლებდნენ ძველებურ მძიმე მუზარადების ტარებას, მთავრობა იძულებული იყო უფრო მჩატე თავსახურავი შემოეღოთ. ამ ცვლილებას სიმპტომატური მნიშვნელობა ჰქონდა: შემოსეულმა გერმანელმა ბარბაროსებმა ჩქარა დაამარცხეს რომაელი ლეგიონერები და იმპერია გაანადგურეს. გერმანული ურდოები კულტურულად ბევრად დაბლა იდგნენ რომაელებზე მაგრამ ფიზიკური ძალით სჭარბობდნენ.

შეგვიძლია თუ არა დღეს ჩვენც ძველებური წერილთავა მუზარადი ვატაროთ? მართალია, ასეთი ტანსაცმელი აღარ გვჭირია, მაგრამ კიდეც რომ გვჭიროდეს, მის სიმძიმეს ვერ გავუძლებდით: მეტისმეტად დაძაბუნებულნი ვართ, ფიზიკურად. ძველებური ქართული ვარჯიშობისა და მუშაითობის აღდგენა ერთი უდიდესი ეროვნული ვალდებულებაა. მხოლოდ მათი ხასიათი უნდა შეუფარდდეს დროის მოთხოვნილებას. ძველ საქართველოში სპორტს მხოლოდ არისტოკრატია მისდევდა. დღეს, უწინარეს ყოვლისა, დემოკრატიასა და ინტელიგენციას ესაჭიროება ფიზიკური გამაგრება და განახლება“...

გერონტი ქიქოძის ეს წერილი „ფიზიკური აღზრდისათვის“ 1916 წლითაა დათარიღებული და ჩვენდა საუბედუროდ დღევანდელობასაც ისევე ეხმიანება, როგორც ამ 82 წლის წინათ.

ერთი ეგაა, გერონტი ქიქოძე თავის სწერილში წერს, რომ „დემოკრატიზაციასა და ინტელიგენციას ესაჭიროება ფიზიკური გამაგრება და განახლება: განსაკუთრებით მუშებს, წვრილ ხელოსნებსა და მომსახურეებს, რომელნიც ხშირად მთელ დღეს უჰაერო და უსინათლო ქარხნებსა, სარდაფებსა და სახელოსნოებში ატარებენ. მათთვის სპორტი სიცოცხლის ხანგრძლივობის საკითხია“...

მაშინ, 1916 წელს უსინათლო ქარხნებსა და სარდაფებში მომუშავე ხალხი მაინც ყოფილა, დღეს კი აღარც ერთია აღარც მეორე. ჩვენდა საუბედუროდ ლამის მთელი საქართველო უმუშევარი, დაჩიავებული და დაბეჩავებულია, ქარხნები და სახელოსნოები კი ჩვენი ხელით დავანგრევია.

ჩვენივე ხელით წაგვიქცევია მობურთალიც, მასთან ერთად ფიზიკური აღზრდაც, სპორტიცა და კულტურაც, რაც ოდითგანვე განუყოფელი იყო ცივილიზებული სამყაროსათვის და გამონაკლისნი არც ჩვენ ვიყავით.

არც ჩვენ ვიყავით!..

და მაინც, ვინ წამოაყენებს მობურთალს?!

# ეს უკვე კატასტროფაა! ქართული კალათბურთისგან სახელიღა დარჩა

დასაწყისი პირველ გვერდზე

საქმე ის გახლავთ, რომ ამ ბიჭებმა ვერ შეაჯერეს თავიანთი ნიჭი და გარეშე ფაქტორები, ანუ ის ადგილები, სადაც ოსტატობას იმაღლებენ. რა უნდა რეზო ჩხეიძისებრ გონიერ და განსწავლულ კალათბურელს ისრაელის მეორე ლიგაში? რა ესაქმება ლევან ქარაბაკს უკრაინის მიყრუებულ გუნდში? რას აკეთებს ვაკო ბეჟანიშვილი ურალის ტრამალებში? ეს მოთამაშეები თავის ადგილზე არ არიან, მათ მეტი შეუძლიათ და უკეთეს გუნდებსაც მოიხდენდნენ, მაგრამ რეალობას რა ვუყოთ? უყურეს ამათ ეროვნულ ჩემპიონატს, მერე უცხოეთიც მოიხილეს და მიხვდნენ, რომ შინ მათი პატრონი არავინაა. სპორტსმენმა კი სულ რაღაც ხუთ-ექვს წელიწადში უნდა გამოავლინოს თავისი შესაძლებლობები და მატერიალური მდგომარეობაც გაიმყაროს, თორემ დაანებებს თამაშს თავს და მერე აღარავის გაახსენდება. იქნება ამითია ამ კალათბურელთა ნაბიჯი გასამართლებელი? უთუოდ, მაგრამ:

„თუ პროფესიონალები ვართ, საკუთარ თავს თავად უნდა მივხედოთ... როცა შევატყვე, არანაირი პირობები არ ჩანდა, თავად მოვიწადინე: ცალკე ვარჯიში დავიწყე, მძლეოსნობის მწვრთნელი ავიყვანე, რუსეთში გავაღწიე" — ეს ქართული კალათბურთისთვის იშვიათობის — პროფესიონალის სიტყვებია და ისინი ირაკლი ვაშაკიძეს ეკუთვნის. თამაშობს ეს კაცი მოსკოვის „სპარტაკში", აკეთებს თავის საქმეს და მასზე ძვირს ძნელად თუ ვინმეს დააცდენინებ. თუკი ვაშაკიძეს, 30 წლის კაცს, არ დაუკარგავს იმედი და თავის და კარიერის გადასარჩენად იბრძვის, ახალგაზრდებს რაღა მოუვიდათ, რატომ ფლანგავენ წლებს და უნარს უსახელო გუნდებში?

აი, აქ კი მივადექით სისტემის რგოლების გადაჯაჭვულობას. საქართველოში არ არის სტრუქტურა, რომელიც, მარტივად რომ ვთქვათ, მოთამაშეებს უცხოეთში დააბინავებს, ანუ მენეჯერ-აგენტთა ინსტიტუტი. ამის გამოა, რომ კალათბურთელებს თავად უხდებათ კლუბების ძებნა, არადა, მოთამაშე პირველ რიგში საკუთარ თამაშზე უნდა ფიქრობდეს.

ვახტანგ ნაცვლიშვილს კარგი მენეჯერი რომ ჰყოლოდა, ევროპაში უსარგებლო მოგზაურობებით არ მოაცდენდა და ნორმალურ კლუბში დააბინავებდა. იმავე მენეჯერს არყოლას ვაბრალებთ ვატოს წამოსვლას თურქული „ქარშიაქადან". ეს გუნდი დღეს თურქეთის ჩემპიონატის ერთ-ერთი ლიდერია, ხოლო როგორია თურქული კალათბურთი, ჯერ ევროლიგის ცხრილებს ჩავხედოთ, მერე კი 2 დეკემბრის თურქეთ-საქართველოც გავიხსენოთ.

ვაშაკიძე, ბერძენიშვილი, ბოისა გამონაკლისებად ჩანან ამ ვითარებაში. მენეჯერ-აგენტების ინსტიტუტზე საუბრისას კი ერთი რამ გამახსენდა: ამას წინათ ჩვენი კალათბურთის ერთ-ერთ მამას ბოისაზე ვესაუბრებოდი. კი წავიდა სლოვენიაში და კარგადაც მოეწყო, მაგრამ მერე ჩვენ რაო? განრისხებულმა ისიც დააყოლა, არავინ არ უნდა გავუშვათო.

ეს წერილი 10 დეკემბერს, ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დღეს იწერება. ასეთი რამ ხმამაღლა არ ვთქვათ, ვაითუ, ადამიანის უფლებათა დარღვევები დაგვაბრალონ და საერთაშორისო განრისხება-დარღვევები მერე ნახეთ. უნდა გავუშვათ, სწორედ ამაშია დღეს ჩვენ კალათბურთის ხსნა, ოღონდ ყველაფერი წესისა და რიგის მიხედვით უნდა მოხდეს. აგენტი, მენეჯერი, იურისტი, კონტრაქტი, მხარეთა ვალდებულებები — ეს სიტყვები უკვე საქართველოშიც რაღაცას ნიშნავს. ასე რომ, კალათბურთელის გაშვებაც შეიძლება და მერე მისი გამოყენებაც, მთავარია, საქმეს გული და ტვინი დააყოლო. არ გავაკეთებთ ამას, სომხეთის, აზერბაიჯანის, მოლდოვის, მალტის და სხვა არასაკალათბურთო ქვეყნების (მავანმა იქნებ საქართველოც გაურიოს ამ სათვალავში) მეორე-მესამე ლიგებიც სანატრელი გაგვიხდება.

ცოტა ზემოთ გამონაკლისი კალათბურთელები ვახსენე და ერთი კაცი შეგნებულად გამოვტოვე იმიტომ, რომ იგი ამას იმსახურებს, და მისი გვარია

## სტეფანია

უდავოდ ისტორიული ფიგურა და ქართულ კალათბურთში (თუკი ასეთი რამ კიდევ იარსებებს) ახალი ეპოქის შემქმნელი. მიზეზი მარტივია: ვლადიმერ სტეფანია პირველი ქართველია, რომელმაც ნბა-ს კარი შეაღო. მართალია, ჯერ მხოლოდ დრაფტში „სიეტლის" მიერ მისი არჩევით ვკმაყოფილდებით, მაგრამ ეს რა, პატარა ამბავია?! დამთავრდება ლოკაუტი და მერე რა მოხდება, არავინ იცის, თუმცა, რაც სტეფანიამ აქამდე შეძლო, ქართულ კალათბურთს სავსებით ეყოფა, რადგან:

— იგი პირველი ქართველია, რომელიც ნბა-ში მოხვდა;

— იგი პირველი ქართველია, ვინც ლეგიონერის სტატუსით გახდა სხვა ქვეყნის ჩემპიონი;

— იგი პირველი ქართველია, ვინც ევროპის ვარსკვლავთა მატჩში, ეგრეთ წოდებულ „ევროსტარში" ითამაშა;

— იგი პირველი ქართველია, ვინც ევროპის ჩემპიონთა თასის „ოთხთა ფინალში" ითამაშა (ნუ ღელავთ, „დინამოს" მიერ 1962 წელს ჩემპიონთა თასის მოგება არ დამვიწყნია, ვგულისხმობ ახალ საქართველოს — დამოუკიდებელ სპორტულ ერთეულს).

ყოველივე ზემოთ თქმული იმის უეჭველი საბუთია, რომ სტეფანია პროფესიონალი და ნიჭიერი კაცია. ნიჭიერებს კი თავისებურებები ახასიათებთ. რაღა შორს გავრბივართ, ფეხბურთელი ზაზა ჯანაშია, ძიუდოისტი დავით ხახალეიშვილი და მოჭიდავე ელდარ კურტანიძე აქ არ გვყავნან?! მათთან ფაქიზი მიდგომაა საჭირო, თორემ ლანძღვა-გინებაზე და ნაკრებიდან გაგდებაზე იოლი არაფერია.

დღეს სტეფანიას ისეთ რამეებს აბრალებენ, რომ ამ ბრალდებების ჩამოთვლას მე ვერც გავბედავ და არც ვიკადრებ, პირველ რიგში სტეფანიას პროფესიონალიზმს ვცემ პატივს, და იმიტომ. პატრიოტი არაა და საქართველოს ნაკრებში თამაში არ სურსო, არ გვკადრულობსო — ესეც სტეფანიას ბოსტანში ნასროლი კენჭი კი არა, ლოდია. დალოცვილებო, სტეფანიას საქართველოს ნაკრებში თამაში რომ არ სცდომებოდა, ამას ხუთი წლის წინ, ანუ ლიუბლიანის „ოლიმპიაში" გადასვლისთანავე მოაგვარებდა. როგორ? მიიღებდა სლოვენიის მოქალაქეობას (და არა ნატურალიზებულის სტატუსს, როგორც ახლა აქვს), დაიცდიდა ორ წელიწადს (თუ სლოვენიელები ფიბაში საქმეს ჩააწყობდნენ — ერთ წელიწადს) და მერე სლოვენიის ნაკრებში ითამაშებდა. ამის გაკეთება მას ძალიან იოლად შეეძლო, მაგრამ არ გააკეთა, სამშობლოს ნაკრებში ითამაშა და არცთუ ურიგოდ.

მაშ, რა ხდება? სიცხე მაქვს, ჩეხეთში ამიტომ ვერ ვითამაშებო — თქვა სტეფანიამ და ამისთვის ლამის ჩაქოლეს. კი მაგრამ, იცით, რა ღირს სტეფანია? იცით, რამხელა თანხით უნდა იყოს იგი დაზღვეული, ნაკრებში სათამაშოდ რომ მიდის? ნაკრების თამაშისას რომ დაშავდეს, ვინ გადაუხდის მკურნალობის და რეაბილიტაციის ხარჯებს?

დარწმუნებული ვარ, სტეფანია საკუთარი დაზღვევის თანხას თავადვე გადაიხდიდა. აქ სხვა მიზეზია. ნაკრებში იგი ათვალწუნებული ჰყავთ. რატომ? არ ვიცი, მაგრამ ეს ასეა და ძალიან გთხოვთ, ფაქტებს ნუ გამამჟღავნებინებთ, თორემ არაერთ პიროვნებაზე შთაბეჭდილება წაგიხდებათ. იქნებ იმაზეც ვიფიქროთ, რომ მობეზრდა იმ კაცს ამგვარი დამოკიდებულება.

რაც შეეხება დამოკიდებულებას, ოღონდ კალათბურთისადმი. როგორც ჭეშმარიტი პროფესიონალი, სტეფანია კარგად ხედავს, როგორ ეპყრობიან საქართველოში კალათბურთს. რატომ გამოვრიცხავთ, რომ არ უნდა იმ კაცს ისეთ სიტუაციაში თამაში, სადაც ძაღლი პატრონს ვერ ცნობს. დავანებოთ თავი პატრიოტიზმზე ლაპარაკს და იმას, რომ საბონისი ამერიკიდან ჩამოვიდა და ლიტვის ნაკრებში ითამაშა. ის საბონისია, ლიტვის მოქალაქეა, ლიტვაში კი კალათბურთს პატივს სცემენ. თანაც, საბონისი თავად არ გამოქცეულა, არიქა, მათამაშეთო. იგი დაიყოლიეს და ისე ათამაშეს. დაიყოლიეს, ესე იგი, ესაუბრნენ, საერთო ენა გამონახეს. ასეთი რამ კი ჩვენ ძალიან გვიჭირს.

## მწვრთნელი

თუკი ვინმე ზოგადად კალათბურთის მწვრთნელს ახსენებს, ქართველ კაცს, უპირველესად ლევან მოსეშვილი უნდა გაახსენდეს — წარსულის დიდი მოთამაშე და ქართული საკალათბურთო მწვრთნელის სიმბოლო. თითქმის 30 წელიწადი ეზიდება ბატონი ლევანი მწვრთნელის მძიმე უმადურ ტვირთს და ამ ხნის განმავლობაში ბევრ რამესაც მოსწრებია — სიხარულსა თუ წუხილს, გამარჯვებასა თუ დამარცხებას.

დღეს ლევან მოსეშვილი საკუთარი გუნდის, საქართველოს ნაკრების სრულ ფიასკოს მოესწრო. იგი უძლურია, რამე შეცვალოს ნაკრების თამაშსა და სტრატეგიაში. გარდაუვალია ის მომენტი, როცა...

არავის, მათ შორის არც მე მინდა, მოსეშვილმა შერცხვენილმა და კრახგანცდილმა დატოვოს ეროვნული გუნდი. არავის სურს, რომ გულშემატკივარმა იგი სტვენით გააცილოს. არ იმსახურებს ეს კაცი ამას. ნება მიბოძეთ არ დავეთანხმო ბატონ ლევანს იმაში, რომ „სწორ გზას ვადგავართ. უბრალოდ, საევროპოდ არც ძალა გვეყო და არც გამოცდილება."

საეჭვოა, ნაკრები სწორ გზას ადგეს — შედეგები და სიტუაცია საწინააღმდეგოს მეტყველებს. თანაც უკვე უადგილოც ხომ არ არის გამოუცდელობაზე ლაპარაკი. ვინ არის გამოუცდელი? ევროპის, ფაქტობრივად, ორ შესარჩევ ციკლში ნათამაშევი კალათბურთელები? ნაცვლიშვილი — ევროპის მრავალ ქვეყანაში და ამერიკულ კოლეჯში ნასპარეზევი კაცი? ჯაფარიძე — საბერძნეთის ლიგამოვლილი მოთამაშე? ბერძენიშვილი თუ ვაშაკიძე — ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, საპორტას თასზე მობურთალნი, რომლებსაც ყოველ სამშაბათს ევროპის წამყვან მოთამაშეებთან უწევთ ჭიდილი? ამათზე გამოცდილი სტეფანიაა, მაგრამ... (იხილეთ ცოტა ზემოთ)

ვერც ნაკრების უეცარი გაახალგაზრდავება და პატარა ბიჭების დაუხანებლად, შეუმზადებლად „ხორცის საკეპ მანქანაში" გატარება ჩანს მართებულად. თუკი იმას ვეშურებით, რომ ამათ გამოცდილება შეიძინონ, ვის უსწავლია რამე ისეთ თამაშში, რომელსაც სასტიკად აგებ და უფრო დიდი სხვაობით იმიტომ არ მარცხდები, რომ მოწინააღმდეგესაც აქვს სიბრალულის გრძნობა?

ნაკრების ხელმძღვანელობაშიც სრული ჰარმონიაა? ყველას გვახსოვს 80-იანი წლების დასაწყისი და „დინამოს" უნიჭიერესი გამთამაშებელი პაატა გურასპაული — დღეს ახალგაზრდული ნაკრების მთავარი და ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის თანაშემწე. ისიც გვახსოვს, რომ მან 20 წლის ასაკში შეწყვიტა პერსპექტიული კარიერა. „დინამოს" მაშინ მოსეშვილი წვრთნიდა. წერტილი კი დავსვით, მაგრამ ეს წერტილი ძალიან ბევრს იტევს — ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, კიდევ ერთ დანგრეულ კარიერას. გამორიცხულია, ოცი წლის წინანდელი ამბავი დღესაც კარგად რომ ახსოვდეთ?

რა ელის ნაკრებს? კიდევ ორი წაგება ლატვიასთან და იტალიასთან. მერე კი მაისში, ევროპის 2001 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე მოსახვედრად გასამართი წინასწარი ტურნირი. პერსპექტივა: სტეფანია — არა, ბეჟანიშვილი — არა, ქარაბაკი — არა, გოგობერიშვილი — არა. უდიდესი შანსი იმისა, რომ ეს ტურნირიბარიერი ვერ დავძლიოთ და საერთოდ ევროპული კალათბურთის მიღმა დავრჩეთ. ვის მოსთხოვენ ამისთვის პასუხს? ცხადია, მწვრთნელს? ჰოდა, ნუ გავიმეტებთ ლევან მოსეშვილს ასეთი მძიმე ხვედრისთვის. სჯობს, სხვამ იტვირთოს ეს, რადგან პრესტიჟის აღდგენის პერსპექტივა მაინც ექნება.

## ფედერაცია

საქართველოში კალათბურთის არსებობაზე, განვითარებაზე, მის წარმატებასა თუ წარუმატებლობაზე ზრუნავს და პასუხს აგებს საქართველოს კალათბურთის ფედერაცია. ჩვენი გაუკუღმართებელი ყოფის, ბიუჯეტის დეფიციტის, გაუფასურებული ლარის და სპორტის სტრუქტურის გამო ფედერაციის (არა მხოლოდ კალათბურთის, არამედ ფეხბურთის გარდა ყველას) არსებობას ერთადერთი აზრი შერჩა: თუ ეროვნული ფედერაცია არ გყავს, საერთაშორისო ფედერაცია არ გცნობს.

ფედერაცია ბიუჯეტიდან ფინანსდება. ხაზინიდან პირდაპირი დაფინანსება არ არსებობს, თანხამ სპორტის დეპარტამენტი უნდა გამოიაროს. ეს უკანასკნელიც ფინანსთან სამინისტროზეა დამოკიდებული. აქ ისე საზარლად მოჯადოებული წრეა შეკრული, რომ ფედერაციები სულს ლაფავენ და კალათბურთიც რაღა გამონაკლისია. რას წარმოადგენს დღევანდელი საქართველოს კალათბურთის ფედერაცია — სპორტის დეპარტამენტის შენობის ორ ოთახში მსხდომ სამ ენთუზიასტს, რომლებიც თვეობით ელიან კუთვნილ უმცირეს, ახლა უკვე ამის ნახევარ ხელფასს. რა უნდა მოსთხოვო ფედერაციას, რა შეუძლია? ხანდახან ფაქსის გასაგზავნი ფულიც არა აქვს (ასევეა თითქმის ყველა ფედერაცია).

ფედერაციას ჰყავს პრეზიდენტი, დიდი და გავლენიანი თანამდებობის პირი, მაგრამ მას ჯერ თავისი ორგანიზაციის რთული საქმეები აქვს მოსაგვარებელი, მერე კი კალათბურთისა. ბატონ პრეზიდენტს ქვეყნის დალაგების, ბიუჯეტის შევსების და ნათელი მომავლის იმედი აქვს. ვეჭვობთ, ეს საქმე მალე მოხდეს და, თუ მოხდა, გაპარტახებულ ქვეყანას იმდენი თავსატეხი აქვს, არა გვგონია, კალათბურთის გადარჩენა უპირველეს საკითხად დაისახოს. ამასობაში კი დრო მიდის. ქართული კალათბურთი კნინდება და კნინდება.

ბატონ პრეზიდენტს ფიბას იმედი აქვს. იქ ჩასვლას და შემწეობის თხოვნას აპირებს. მაგრამ ფიბა ხომ ფიფა ან უეფა არ არის, თავის წევრ ქვეყნებს დიდძალი ფულით რომ ეხმარება. საერთაშორისო კალათბურთის გამგებელი ორგანიზაცია დიდი ხელმოჭერილობითაა განთქმული, ყველა მიზეზს ეძებს, წევრ ქვეყნებს იქით წაართვას ფული. აბა, რას მივაწეროთ გაუთავებელი გადასახადები, ჯარიმები, სანქციები, დისკვალიფიკაციები. ეს მარტო ჩვენში არ ხდება, მახსოვს, იუგოსლავიის კალათბურთის ფედერაციის ერთ-ერთი დიდჩინოსანი ჩიოდა: ფიბა მალე იმიტომ დაგვაჯარიმებს, კალათბურთს რატომ თამაშობთო. ასე რომ, ფიბას დიდი იმედი არ უნდა გვქონდეს. ხომ გამოგვიგზავნა ერთხელ ფორმა და ბურთები, მეორეჯერ სპორტულ ჩანთებს და პირსახოცებს გამოგვიგზავნის. უბედურება ის გახლავთ, რომ ჩვენ ეს ელემენტარულიც გვენატრება.

კალათბურთის ფონდის შექმნა განუზრახავთ. ისიც ვიკითხოთ, ჩვენს ქვეყანაში რომელი ფონდი მუშაობს გამართულად, კალათბურთისამ რომ იმუშაოს? ან კი, რომელი ბიზნესმენი ან ფირმა დათანხმდება ქართული კალათბურთის რჩენას, როდესაც გადასახადებს ისე წაუჭერიათ მათთვის ყელში ხელი, რომ სუნთქვა უჭირთ? ეს ყველაფერი კი პროექტებია, თანაც საკმაოდ ილუზიური. რეალურად კი გვაქვს

## ეროვნული ჩემპიონატი

რომლის ერთ-ერთი თამაშის ხილვისას საქართველოს ოლიმპიურმა ატაშემ, ამერიკელმა კელვინ ჰილმა იკითხა, ეს რომელი სკოლების პირველობააო.

რა დონისაა ჩვენი ჩემპიონატი, დაინტერესებულმა კაცმა იცის, ვინც არა — შეიაროს ვერის ბაღში და თავად იხილავს. გასაგებია, რომ ქვეყანას უჭირს, დენი ითიშება, დარბაზი არ თბება. ისიც გასაგებია, რომ მაღალი კლასის მოთამაშეები და თამაშები სანთლით კი არა, პროჟექტორებითაა საძებნი, მაგრამ რაც მოედანზე ხდება...

ამას წინათ კალათბურთის მსაჯმა გია მოლოდინაშვილმა „სარბიელის" ფურცლებზე ეროვნულ ჩემპიონატს, მის ორგანიზებას, მსაჯობას მძიმე ბრალდებები წაუყენა. ნორმალურ სიტუაციაში ამას რეაგირების გარეშე არავინ დატოვებდა. ჩვენთან კი, ძაღლი ყეფს, ქარავანი მიდისო. არც რედაქციას გამოეხმაურა ვინმე, არც ფედერაციას, არც თავად მოლოდინაშვილს. თუ ტყუის ეს კაცი, რატომ არ თხოვენ პასუხს ცილისწამებისთვის. თუკი მართალია, რატომ სასწრაფოდ არ იღებენ ამ საშინელების აღსაკვეთ ზომებს. მიზეზი ერთია: კალათბურთისადმი დამოკიდებულება უგულისყურო, უპასუხისმგებლოა. მარტივად, კალათბურთი ყველას ფეხებზე ჰკიდია.

ის, რაც ეროვნულ ჩემპიონატში ხდება, სარკესავით ისახება ჩვენი გუნდების საერთაშორისო მატჩებისას. ყველაზე ახლო მაგალითი — საქართველო-შვედეთის ჩხუბი. გასაგებია, რომ ნბა-შიც ჩხუბობენ, მაგრამ ნბა-ს კლუბებს და მოთამაშეებს იმის თავიც აქვთ, რომ ჩხუბის გამო დაკისრებული ჯარიმები თავისუფლად გადაიხადონ. ჩვენ? ფიბა იმხელა თანხით დაგვაჯარიმებს, ჩვენი კალათბურთის გაძვალტყავებული ბიუჯეტისთვის ძალიან დიდი რომ იქნება. მერე რა მოხდა, ჯორჯიკიასაც უჩხუბიაო — ამბობს მავანი. მოდი, ჯერ დღევანდელმა მოჩხუბარ-კალათბურთელებმა ითამაშონ იმნაირად, როგორც ჯორჯიკია სასკოლო ასაკში თამაშობდა, მერე კი, გინდა იჩხუბონ და გინდა ქვეყანა დააქციონ.

შეძლებისდაგვარად, სისტემის რამდენიმე რგოლი განვიხილეთ და ყველგან უმძიმეს მდგომარეობას წავაწყდით. ქართული კალათბურთი აგონიაშია, ამაზე უარესი რაღა უნდა დაემართოს. სამწუხარო კი ისაა, რომ რეალური გამოსავალი არ ჩანს. ცოტა ხნის წინ ჩანდა, მაგრამ მისკენ რა გზით წავსულიყავით, არ ვიცოდით. ცოტაც და, ქართულ კალათბურთში ისეთი სიბნელე დაისადგურებს, მის განათებას წლები კი არა, თაობები აღარ ეყოფა.

**მერაბ რატიშვილი**


ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაკრებში ყოფნას ვლადიმერ სტეფანიასთვის უსიამოვნების მეტი აღარაფერი მოაქვს

## კორაჩის თასი. მერთექვსმეტედფინალი.

პირველი მატჩები. 9 დეკემბერი

პორტუ (პორტუგალია) — დუკატო (იტალია) 73:63
ძუკეტი (იტალია) — პანიონიოსი (საბერძნეთი) 79:69
ფორუმი (ესპანეთი) — ბეშიქთაში (თურქეთი) 76:79
ოკაპი (ბელგია) — აეროპორტი (იტალია) 64:70
ალიტა (ლიტვა) — გალათასარაი (თურქეთი) 75:70
ბიტომი (პოლონეთი) — დიჟონი (საფრანგეთი) 78:79
ბამბერგი (გერმანია) — ციტლიუკი (ბოსნია) 79:54
კერავნოსი (კვიპროსი) — ოსტენდე (ბელგია) 70:73
ბენსტონი (ხორვატია) — ადეკო (ესპანეთი) 49:72
აპოლონი (საბერძნეთი) — მაკაბი (რიშონი, ისრაელი) 75:75
ნეპტუნასი (ლიტვა) — დარუშაფაკა (თურქეთი) 89:97
რადნიჩკი (იუგოსლავია) — დოლფინსი (შვედეთი) 107:93
პოგონი (პოლონეთი) — ტელეკომი (გერმანია) 77:70
კრკა (სლოვენია) — ბარსელონა (ესპანეთი) 66:75
ირაკლიონი (საბერძნეთი) — არსენალი (რუსეთი) 69:69
პაპაგოსი (საბერძნეთი) — შიაულიაი (ლიტვა) 74:67

*საპასუხო მატჩები 16 დეკემბერს გაიმართება*

# ევროპის ვარსკვლავები დადგინდნენ

*ფიბამ გამოაქვეყნა „ევროსტარ-98"-ის მონაწილე გუნდების შემადგენლობა. მატჩი 29 დეკემბერს, ბერლინში გაიმართება*

### აღმოსავლეთი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| პეტარ ნაუმოსკი | უკანა ხაზი | ეფესი | 194 | 30 |
| ვასილი კარასიოვი | უკანა ხაზი | ცსკა | 194 | 27 |
| დევიდ რივერსი | უკანა ხაზი | თოფაში | 183 | 33 |
| დორონ შეფერი | უკანა ხაზი | მაკაბი, თელ ავივი | 195 | 26 |
| დინო ბოდიროგა | ფორვარდი | პანათინაიკოსი | 204 | 25 |
| ნიკოს ეკონომუ | ფორვარდი | პანათინაიკოსი | 206 | 25 |
| იბრაჰიმ ქუთლუაი | ფორვარდი | ფენერბაჰჩე | 198 | 24 |
| მარკო მილიჩი | ფორვარდი | ფენერბაჰჩე | 200 | 21 |
| საულიუს შტომბერგასი | ფორვარდი | ჟალგირისი | 202 | 24 |
| კონრად მაკრეი | ცენტრი | ფენერბაჰჩე | 206 | 27 |
| დინო რაჯა | ცენტრი | პანათინაიკოსი | 211 | 31 |
| დრაგან ტარლაკი | ცენტრი | ოლიმპიაკოსი | 210 | 25 |

*მწვრთნელი: სტანისლავ ერიომინი (ცსკა)*

### დასავლეთი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ალექსანდრ ჯორჯევიჩი | უკანა ხაზი | ბარსელონა | 188 | 31 |
| კარლტონ მაიერსი | უკანა ხაზი | ტიმსისტემი | 192 | 27 |
| ანტუან რიგოდო | უკანა ხაზი | კინდერი | 200 | 26 |
| ჰენრიკ როდლი | უკანა ხაზი | ალბა | 201 | 29 |
| ვენდელ ალექსისი | ფორვარდი | ალბა | 204 | 34 |
| პრედრაგ დანილოვიჩი | ფორვარდი | კინდერი | 202 | 28 |
| ალბერტო ერეროსი | ფორვარდი | რეალი | 200 | 29 |
| არტურას კარნიშოვასი | ფორვარდი | ტიმსისტემი | 204 | 27 |
| ანრეა მენეგინი | ფორვარდი | ვარეზე | 200 | 24 |
| ტანოკა ბერდი | ცენტრი | რეალი | 206 | 27 |
| რადოსლავ ნესტეროვიჩი | ცენტრი | კინდერი | 214 | 22 |
| ჟელკო რებრაჩა | ცენტრი | ბენეტონი | 211 | 26 |

*მწვრთნელი: სვეტისლავ პეშიჩი (ალბა)*



# ტუკვაძე ყვედაფერს იტყვის



გელა ტუკვაძე

საქართველოს ახალგაზრდა წყალბურთელთა ნაკრები ვოლგოგრადს გაემგზავრა რუსეთის ღია ჩემპიონატში მონაწილეობისთვის. გაისად, მაისში ამ გუნდს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი ელის და ეს ტურნირიც მოსამზადებლად მართლაც მისწრებაა. ჩვენი ახალგაზრდები რუსეთის ჩემპიონატში შარშანაც მონაწილეობდნენ, გაიმარჯვეს კიდეც და ამით ერთგვარი ფურორიც მოახდინეს.

ბუნებრივია, შარშანდელი გამარჯვებულისგან კვლავაც ჩემპიონობას ველით, მაგრამ ნაკრების მთავარი მწვრთნელი სოსო მაისურაძე მთლად ასე არ ფიქრობს. საქმე ისაა, რომ შარშან ჩვენი წყალბურთელები თანატოლებს ეთამაშებოდნენ, წლეულს კი ერთი წლით უფროსებთან მოუწევთ პაექრობა. „ეს ამ ასაკის სპორტსმენებში დიდი უპირატესობაა. ნაკრების ძირითადი ბირთვი კვლავაც შარშანდელია, მხოლოდ ოთხნი დავიმატეთ" — გვითხრა მწვრთნელმა და დასძინა:

— ეს ნაკრები ეროვნული გუნდის საბაზო, უახლოეს მომავალში კი საერთოდ შემცვლელ გუნდად მიიჩნევა. ალბათ ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის დამთავრებამდე ხელს არ გვახლებენ, მერე კი დაახლოებით ათი კაცის ეროვნულში მიწვევას აპირებენ.

თავად გუნდი თსუ-ს ბაზაზეა დაკომპლექტებული და ვინაიდან ამ კლუბს „ლაგუნა ვერეზე" ვარჯიშის საშუალება აქვს, ნაკრებიც ასე თუ ისე ნავარჯიშევი მიემგზავრება ვოლგოგრადში, თუ ქართულ კლუბებთან ან ერთმანეთთან ნათამაშევი მატჩები სერიოზულ ვარჯიშად ჩაითვლება.

ახლახან ისიც გაცნობეთ, საქართველოს წყალბურთელთა ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი გელა ტუკვაძე ნებით ტოვებს ნაკრებსო. ამის თაობაზე თავად ტუკვაძეს შევეხმიანეთ. გვითხრა, საბოლოო გადაწყვეტილებას დაახლოებით იანვარში მივიღებ, გადადგომაზე მართლაც სერიოზულად ვფიქრობო. მწვრთნელმა მიზეზების დაკონკრეტებისგან ამჯერად თავი შეიკავა, ზოგადად კი მძიმე ეკონომიურ ვითარებაზე ჩამოაგდო სიტყვა. „ოჯახის პატრონი ვარ, უყურადღებოდ ხომ ვერ მივატოვებ" — დაამატა ნათქვამს. ამასთან, დაგვპირდა, უახლოეს ხანს ყველაფერს დაუფარავად ვიტყვიო.

**ირაკლი თავაძე**



# ღონიერება მდიდარს აჯობა...

9 დეკემბერი

**რეინჯერსი — კოლორადო 1:2**

0:0 1:0 0:2

1:0 შნაიდერი 21'29 (2); 1:1 საკიკი 51'56 (12); 1:2 ფორსბერგი 53'34 (9)

ეს უეჭველად დღის ცენტრალური მატჩი იყო. ლიგაში უმდიდრესმა რეინჯერსმა და ერთ-ერთმა უძლიერესმა კოლორადომ, როგორც იქნა, თავი დააღწიეს კრიზისს და ამ ორთაბრძოლამდე ზედიზედ რამდენიმე იღბლიანი შეხვედრა ჩაატარეს. ამიტომ არც ერთს არ სურდა ხეირიანი სერიის შეწყვეტა. ძლიერთა ამა ქვეყნისათა დავა სტუმართა გამარჯვებით დასრულდა, თუმცა თავიანთი უპირატესობის დასამტკიცებლად მათ ბოლო წუთამდე მოუხდათ ბრძოლა. თავიდანაც ძალიან გაუჭირდათ: ანგარიში მასპინძლებმა გახსნეს და „ეველანშის" ნახევარსაათიანმა შეტევებმა შედეგი ვერ გამოიღო. საბოლოო სიტყვა კლუბის ლიდერებმა საკიკმა და ფორსბერგმა თქვეს — ამ უკანასკნელმა ზედიზედ მეორე მატჩში გაიტანა გამარჯვების გოლი, თანაც ამჯერად ფლანგზე მოთამაშე სუპერფორვარდმა ჩინებული შაიბა შეუგდო მის მიერ მოტყუებულ მეკარე მაიკ რიხტერს. ზედიზედ ხუთმა მოგებამ კოლორადო დივიზიონის ლიდერად აქცია და ჰოკეისტებმაც თავიანთი მწვრთნელის ბობ ჰარტლის ქებაც დაიმსახურეს.

**ფლორიდა — ოტავა 6:5**

4:1 1:2 1:2

1:0 კოზლოვი 11'54 (4); 2:0 ნიდერმაიერი 13'34 (8); 3:0 სისარელი 14'34 (4); 4:0 კოზლოვი 15'45 (5); 4:1 მაკიჩერნი 18'06 (10); 4:2 არვედსონი 25'45 (6); 4:3 იორკი 31'14 (3); 5:3 მიულერი 38'32 (2); 5:4 ჰოსა 44'46 (1); 5:5 ბონკი 51'33 (8); 6:5 უიტნი 54'31 (8)

სტუმრები თავიანთი ახალბედების თავშეუკავებლობამ დაღუპა. პირველ პერიოდში ვაცლავ პროსპალმა პოლ ლოხს სახეში ყვანჯი ჩაარტყა და 5-წუთიანი ჯარიმა დაიმსახურა. ფლორიდელებმაც უხეშობისთვის მკაცრად დასაჯეს იგი — ამ დროის განმავლობაში 4-ჯერ (!) გამოიყენეს რიცხვმრავლობა. ამის შემდეგ სტუმრებმა უდიდესი ძალისხმევით შეძლეს თამაშში გარდატეხის შეტანა, რაშიც ახალბედა მარიან ჰოსამ (1+2) უდიდესი როლი ითამაშა, მაგრამ მატჩის მიწურულს იგი გმირიდან ანტიგმირად იქცა: სრულიად უსაფუძვლოდ წესი დაარღვია და რეი უიტნის (1+2) თავისიანების დაწინაურების საშუალება მისცა. ოტავამ ანგარიში ველარ გაათანაბრა, ფლორიდამ კი რიცხვმრავლობის 5-ჯერ გამოყენებით საკლუბო რეკორდი გაიმეორა.

**ჩიკაგო — ედმონტონი 3:1**

1:0 1:1 1:0

1:0 დაზე 8'11 (8); 2:0 ოლჩიკი 24'13 (2); 2:1 გერინი 36'58 (15); 3:1 დაზე 51'07 (9)



REUTERS მაიამიდან

ოტაველმა შონ ვან ალენმა (22) ფლორიდელი რობ ნიდერმაიერი ასეღა გააჩერა

**დალასი — სან ხოსე 3:3**

1:3 2:0 0:0 0:0

0:1 მარლო 3'57 (5); 1:1 ლეჰტინენი 5'43 (9); 1:2 ნოლანი 12'18 (3); 1:3 რიჩი 19'32 (5); 2:3 საიდორი 27'10 (8); 3:3 ჰრკაჩი 37'12 (4)

ერთ კონფერენციაში მოთამაშე გუნდებმა განრიგით გათვალისწინებული 6 მატჩიდან 5 უკვე ჩაატარეს და მთლიანობაში, ბოლო შეხვედრის შედეგის მიუხედავად, ეს სერია დალასმა (+3=1-1) მოიგო. თუმცა ჩემპიონატის ლიდერს აუტსაიდერმა სულაც არ დაუდო ტოლი. რომ არა რიცხვმრავლობის კარგი გამოყენება (5 ცდიდან 3) და დერილ საიდორი (1+2), მასპინძლებს მარცხისგან ვერაფერი იხსნიდა. ჯერ იყო და, დალასელთა მცველის ძლიერად დარტყმული შაიბა მოთამაშეებით გარშემორტყმულ მაიკ ვერნონს „გაეპარა", მეორეს კი ტონი ჰრკაჩმა ოდნავ შეუცვალა მიმართულება.

**ანაჰაიმი — ვანკუვერი 4:4**

1:0 3:3 0:1 0:0

1:0 დავიდსონი 18'20 (2); 2:0 რუჩინი 20'57 (8); 2:1 ნესლუნდი 23'24 (14); 3:1 დავიდსონი 27'51 (3); 3:2 მუკალტი 28'05 (9); 4:2 მაკინისი 32'20 (8); 4:3 იორკი 38'50 (1); 4:4 ჰედიკანი 49'07 (2

ვანკუვერს თავისი მოთამაშის — ბრედ მაკალისტერის უხეშობა სასიკეთოდ წაადგა. უმცირესობაში მარკ მესიემ (2 პასი) მეტოქეს შაიბა აართვა და ბრეტ ჰედიკანს მიაწოდა. 2 პასი მიითვალა პოლ კარიამაც, ხოლო ამ სეზონში უკვე მესამე კლუბში გადასულმა ჰარი იორკმა (ვანკუვერამდე რეინჯერსსა და პიტსბურგში თამაშობდა) პირადი ანგარიში გახსნა.

**ფინიქსი — მონრეალი 4:2**

2:0 2:1 0:1

1:0 რენიკი 5'25 (9); 2:0 ტოკეტი 12'38 (12); 2:1 დამფუსი 26'46 (7); 3:1 სალივანი 35'21 (2); 4:1 ტკაჩუკი 37'25 (15), 4:2 ჰოგლუნდი 50'57 (3)

ჩემპიონატის ერთპიროვნული ლიდერის მორიგმა დამაჯერებელმა გამარჯვებამ კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ 2 დეკემბერს ედმონტონთან განცდილი მარცხი (ბოლო 18 მატჩიდან „კოიოტებმა" 14 მოიგეს და 3 ფრედ დაასრულეს) სხვა არაფერი იყო, თუ არა შემთხვევითობა. მასპინძელთაგან კვლავ ჯერემი რენიკი (1+1) — კეიტ ტკაჩუკის (1+1) წამყვანი დუეტი გამოირჩა.

**ლოს ანჯელესი — ვაშინგტონი 2:1**

2:0 0:0 0:1

1:0 რობიტაილი 9'23 (13); 2:0 მიურეი 14'05 (11); 2:1 კონოვალჩუკი 43'54 (3)

მასპინძლებმა შეწყვიტეს წაგებათა ხუთმატჩიანი სერია.

### სატურნირო ვითარება

| ჩრდილო-აღმოსავლეთი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტორონტო | 27 | 15 | 2 | 10 | 83:78 | 32 |
| ბუფალო | 23 | 13 | 5 | 5 | 67:44 | 31 |
| ოტავა | 25 | 13 | 3 | 9 | 77:63 | 29 |
| ბოსტონი | 24 | 11 | 6 | 7 | 63:45 | 28 |
| მონრეალი | 26 | 8 | 3 | 15 | 59:78 | 19 |
| **სამხრეთ-აღმოსავლეთი** | | | | | | |
| კაროლინა | 27 | 12 | 5 | 10 | 72:64 | 29 |
| ფლორიდა | 25 | 9 | 6 | 10 | 64:70 | 24 |
| ვაშინგტონი | 25 | 8 | 3 | 14 | 56:71 | 19 |
| ტამპა | 26 | 7 | 2 | 17 | 5899 | 16 |

| ატლანტა | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნიუ ჯერსი | 25 | 15 | 3 | 7 | 71:60 | 33 |
| ფილადელფია | 25 | 12 | 5 | 8 | 69:57 | 29 |
| პიტსბურგი | 24 | 10 | 7 | 7 | 71:64 | 27 |
| რეინჯერსი | 27 | 10 | 7 | 10 | 72:69 | 27 |
| აილენდერსი | 27 | 10 | 0 | 17 | 6881 | 20 |
| **ცენტრი** | | | | | | |
| დეტროიტი | 25 | 15 | 1 | 9 | 84:61 | 31 |
| სენტ ლუისი | 23 | 9 | 6 | 8 | 60:54 | 24 |
| ჩიკაგო | 27 | 9 | 3 | 15 | 64:92 | 21 |
| ნეშვილი | 25 | 9 | 2 | 14 | 5877 | 20 |

| წყნარი ოკეანე | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფინიქსი | 22 | 16 | 3 | 3 | 66:37 | 35 |
| დალასი | 24 | 15 | 4 | 5 | 69:50 | 34 |
| ანაჰაიმი | 26 | 9 | 6 | 11 | 61:66 | 24 |
| ლოს ანჯელესი | 27 | 7 | 3 | 17 | 57:77 | 17 |
| სან ხოსე | 25 | 5 | 7 | 13 | 54:65 | 17 |
| **ჩრდილო-დასავლეთი** | | | | | | |
| კოლორადო | 26 | 13 | 2 | 11 | 66:67 | 28 |
| ედმონტონი | 27 | 13 | 2 | 12 | 79:72 | 28 |
| ვანკუვერი | 27 | 10 | 4 | 13 | 7880 | 24 |
| კალგარი | 26 | 9 | 2 | 15 | 71:77 | 20 |

***ბომბარდირები:*** *ლინდროსი (ფილადელფია) 35(14+21); იაგრი (პიტსბურგი) 35(8+27); ფორსბერგი (კოლორადო) 33(9+24); კარია (ანაჰაიმი) 32(13+19); საკიკი (კოლორადო) 32(12+21); ლეკლერი (ფილადელფია) 31(18+13); ამონტე (ჩიკაგო) 30(20+10); აიზერმანი (დეტროიტი) 30(11+19); მესიე (ვანკუვერი) 29(10+19); ფლერი (კალგარი) და სტრაკა (პიტსბურგი) 28(14+14)მ*

**ოთხშაბათს** ფილადელფიასთან ჩატარებული მატჩი ნიუჯერსელ მცველ კენ დანეიკოსთვის კარიერაში 935-ე გახლდათ, რაც ამ კლუბის ახალი რეკორდია. ყოფილ რეკორდსმენ ჯონ მაკლინის ამ ნომინაციაში პირველობა შარშან ეჭვს არ იწვევდა. მაშინ დანეიკო ალკოჰოლიზმისაგან იკურნებოდა, მაკლინი კი „ეშმაკთა" ღირსებას იცავდა, მაგრამ მერე იგი გაყიდეს. დანეიკო, რომელიც 1983 წლიდან ნიუ ჯერსიში თამაშობს, განიკურნა. „ლოიალობას და მოთმინებას ყოველთვის მოაქვს შედეგი" — თქვა დანეიკომ მატჩის შემდეგ. ისე, კენ დანეიკო ყოველთვის ითვლებოდა თავისი საქმის კარგ, მარჯვე შემსრულებლად (კარიერაში სულ 33 გოლი, 113 პასი და 2201 საჯარიმო წუთი).

**დაძაბულ** ბრძოლას ზოგჯერ ბორტებიც ვერ უძლებენ. ედმონტონისა და ჩიკაგოს შეხვედრაში ბორტს ზემოთ დამაგრებული გამყოფი მინა ორჯერ გახდა გამოსაცვლელი, ჯერ შაიბამ დაამსხვრია, მატჩის მიწურულს კი ედმონტონელი მაიკ გრირის შეჯახებას ვერ გაუძლო.

* * *

**ფინიქსმა** წლეულს წარმატებებს უმთავრესად მოთამაშეთა ჩინებული ფიზიკური მომზადების წყალობით მიაღწია. „კოიოტები" მთელი 60 წუთი ეგრეთ წოდებულ ფორჩეკინგს მიმართავენ და მეტოქეს ამოსუნთქვის საშუალებას არ აძლევენ. ვანკუვერთან შეხვედრაში ფინიქსელებმა 17 წუთის მანძილზე ერთხელ არ დაარტყმევინეს მეტოქეთ, თვითონ კი 24-ჯერ შეუტიეს გარტ სნოუს კარს.

**რატომაა**, რომ ერიკ ლინდროსი აქამდე ვერ იქცა ლიგის უმთავრეს ვარსკვლავად? დიდი ოსტატობა და ფიზიკური სიძლიერე ხომ ამის ერთ-ერთი წინაპირობაა. სპეციალისტთა უმეტესობის აზრით, ჰოკეისტს ის უშლის ხელს, რომ ძალიან ემოციურია, ხშირად ნერვებს ვერ თოკავს და წაგებასაც ღირსეულად ვერ ხვდება. წლეულს ლიგამ უკვე აპატია ერიკს, რომელმაც ოტაველი ანდრეას დაკელი მოედანზე ლამის სასიკვდილოდ გაიმეტა, მაგრამ ამჯერად, როცა ბუფალოში მასპინძლებმა გასაქანი არ მისცეს, ლინდროსი კვლავ გაცხარდა და „ხმლების" მცველ ჯეი მაკის ყვანჯი უთავაზა. ამისათვის ფორვარდმა 1000 დოლარი უნდა გადაიხადოს.

**სამველ ღარიბიანი**

# შაბაშ, არჩი მური აღარ არის





სან დიეგოში 84 წლისა გარდაიცვალა ქვემძიმე წონის ლეგენდარული ჩემპიონი, კრივის ისტორიის ერთ-ერთი გამორჩეული მოღვაწე, არჩი მური.

არჩი მური, იგივე არჩიბალდ ლი რაიტი მისისიპის შტატში, ბენიოში დაიბადა და პირველი პროფესიული ჩხუბი 1935 წელს გამართა, უკანასკნელი კი 1965 წელს.

ქვემძიმე წონის ჩემპიონი 1952 წელს გახდა, როცა ჯო მაქსიმი დაამარცხა. მაშინ არჩი მური 39 წლისა იყო და სანამ ორმოცდაცხრისა არ შესრულდა, ტიტული არ დაუთმია.

კარიერის განმავლობაში მოიგო 194, წააგო 26 და ფრედ დაამთავრა 8 ბრძოლა.

არჩი მური, 145 ნოკაუტით, დღემდე რჩება რეკორდსმენად კრივის ისტორიაში.

თავის ხანგრძლივ საკრივო ცხოვრებაში მურს მძიმე წონაშიაც უჩხუბია და დამარცხებულა როკი მარჩიანოსა და ფლოიდ პატერსონთან. ორმოცდარვა წლის მურს უბრძოლია სრულიად ახალგაზრდა მუჰამედ ალისთანაც.

კრივისათვის მურმა გამოიგონა ე.წ. „არმადილო“, გადაჯვარედინებული მკლავებით დაცვა.

სიბერეში მწვრთნელობდა, იყო ჯორჯ ფორმენისა და ლარი ჰოლმსის ბანაკებში, უვლიდა ძნელად აღსაზრდელ ბავშვებს.

„ის იყო ჯენტლმენი და დიდი ჩემპიონი. ის საამაყო კაცი იყო, კაცი, რომელიც სითბოს გასცემდა“, — თქვა გუშინ მეიორ გოლდინგმა.

# ტორპედო და ჯენი გამოარჩიეს

ჟურნალმა „ცურვის სამყარომ“ ოთხშაბათს წლის საუკეთესო მოცურავეები დაასახელა: კაცებიდან ეს პატივი 16 წლის ავსტრალიელ იან ტორფს ერგო, მშვენიერი სქესის წარმომადგენლებიდან კი ამერიკელ ჯენი ტომპსონს.

25 წლის ტომპსონმა ამ სეზონში თავი მართლაც გამოიჩინა: მსოფლიოს ჩემპიონატზე ოთხი ოქროს და ერთი ვერცხლის მედალი მოიპოვა, ერთი კვირის წინ კი მსოფლიოს თასის მორიგ ეტაპზე 25-მეტრიან აუზში ერთბაშად ორი მსოფლიოს რეკორდი დაამყარა — 50 და 100 დისტანციებზე ბატერფლაის სტილით ცურვაში.

თუ ტომპსონს ცურვის სამყარო აქამდეც იცნობდა, ტორფი ჯერ კიდევ შარშან უსახელო დებიუტანტი იყო. დიდების საათი ოზს მშობლიურ პერტში, იანვარში დაუდგა, სადაც 400 მეტრ დისტანციაზე 15 წლისა ყველა დროის ახალგაზრდა მსოფლიოს ჩემპიონი გახდა. ზედმეტსახელად „ტორპედოდ“ წოდებულმა ავსტრალიელმა სექტემბერში თანამეგობრობის თამაშებზეც ისახელა თავი — სამი ოქროს მედალი დაისაკუთრა და თავისუფალი სტილით ცურვაში 200 და 400 მეტრებზე ისტორიაში მეორე შედეგებიც აჩვენა.

ამას დაუმატეთ 4X200 მეტრზე ესტაფეტაში მსოფლიოს რეკორდსმენობა, 25-მეტრიან აუზში 400 მეტრ დისტანციაზე მსოფლიოს რეკორდი და ჟურნალის არჩევანიც იოლად გასაგები გახდება. ტორფი ამ პრესტიჟული ჯილდოს უმრწემესი პატრონი გახდა და წინ, ალბათ, კიდევ ბევრი ჩინმედალი ელის.

REUTERS კიევიდან



უკრაინის დედაქალაქ კიევში თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატის ფინალური შეხვედრა გაიმართა. რუსეთის ნაკრებმა მასპინძლები 36:22 დაამარცხა და მსოფლიოს ჩემპიონი გახდა. ამ ფოტოზე 63 კგ. წონითი კატეგორიის ფალავნების უკრაინელი ელბრუს თედეევისა და რუსი ჩამზო ლამაზანოვის ორთაბრძოლაა აღბეჭდილი

REUTERS ლას ვეგასიდან



სამხრეთაფრიკელი ფრანსუა ბოთა ლას ვეგასის „გოლდენ გლავზის“ დარბაზში ვარჯიშობს. „თეთრ მოზვერად“ წოდებული ბოთა უკვე შეუდგა მაიკ ტაისონთან შეხვედრისათვის მზადებას. 16 იანვარს ვეგასის „ერჯიემ გრანდის“ რინგზე ბოთას ძნელი საღამო ელის — ბევრს ჰგონია, რომ თეთრი მოზვერი ათ წუთსაც ვერ გაუძლებს რკინის მაიკს.

# გრძელხელა მამილო და ახალი პაპლიკები

ამერიკული სატანვარჯიშო საპნის ოპერა მოსეანუთა დინასტიის შესახებ მსგავსი ხასიათის ნაწარმოებთა შესაბამისი ჰეფი-ენდით — ბოროტის ძლევით, კეთილის გამარჯვებითა და ცოტაოდენი ცრემლისღვრით დასრულდა. ტეხასურმა სასამართლომ ოთხშაბათს 17 წლის დომინიკ მოსეანუს მამას ქალიშვილის შეურაცხყოფის გამო მისგან თავის შორს დაჭერა უბრძანა.



დომინიკ მოსეანუ

„მიმაჩნია, რომ ოჯახში ძალადობა მოხდა... რომელიც შეიძლება მომავალშიც განმეორდეს“ — ასე დაასაბუთა მოსამართლე ჯონ მონტგომერიმ თავისი გადაწყვეტილება, რომლითაც დუმიტრუ მოსეანუს ქალიშვილის ბინასთან, სკოლასთან და სავარჯიშო დარბაზთან 500 ფუტის მანძილზე მიახლოება, ასევე შვილთან ურთიერთობა აეკრძალა.

უმცროსმა მოსეანუმ, რომელიც 1996 წლის ატლანტის ოლიმპიადის ოქროს მედალოსანი გახლავთ, განაცხადა — მშობლები ჩემი ჩემპიონად გახდომის სურვილით ისე იყვნენ შეპყრობილი, ხშირად სასტიკად მექცეოდნენო. ამის მაგალითად დომინიკმა შარშანდელი ინციდენტი გაიხსენა, როდესაც მამამ სასწორზე დააყენა და წონის მომატების გამო ერთიორჯერ შემოულაწუნა, თან დაუმატა, ნორმალური მშობელი ამას არ იზამდაო.

17 წლის ტანმოვარჯიშემ აბეზარი მამისგან ფორმალურად ჯერ კიდევ ოქტომბერში გაითავისუფლა თავი, როდესაც მშობლებს მისი კარიერით მოპოვებული თანხების გაფლანგვაში დასდო ბრალი, სასამართლოს მეშვეობით სრულწლოვნად გამოცხადდა და შინიდან წავიდა. მაგრამ ყველაფერი ასე იოლად მოსაგვარებელი არ აღმოჩნდა — დუმიტრუმ ფულის საბადოს ხელიდან გაშვება ვერ იგუა და ქალიშვილს დევნა-თვალთვალი დაუწყო, მერე კი, როგორც ამბობენ, მისი ორი მეგობრის მოკვლაც დააპირა.

სასამართლოზე უფროსმა მოსეანუმ ბრალდებათა უმეტესობა უარყო, მაგრამ დომინიკის ადვოკატის კითხვას, ქალიშვილის მეგობრების მოსაკლავად კაცის დაქირავებას თუ ცდილობდითო, თავი აარიდა — დამცველის რჩევით საკუთარი თავის დადანაშაულების საწინააღმდეგო კონსტიტუციის მეხუთე დამატება გამოიყენა.

მამილოს თქმით, იგი უბრალოდ ქალიშვილის კეთილდღეობაზე ზრუნავდა: „ჩემს წინააღმდეგ დომინიკი მისმა მეგობარმა, ბრაიან ჰაგინსმა და მწვრთნელმა ლუმინიტა მიშენკომ განაწყვეს. ჩვენზე (ალბათ მეუღლე იგულისხმა) მეტად მისი ბედით არავინაა დაინტერესებული, არც ადვოკატები, არც ქომაგები“.

მკვლელობის მცდელობის ამბავს, რომელიც ერთ-ერთი მოწმის ჩვენებაში ამოტივტივდა, ამჟამად ჰიუსტონის პოლიცია იძიებს, თუმცა ამის შესახებ ჯერჯერობით არაფერი ულონიათ. მშობელს სიტყვა არც დომინიკმა შეაწია — როცა ჰკითხეს, მამაშენს მკვლელობის ჩადენა თუ შეუძლიაო, სლუკუნით თანხმობა განაცხადა. „მის გარეშე თითსაც ვერ ვატოკებდი, ყველგან მითვალთვალებდა, მირეკავდა, მემუქრებოდა... პირადი ცხოვრება მომიშხამა, თითქოს მუდმივად ხაფანგში ვიმყოფებოდი“.

მოსეანუებმა განაჩენი ასე თუ ისე მშვიდად მოისმინეს, მაგრამ როდესაც მოსამართლემ ოჯახის დაშლის შესახებ სინანული გამოთქვა და მალე შერიგება უსურვა, გრძნობები ველარავინ მოთოკა: მამა-შვილი ახლომყოფებს ქვითინით გადაეხვივნენ. ასე რომ, გამორიცხული არაა, სერიალს უახლოეს მომავალში გაგრძელება და „მთლად“ ჰეფი-ენდიც მოჰყვეს.


სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოდის: სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

**მთავარი რედაქტორი** ზურაბ ფოცხვერია
**დირექტორი** გიორგი ოქრომჭედლიძე
**რედაქტორი** თამაზ მიგრიაული
**მთავარი რედაქტორის მოადგილე:** ილია ბაბუნაშვილი
**ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი:** ვახტანგ ბზიკაძე
**ტექნიკური რედაქტორი** გურამ ხელაშვილი
**კალათბურთის განყოფილების გამგე:** მერაბ რატიშვილი
**ინფორმაციის განყოფილების გამგე:** სოსო კოტორეიშვილი
**ფეხბურთის რედაქცია. ქართული ფეხბურთის განყოფილება:** კონსტანტინე გოგიშვილი, გიორგი ვაშაკიძე, პაატა თოთაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე
**უცხოური ფეხბურთის განყოფილება:** ლაშა გოდუაძე, დავით კოვზირიძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი
**კალათბურთის განყოფილება:** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, გაიოზ თალაკვაძე
**ინფორმაციის განყოფილება:** ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი თავაძე, ავთანდილ სვანიძე
**კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე
**ფოტორეპორტიორები:** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
**სტილისტები:** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი
**კომპიუტერული ცენტრი:** ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ბელა ხატიაშვილი
**გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

**რედაქციის მისამართი:** თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29